

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



თამარ მერმანიშვილი

**მიგრაციის როლი ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი

თამაზ ზუბიაშვილი

თბილისი

2021

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას - მიგრაციას, კერძოდ, კი მის როლს ევროკავშირში მოსახლეობის ფორმირებაში, რაც განხილულია საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების დამოკიდებულებების ჭრილში.

საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე სამეცნიერო და პოლიტიკური დებატების მწვავე საგანს წარმოადგენს, რომლის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ასევე, ცხარე დებატების საგანია მიგრაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების შეფასება. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მიგრაცია განვითარებული ქვეყნების მოსახლეობების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგების შეფასება და ქვეყნის ინტერესებზე მორგებული შესაბამისი პოლიტიკის გატარება და შემუშავება, მიგრაციის მასშტაბების, გეოგრაფიისა თუ სხვა მდგენელებს გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია და მიმოხილულია მიგრაციის თემის ირგვლივ არსებული მდიდარი ქართული და უცხოური ეკონომიკური აზრი და სამეცნიერო ლიტერატურა. წარმოდგენილი და გაანალიზებულია მიგრაციის მსოფლიო ტენდენციები და შეფასებულია მათი თანხვედრა ევროკავშირისა და საქართველოს სინამდვილესთან.

ნაშრომში, ასევე, განხილულია საქართველოს მიგრაციის პროფილი. სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით ჩატარდა სამი დამოუკიდებელი კვლევამ რომლის საშუალებითაც გამოიკითხა, როგორც საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, ასევე, ევროკავშირის ქვეყნებში ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები. მიღებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე სიღრმისეულად

შესწავლილია და გაანალიზებულია მათი დამოკიდებულებები მიგრაციისადმი და მიგრაციის თანმდევი, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ასპექტების მიმართ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირების დინამიკის ანალიზს ისტორიულ ჭრილში და ევროკავშირში მიგრაციის სამ ტალღის დახასიათებას, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაზე.

ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული და გამძაფრებული მიგრაციის პრობლემები, რომლებმაც გააუარესა მიგრანტების მდგომარეობა და გაართულა საერთაშორისო მიგრაცია.

## Abstract

The paper is dedicated to one of the actual problems of the contemporary global World – migration, in particular, its role in the formation of the population in the EU, what is discussed in the context of the attitudes of citizens of Georgia and EU countries.

There is the mixed attitude towards the international migration, which is a hot subject of the contemporary scientific and political debate. It must be noted that international migration plays an important role in shaping the population of developed countries. One of the important tasks of any country's domestic and foreign policy is to assess the political, economic, social and cultural consequences of migration and to develop and pursue appropriate policies tailored to the interests of the country, considering the scales of migration, geography or other factors

The dissertation analyzes and reviews the precious Georgian and foreign economic opinions and scientific literature on the topic of migration. World migration trends are presented and analyzed, also there is an evaluation of their compatibility with the reality of the EU and Georgia.

The paper also discusses the migration profile of Georgia. Three independent surveys were conducted using specially designed questionnaires, which interviewed Georgian citizens living in Georgia, as well as Georgian citizens being in emigration in EU countries and citizens of EU member countries. Based on the acquired empirical data, their attitudes towards migration and migration associated positive and negative aspects are studied and analyzed in depth. Particular attention is paid to the analysis of the dynamics of EU population formation in the historical context and the characterization of the three waves of migration to the EU that have influenced the formation of the EU population.

Not left out of focus the migration problems caused and increased by the Covid-19 pandemic, which have worsened the situation of migrants and complicated international migration.

## სარჩევი

შესავალი .....	1
თავი 1: მიგრაციის გამომწვევი მიზეზების კვლევის.....	9
თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	9
1.1 მიგრაციის ფენომენის არსი და მისი ძირითადი ფორმები .....	9
1.2 მიგრაციის წანამძღვრები და მისი მდგენელები .....	14
1.3 მსოფლიო მიგრაციის ზოგადი ტენდენციები.....	16
თავი 2: მიგრაციული პროცესების გავლენა ევროკავშირის დემოგრაფიულ ვითარებაზე და საქართველოდან ევროკავშირში მიგრაციის ტენდენციები .....	25
2.1 ევროკავშირის დემოგრაფიული პროფილი და მიგრაციული პროცესების დინამიკა ისტორიულ პერიოდში.....	25
2.2 ევროკავშირში მიგრაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მდგენელების ზეგავლენა მოსახლეობის ფორმირებაზე.....	31
2.2.1 მიგრაცია ევროკავშირში და ევროკავშირიდან .....	34
2.2.2 ლტოლვილები ევროკავშირში .....	44
2.2.3 ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებლები.....	49
2.2.4 მოკლევადიანი ვიზები .....	57
2.3 საქართველოს მიგრაციის პროფილი და მიგრაციის გამომწვევი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზები.....	61
2.4. კოვიდ-19-სა და პანდემიის ზეგავლენა გლობალური მიგრაციის ტენდენციებზე.....	73
2.4.1 კოვიდ-19-ის გავლენა ევროკავშირში მიგრაციული პროცესების განვითარებაზე და წარმოქმნილი სირთულეები .....	86
თავი 3: სოციოლოგიური კვლევები.....	95
3.1 სოციოლოგიური კვლევა საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირში მიგრაციის მიზეზების გამოსაკვლევად.....	96
3.2 სოციოლოგიური კვლევა ევროკავშირის მოსახლეობის განწყობა მიგრაციის ფენომენის გამოსაკვლევად .....	108
3.3 სოციოლოგიური კვლევა ევროკავშირში მყოფი ქართველი მიგრანტების განწყობების და მათი პრობლემების გამოსაკვლევად .....	119
დასკვნები და წინადადებები .....	133
გამოყენებული ლიტერატურა.....	147
გამოქვეყნებული ნაშრომები .....	165

დანართები.....	166
დანართი 1: კითხვარი საქართველოში მცხოვრები მოქალაქეებისათვის.....	166
დანართი 2: კითხვარი ევროკავშირის მოსახლეობისათვის .....	169
დანართი 3: კითხვარი ევროკავშირში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის.....	171



## ნახაზები

ნახაზი 1. უცხოეთში დაბადებული მოსახლეობა ევროკავშირის წევრ ქვეყანებში 2019 წელს:.....	29
ნახაზი 2. ევროპის მოსახლეობა ზრდის დინამიკა .....	36
ნახაზი 3. ევროპაში შობადობის მაჩვენებლების დინამიკა 1955-2020წწ.....	38
ნახაზი 4. მიგრანტების რიცხოვნების დინამიკა ევროპაში 1955 -2020 წწ. ....	38
ნახაზი 5. ევროკავშირში ჩამოსვლის მიზეზები .....	39
ნახაზი 6. ევროკავშირში ბინადრობის მოთხოვნის მიზეზები 2019 წელი.....	40
ნახაზი 7. ბინადრობის ნებართვის რაოდენობები ქვეყნების მიხედვით .....	41
2019 წელი.....	41
ნახაზი 8. მსოფლიოში ლტოლვილთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლების ქვეყნები 2019წ.....	48
ნახაზი 9. ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებლები რეგიონების მიხედვით (% 2019 წელი).....	49
ნახაზი 10. მიგრანტთა წარმომშობი ქვეყნები - 2019 წელი .....	50
ნახაზი 11. თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებები: დაკმაყოფილებული და მოლოდინის რეჟიმში მყოფი განცხადებები.....	53
ნახაზი 12. ევროკავშირის საზღვრის კვეთა - 2019 წ.....	54
ნახაზი 13. ევროკავშირის საზღვრის უკანონო გადაკვეთა მოქალაქეობის მიხედვით - 2019 წ.....	55
ნახაზი 14. არალეგალი მიგრანტების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით 2018 წ.....	72
ნახაზი 15. საზღვარგარეთ დაბადებული ექიმებისა და ექთნების წილი ქვეყნების მიხედვით 2020წ.....	90
ნახაზი 16. გამოკითხულთა ასაკობრივი შემადგენლობა.....	97
ნახაზი 17. გამოკითხულთა ეროვნება .....	98
ნახაზი 18. გამოკითხულთა განათლების დონე.....	98
ნახაზი 19. გამოკითხულთა მუშაობის გამოცდილება საკუთარ ქვეყანაში .....	99
ნახაზი 20. გამოკითხულთა შემოსავლები.....	99
ნახაზი 21. ემიგრაციაში წასვლის მსურველთა პროცენტული მაჩვენებელი .....	100
ნახაზი 22. გამოკითხულთა ოჯახის წევრები ემიგრაციაში.....	100
ნახაზი 23. გამოკითხულთა ემიგრაციაში წასვლის მიზეზები .....	101
ნახაზი 24. გამოკითხულთა შეფასება ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებულ პრობლემებზე .....	102
ნახაზი 24. გამოკითხულთა სასურველი მოლოდინი ემიგრაციის სურვილის შემთხვევაში .....	103



ნახაზი 25. გამოკითხულთა ემიგრაციაში წასვლის მოლოდინი .....	104
ნახაზი 26. გამოკითხულთა ცნობიერების დონე ემიგრაციის დროს ბარიერებთან დაკავშირებით .....	104
ნახაზი 27. გამოკითხულთა ცნობიერება ემიგრაციის ქვეყნის კანონმდებლობისადმი.....	105
ნახაზი 28. გამოკითხულთა ასაკობრივი შემადგენლობა.....	109
ნახაზი 29. გამოკითხულთა განათლების დონე.....	110
ნახაზი 30. გამოკითხულთა შემოსავლები .....	110
ნახაზი 31. ევროკავშირის მოსახლეობის განწყობა მიგრანტების მიმართ.....	111
ნახაზი 32. როგორი ტიპის მიგრანტებს ანიჭებენ უპირატესობას ევროკავშირში.....	113
ნახაზი 33. მიგრაციის გამომწვევი მთავარი მიზეზები .....	114
ნახაზი 34. ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრაციის შეჩერებისადმი.....	114
ნახაზი 35. ტერორიზმის რისკი.....	115
ნახაზი 36. ემიგრაციაში წასვლის ასაკი .....	120
ნახაზი 37. გამოკითხულთა განათლების დონე.....	120
ნახაზი 38. გამოკითხულთა შემოსავლები (თანხები მოცემულია ევროში).....	121
ნახაზი 39. გამოკითხულთა მიგრაციის მთავარი მიზეზები .....	122
ნახაზი 40. მიგრაციაში მყოფი ლეგალები და არალეგალები .....	123
ნახაზი 41. გამოკითხულთა აზრი ირღვევა თუ არა მათი ცხოვრებისა და მუშაობის პირობები .	124
ნახაზი 42. იცნობენ თუ არა გამოკითხული მიგრანტები მიმღები ქვეყნის მიგრანტთა კანონმდებლობას.....	125
ნახაზი 43. მიგრანტთა მიერ გადაწყვეტილი პრობლემები .....	126
ნახაზი 44. გამოკითხული მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში.....	127

## აბრევიატურები

საქსტატი- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

CEAS- საერთო ევროპული თავშესაფრის სისტემა

EU - ევროკავშირი

EUAFR- ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო

Eurostat- ევროპის სტატისტიკის სამსახური

GMDAC- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გლობალური მიგრაციის მონაცემთა ანალიზის ცენტრი

IOM- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

OECD- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

UN- გაერთიანებული ერები

UN DESA- გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი

UNESCO- გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია,

UNHCR- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

UN OCHA-გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისი

Word Bank- მსოფლიო ბანკი

WHO- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

## შესავალი

მიგრაცია თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც თან ახლავს როგორც დადებითი ასპექტები, ასევე ნეგატიური ასპექტები და მოიცავს უამრავ ურთიერთდაკავშირებულ მდგენელებს, როგორცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა. შ. მიგრაცია, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ბოლოდროინდელი ფენომენი, რომელიც გლობალური პროცესების შედეგია. პირიქით, ეს მოვლენა კაცობრიობის დასაწყისიდან მისი ისტორიის ნაწილია. ადამიანები ერთი კონტინენტიდან მეორეზე, ქვეყნიდან ქვეყანაში, ერთი და იგივე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს შორის ძველი დროიდანვე გადაადგილდებოდნენ. შესაბამისად, მიგრაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც გადაადგილების პროცესი, როგორც საერთაშორისო საზღვრებს მიღმა, ასევე ქვეყნის შიგნით. ეს პროცესი მოიცავს ადამიანთა ნებისმიერი სახის გადაადგილებას მიუხედავად მანძილსა და მიზეზისა და ასევე, მოიცავს ლტოლვილებს, დევნილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ მიგრანტებს.

მიგრაციის ფენომენი შეუცვლელი იყო ადამიანის ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციებისთვის. მიგრაციისა და მობილობის მზარდი და გრძელვადიანი მტკიცებულებები მოწმობს, რომ მიგრაცია, უმეტესწილად, დაკავშირებულია ფართო გლობალურ, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ გარდაქმნებთან, რომლებიც ასევე, გავლენას ახდენს მაღალ პრიორიტეტულ პოლიტიკურ საკითხებზე. აშკარაა, რომ საერთაშორისო და საშინაო მიგრაციამ საუკუნეების განმავლობაში გარკვეული როლი შეასრულა მსოფლიოს ისეთი სახით ფორმირებაში, როგორც დღეს არის წარმოდგენილი.

მიგრაციას და გადაადგილებას, ძირითადად, ფართო გრძელვადიანი სოციალური, უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათი აქვს. ჩვენ ვიმყოფებით ღრმა გლობალურ გარდაქმნების პერიოდში და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შედეგად

განხორციელებულ ცვლილებებს გავლენა აქვს იმ გარემოებებზე, რომელიც გავლენას ახდენს მიგრაციაზე და მეცნიერული განხილვის საგანს წარმოადგენს.

ადამიანთა გარკვეული კატეგორია მიგრაციას მიმართავს ოჯახთან და სწავლასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. გარდა ამისა, არსებობს მიგრაციის კონტრასტული მიზეზებიც, როგორცაა იძულებითი და ტრაგიკული მიზეზები, მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტი, პოლიტიკური თუ სოციალური დევნა, ეკოლოგიური კატასტროფა და სხვა. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) მიგრანტების შედარებით მცირე პროცენტს შეადგენენ და თუმცა, მათი საკითხიც, ასევე, აქტუალურად დგას თანამედროვე გლობალურ პრობლემებს შორის და ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემას წარმოადგენს მთელი კაცობრიობისათვის.

### **საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა**

საერთაშორისო მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში. ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების მომავალი განვითარება და დემოგრაფიული პერსპექტივები მნიშვნელოვნად ექცევა მიგრაციული პროცესების გავლენის ქვეშ, რომელიც მესამე ქვეყნებიდან ხორციელდება. მიგრაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მიზეზები სინერგიულ გავლენას ახდენს საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური ვითარების ფორმირებაზე და ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. მიგრაციის პრობლემა საქართველოსათვისაც ძალიან აქტუალურია. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ საქართველოს ძალიან ბევრი მოქალაქე წავიდა ემიგრაციაში, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში. ასევე, მნიშვნელოვანია უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რაოდენობა, რომლებმაც თან მოიტანეს უცხოური გამოცდილება, უნარები და მიდგომები. ამ პროცესების კვლევა და მიგრაციის მიზეზების და მოტივაციის გაანალიზება მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც უცხოეთში მიგრანტების მიერ მიღებული გამოცდილების საკუთარ ქვეყანაში გამოყენების თვალსაზრისით, ასევე შემდგომი მიგრაციული პროცესების განვითარების პროგნოზირებისათვის. კვლევის მთავარი შედეგია

საქართველოს მოსახლეობის განწყობების კვლევა და გაანალიზება მიგრაციის ფენომენისადმი და ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზების იდენტიფიცირება. ასევე, ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი ქართველი მიგრანტების პრობლემების იდენტიფიცირება და მათი განწყობის გამოვლენა სამშობლოში დაბრუნებისადმი. ამასთანავე, კვლევის შედეგად გავაანალიზებთ, თუ როგორია ევროკავშირის მოსახლეობაში მიგრანტებისადმი განწყობა.

### **კვლევის მიზანი**

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, გავაანალიზოთ ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში მიგრანტების როლი და შევაფასოთ ევროკავშირის მოსახლეობის, საქართველოს მოსახლეობის და ევროკავშირში ქვეყნებში მცხოვრები ქართველო მიგრანტები დამოკიდებულება მიგრაციისადმი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს შორის მოვიაზრებთ, განვიხილოთ ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირების დინამიკა, ასევე, დავახასიათოთ საქართველოს მიგრაციული პროფილი, შევაფასოთ და გამოვავლინოთ, როგორია საქართველოს მოსახლეობის მოტივაცია ქვეყნის დატოვების და ევროკავშირში მიგრაციის მიმართ და გავაანალიზოთ ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ამასთანავე, კვლევის მიზნებს შორისაა, ევროკავშირში მყოფი ქართველი მიგრანტების მიგრაციაში წასვლის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი ევროკავშირში ყოფნის გამოცდილების შეფასება, რომელიც მოიცავს სამუშაო და ყოფითი ცხოვრების პირობებს და მათი განწყობის შესწავლა სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის ამოცანაა, შევისწავლოთ და გამოვავლინოთ ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრაციის ფენომენისადმი და ის, თუ როგორ აღიქვამენ ევროპელები მიგრაციას: როგორც საფრთხეს თუ როგორც შესაძლებლობას საკუთარი ქვეყნისთვის.

### **კვლევითი ამოცანები**

შესაბამისად, კვლევის მიზნების მისაღწევად დასახული კვლევითი ამოცანები შემდეგია:

1. მიგრაციის ფენომენის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების განხილვა;
2. მსოფლიო მიგრაციის ზოგადი ტენდენციების ანალიზი;
3. ევროკავშირის დემოგრაფიული პროფილის ანალიზი და ევროკავშირში მიგრაციული პროცესების განხილვა;
4. ევროკავშირში მიგრაციისა და ევროკავშირიდან მიგრაციის ანალიზი და განხილვა;
5. საქართველოს მიგრაციის პროფილისა და მიგრაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზების ანალიზი;
6. სოციოლოგიური კვლევის საშუალებით საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირში მიგრაციის მიზეზების კვლევა;
7. სოციოლოგიური კვლევის საშუალებით მიგრაციის ფენომენისადმი ევროკავშირის მოსახლეობის განწყობებისა და აზრის კვლევა;
8. სოციოლოგიური კვლევის საშუალებით ევროკავშირში მყოფი ქართველი მიგრანტების განწყობებისა და მათი პრობლემების კვლევა და ანალიზი.

### **კვლევის საგანი და ობიექტი**

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში მიგრაციის ფენომენის მნიშვნელობის შეფასება და ბოლოდროინდელი ტენდენციების გაანალიზება. ნაშრომის კვლევის ობიექტია ევროკავშირის დემოგრაფიული პროფილი და მიგრაციული პროცესები, როგორც ევროკავშირში ასევე, საქართველოში მიგრანტების ნაკადების მიმართულებები და ტენდენციები, საქართველოს მოსახლეობის აზრი ევროკავშირში მიგრაციის შესახებ, ევროკავშირის მოსახლეობის განწყობა მიგრაციის ფენომენისადმი და ქართველი მიგრანტების განწყობებისა და მათი პრობლემების კვლევა, ასევე, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, მონოგრაფიები და სტატიები.

### **კვლევითი მეთოდოლოგია**

სადისერტაციო ნაშრომს თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად დაედო უცხოელ და ქართველ მეცნიერთა კვლევები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები და პუბლიკაციები, რომელიც შეეხება მიგრაციას, მის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს. ნაშრომი ეფუძნება ინდუქციისა და დედუქციის, ასევე დიალექტიკის საბაზისო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ნაშრომში გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზის მეთოდები და სტატისტიკური მონაცემები, რომელთა დამუშავება მოხდა შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, როგორცაა დაკვირვების, მოგროვების, კლასიფიკაციის, დაჯგუფების და ანალიზის მეთოდებს, მათ შორის კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მეთოდს. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის კომბინირებული მეთოდები, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია თვისებრივ კვლევებზე, თუმცა ასევე წარმოდგენილია რაოდენობრივი ანალიზის გრაფიკული მეთოდები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ანკეტური კვლევები და სხვა.

ნაშრომის მეთოდოლოგიური მიზანია მიგრაციის ფენომენის გარშემო არსებული სამეცნიერო პუბლიკაციების, ნაშრომების, დოკუმენტებისა და წერილობითი მასალის თვისებრივი შესწავლა, რათა ნაშრომის მიზანი იყოს მიღწეული. ეს ყოველივე კი გულისხმობს ევროკავშირის მიგრაციული პროცესების სიღრმისეულ ანალიზსა და შესწავლას და ასევე, საქართველოს მიგრაციული პროფილის გაანალიზებას. სამაგიდო კვლევის მეთოდის გამოყენებით, გაანალიზებულია ქართველი და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების გამოყენებით შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ჩატარებულია სამი სოციოლოგიური კვლევა, რომელიც განხორციელდა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, ინტერნეტით, ისტაგრამის, ფეისბუქის და სოციალური მედიის სხვა საშუალებების, ონ-ლაინ ინტერვიუებისა, ინტერნეტ პლატფორმების გამოყენებით, რაც გამოწვეული იყო კოვიდ-19 -ის პანდემიით შექმნილი საშინაო და საერთაშორისო შეზღუდვების გამო. სოციოლოგიური კვლევების მიზნებს წარმოადგენდა: 1. საქართველოს მოსახლეობის მოტივაცია ქვეყნის დატოვების და ევროკავშირში მიგრაციის მიმართ; 2. ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრანტებისადმი და 3. ევროკავშირში მყოფი

ქართველი მიგრანტების მიგრაციაში წასვლის გამომწვევი მიზეზების და მათ პრობლემების გამოვლენა და შეფასება.

### **კვლევის სიახლე**

საკვლევი თემის გარშემო მოძიებული წყაროებიდან აშკარაა, რომ მიგრაციის ფენომენი როგორც მსოფლიოში, ასევე ევროკავშირში კვლევების საკმაოდ აქტუალურ საგანს წარმოადგენს. ინტერნეტ სივრცეში, ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და ურიცხვ საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ინტერნეტ-გამომშვებების და ფორუმების ვებ-გვერდებზე მოიპოვება უამრავი და საინტერესო პუბლიკაცია, სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფიები თუ სტატია, რომელთა ავტორები არიან როგორც ქართველი მეცნიერები, ასევე, უცხოელი მეცნიერები. არსებულ კვლევებსა და მასალებში საკმაოდ ფართოდაა განხილული მიგრაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ლტოლვილების პრობლემების კვლევებსა და თავშესაფრის მაძიებლების საკითხებთან დაკავშირებულ თემებს. თუმცა ნაკლებად არის გამოვლენილი მოსახლეობის ფორმირებაში მიგრანტების როლი და მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების ანალიზი მიგრაციული პროცესების ჭრილში. ამავე დროს, ნაკლებადაა შესწავლილი როგორც საქართველოს, ასევე, ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრანტებისადმი და მათ გარშემო არსებული პრობლემებისადმი. განხილულია საქართველოს მიგრაციის პროფილი სხვადასხვა პერიოდისათვის და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები.

წარმოდგენილ სადისერტაციო კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის მოსახლეობის დინამიკასა და ამ პროცესში საერთაშორისო მიგრაციის როლზე. საერთაშორისო მიგრაციისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევები (როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან). მთლიანობაში, სადისერტაციო, მათ შორის სოციოლოგიური კვლევის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი **სიახლეები**:

- მიგრაცია თანამედროვე გლობალური მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირში მიგრაცია კვლავ აქტუალურია, საერთაშორისო მიგრაციის



ძირითად გამოწვევებზე მიზნით, უმეტესწილად ისევე ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა წარმოშობს, თუმცა ბოლო პერიოდში საქართველოში გაიზარდა განათლების მიღების მიზნით საზღვარგარეთ მიგრაციის მსურველთა რიცხოვნობა;

- ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, მკვეთრად იმატა საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის რაოდენობამ და ევროკავშირში (ძირითადად, საფრანგეთსა და გერმანიაში) საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის მოთხოვნამ;
- კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შეამცირა გლობალური მიგრაციული ნაკადები და გააურესა ევროკავშირში მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამჟამად საქართველოში, გლობალური ტენდენციის მსგავსად, გამოკითხულთა მხოლოდ მესამედს სურს ევროკავშირში მიგრაცია, რომელთა შორის უმეტესობა მამაკაცებია;
- ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების (განსაკუთრებით ქალი რესპოდენტების) დამოკიდებულება მიგრანტების მიმართ, ძირითადად, ლოიალურია, თუმცა ისინი გარკვეულ საფრთხესაც ხედავენ მათ ქვეყნებში მიგრანტების ცხოვრების გამო. მათი ორი მესამედი მხარს უჭერს როგორც მაღალკვალიფიციური, ასევე დაბალკვალიფიციური მუშახელის შესვლას, ხოლო მათი, დაახლოებით, მესამედი კი, მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტებს მიესალმებიან.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

კვლევის ფარგლებში და საფუძველზე გამოვლენილი პრობლემებისა და მიდგომების გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც შეეხება როგორც საქართველოს მიგრაციის პოლიტიკას, ასევე ევროკავშირის ქვეყნების მიგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესებისა და მართვის ზოგიერთ საკითხს. სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა დაკავშირებულია მისი გამოყენების შესაძლებლობებთან.

კერძოდ, ნაშრომში მოცემული მიგნებები და დასკვნები, ასევე, გაანალიზებული დიდძალი მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაინტერესებული პირების მიერ, მათ შორის: მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურების მიერ, სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომებზე მომუშავე მკვლევარებისა და სტუდენტების მიერ, ასევე, ამ საკითხებით დაინტერესებული ბიზნესს აგენტების ან სხვა ნებისმიერი პირის მიერ. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული ნაწილები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახვადასხვა უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებსა და პროგრამებზე სწავლებისას. წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესო მასალას სთავაზობს მიგრაციის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს და მოქალაქეებს.

## თავი 1: მიგრაციის გამომწვევი მიზეზების კვლევის

### თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

#### 1.1 მიგრაციის ფენომენის არსი და მისი ძირითადი ფორმები

მიგრაცია უძველესი ფენომენია, რომელიც მსოფლიო განვითარებას ყოველთვის თან ახლდა. გლობალური პროცესების განვითარებამ, სატრანსპორტო საშუალებების პროგრესმა და სატელეკომუნიკაციო ტექნიკურმა მიღწევებმა გააიოლა ადამიანთა ფიზიკური გადაადგილება და ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობები, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში იმიგრაციის პრობლემებს და პერსპექტივებს ეხება. შესაბამისად, მსოფლიოს განვითარების თანხვედნილად მიგრაციის მასშტაბები გაიზარდა. მიგრაცია რთული და მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომელიც სხვადასხვა მეცნიერებების, როგორცაა სოციოლოგია, დემოგრაფია, გეოგრაფია და ეკონომიკა, შესწავლის სფეროს წარმოადგენს. დისკუსიები მიგრაციის დადებითი და ნეგატიური მხარეების შესახებ კი ყოველთვის პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციოლოგიური, კულტურული და მეცნიერული ცხარე დებატების საგანია.

მიგრანტების როლი სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის წარმოშობაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუმცა, მიგრაცია და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მწვავე დებატების საგანი მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გახდა, როცა სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ საგრძნობლად გაზარდა მიგრაციის ტემპები და მიგრანტების რიცხოვნება სახვადასხვა ქვეყნებში.

გაეროს რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ "საერთაშორისო მიგრანტს" განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ პირს, რომელმაც შეიცვალა თავისი საცხოვრებელი ადგილი (UN, 1998). სტატისტიკური აღრიცხვის თვალსაზრისით განსხვავება „მოკლევადიან მიგრანტებს“, რომლებმაც შეიცვალა

საცხოვრებელი ადგილი მინიმუმ სამი თვით, მაგრამ ერთ წელზე ნაკლები და „გრძელვადიან მიგრანტებს“, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი მინიმუმ ერთი წლით, შორის. თუმცა, ამ განმარტებას პრაქტიკაში ყველა ქვეყანა არ იყენებს და მიგრანტების დასადგენად სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებენ, როგორცაა საცხოვრებელი ადგილის სხვადასხვა მინიმალური ხანგრძლივობა. ცნებებსა და განმარტებებში არსებული განსხვავებები, აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია ქვეყნებს შორის, ხელს უშლის საერთაშორისო მიგრანტების ეროვნული სტატისტიკის სრულ შედარებას.

ასზე მეტი წლის წინ, მე-19 საუკუნის მიწურულს გერმანელმა მეცნიერმა ერნსტ რავენშტაინი (Ravenstein, 1885) ერთ-ერთი პირველი შეეცადა მეცნიერულად გაეანალიზებინა მიგრაციის ფენომენი და ჩამოაყალიბა მიგრაციის 11 კანონი, რომელიც გავლენიან ჟურნალში “Journal of the Royal of Statistical Society”-ში გამოაქვეყნა. მისი ნაშრომის მიხედვით მიგრაციის კანონები შემდეგია: 1. ქვეყნებს შორის გადაადგილება მუდმივად ხორციელდება; 2. მიგრანტების უმრავლესობა მშობლიური ქალაქიდან დიდ მანძილზე არ მიდის; 3. ქვეყნები ეკონომიკური განვითარების დონით ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან; 4. დროის მანძილზე მიგრაცია ნელ-ნელა ხდება; 5. ზოგიერთი ემიგრანტი ბრუნდება უკან; 6. შორ მანძილზე მიგრაცია განპირობებულია მხოლოდ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და ქალაქებში მოხვედრის სურვილით; 7. სოფლებსა და დაბებში მცხოვრები მოსახლეობა უფრო მიმართულია მიგრაციისადმი, ვიდრე ურბანულ ზონებში მცხოვრები მოსახლეობა; 8. მიგრანტების დიდი ნაკადების გამო მეგაპოლისების მოსახლეობაც, თავის მხრივ, იზრდება; 9. მიგრაციის განვითარება და გაძლიერება ქვეყნების სატრანსპორტო სექტორების, ვაჭრობისა და მრეწველობის პროცესების განვითარებას თან ახლავს; 10. კაცებთან შედარებით ქალები უფრო მიდრეკილი არიან მიგრაციისადმი; 11. მიგრაციის გამომწვევ მთავარ საფუძვლად და მიზეზად ეკონომიკა მიიჩნევა.

რავენშტაინის კანონებმა ემპირიული კვლევების აღსანიშნავი რაოდენობა წარმოშვა და მისი მრავალი ჰიპოთეზა დადასტურდა (Grigg, 1997).

ცოტა მოგვიანებით კი, ამერიკელმა მეცნიერმა ევერეტ ლიმ (Lee, 1966) გადააკეთა რავენშტაინის იდეა მიგრაციის ჩარჩოს შესაქმნელად, რომელიც მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც ასოცირდება მიგრანტების წარმომშობის არეალთან, ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია მიგრანტების დანიშნულების ადგილთან და ასევე მოიცავს ინტერვენციულ დაბრკოლებებსა და პირად ფაქტორებს. ამ მოდელში გამოყენებული იყო დადებითი და უარყოფითი ნიშნები, წარმომშობის და დანიშნულების ქვეყნების მიმზიდველობის და არამიმზიდველობის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრისთვის. ლის აზრით თითოეული ადგილი ფლობს დადებით და უარყოფით ფაქტორებს. პოზიტიური ფაქტორები არის გარემოებები, როლებიც მოქმედებს ხალხის ქვეყნაში დარჩენაზე, ან იზიდავს ადამიანებს სხვა ტერიტორიებიდან, ხოლო ნეგატიური ფაქტორები კი პირიქით მათ მოგერიებას იწვევს. მაგალითად, უმუშევრობის მაღალი დონე წარმომშობის ადგილას წარმოადგენს „ბიძგის“ ფაქტორს, ხოლო დანიშნულების ადგილზე მაღალი ხელფასი კი (push & pull factors) „მოზიდვის“ ფაქტორს (Lee, 1966). ბიძგის ფაქტორები არის ფაქტორები დაკავშირებული იმ ქვეყნებთან, რომლებსაც ტოვებენ ადამიანები და მოიცავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა სიღარიბეს, ცუდ ცხოვრების პირობებს, პოლიტიკურ დევნის შიშს, ცუდ ჯანდაცვას, სიმდიდრის დაკარგვას და ბუნებრივ კატასტროფებს. მოზიდვის ფაქტორები საწინააღმდეგოა ბიძგების ფაქტორებისგან - ისინი იზიდავს ხალხს გარკვეულ ადგილას. ადგილის მოზიდვის ფაქტორების ტიპიური მაგალითებია: მეტი სამუშაო ადგილები და ცხოვრების უკეთესი პირობები; მიწისა და სოფლის მეურნეობის მოსაწყობად, პოლიტიკური და / ან რელიგიური თავისუფლება, უმაღლესი განათლებისა და კეთილდღეობის სისტემები, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის უკეთესი საშუალებები, ჯანდაცვის უკეთესი სისტემა, არა სტრესული გარემო და უსაფრთხოება.

მიგრაციის ფენომენის კლასიფიკაციის სქემა ემყარება სამ განსხვავებულ ასპექტს (Etzo, 2008). პირველი ასპექტი ეხება მიგრაციის ნაკადების სივრცულ კონტექსტს და განასხვავებს კვლევებს საერთაშორისო და შიდა მიგრაციას შორის. საერთაშორისო მიგრაციის კვლევები იკვლევს ხალხის გადაადგილებას სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო შიდა მიგრაცია მოიცავს ხალხის გადანაწილებას ეროვნულ საზღვრებში. მეორე

მნიშვნელოვანი ასპექტი კი მოიცავს მიგრაციის მოდელირებას, სადაც მთავარი განსხვავება მიკრო და მაკრო მიდგომებია (Cadwallader, 1992; Stiwell and Congdon, 1991). მიკრო მიდგომა მოიცავს ინდივიდების ქცევას, ხოლო მაკრო მიდგომა აქცენტს აკეთებს ქვეყნებსა და რეგიონებზე. მესამე ასპექტი კი ეხება კვლევის მიზანს, რომელის მიზანია მიგრაციის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება ან მიგრაციის შედეგების შესწავლა.

მარტინ კადვალადერი წიგნში „მიგრაცია და საცხოვრებელი მობილობა“ (Cadwallader, 1992) იკვლევს ხალხის გადაადგილებას რეგიონიდან რეგიონში, ასევე ქალაქებში, ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ინგლისი და შვედეთი. წიგნში მიგრაციის სტატისტიკური მოდელების აღწერისა და განმარტებისას, ავტორი ასევე, წარმოადგენს სფეროს ძირითად თეორიულ და ემპირიულ საკითხებს. კერძოდ, იგი იყენებს სტრუქტურული განტოლების მოდელებს, რათა დააკონკრეტოს ცვლადების ურთიერთქმედება, რომლებიც გავლენას ახდენენ მიგრაციაზე. იგი აერთიანებს გეოგრაფიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიისა და სხვა სფეროების კონცეფციებსა და მეთოდებს და ხაზს უსვამს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და სივრცითი ნიმუშების მიკრო მიდგომა კონცენტრირებულია ინდივიდების ქცევაზე, ხოლო მაკრო მიდგომა აქცენტს აკეთებს ადგილებზე ან ადგილმდებარეობაზე (მაგალითად, ქვეყნები, რეგიონები, მუნიციპალიტეტები).

მიგრაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორიული მოდელია მიგრაციის გრავიტაციის მოდელი, რომელიც ვილიამ ჯ. რეილიმ ჩამოაყალიბა (Reilly, W. J, 1929). ეს მოდელი გამოიყენება ემპირიულ ანალიზში, მიგრაციების სივრცული დეტერმინანტების შესასწავლად. მოდელი ხაზს უსვამს მიგრაციული ნაკადების სივრცულ ასპექტს. ამ მოდელის თანახმად, მიგრაცია პირდაპირ კორელაციაშია მოსახლეობის რაოდენობასთან და უკუპროპორციულია კავშირში წარმოშობასა და დანიშნულების რეგიონს შორის.

საერთაშორისო მიგრაციის შესახებ კვლევები ხაზს უსვამს ნათესაური და მეგობრული ქსელების მნიშვნელობას მიგრაციის ფორმირებასა და შენარჩუნებაში

(Massey et al. 1987; Boyd 1989; Fawcett 1989). საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ნათესაობის მეგობრობის და საზოგადოების კავშირებზე დაფუძნებული ქსელები მიგრანტი მოსახლეობის თანმიმდევრულ სტრუქტურას ქმნის.

მეცნიერი მაბოგუნჯე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ (Mabogunje, A. L. 1970) მიგრაციის დინამიკა მოიცავს გამგზავნი და მიმღები საზოგადოებების ერთდროულ ურთიერთქმედებას. მისი აზრით, მიგრანტთა ქსელების ფორმისა და ფუნქციონირების ცოდნა მრავალფეროვან კონტექსტში არის პერსპექტიული საშუალება მიგრაციის სისტემების სრულყოფილად გაგებისთვის. მეცნიერის თანმიმდევრულად ასაბუთებს იმ მოსაზრებას, რომ ქსელები დინამიურად აკავშირებს საზოგადოებას მიმღებ და გამგზავნი საზოგადოებებში. ეს არის მარტივი სტრუქტურა, რომელსაც აქვს პოტენციური განვითარდეს როგორც უფრო რთული მექანიზმი მიგრაციის სისტემების განვითარებასთან ერთად.

ამერიკელმა ეკონომისტმა მაიკლ პიორემ (Piore, 1979) 1980-იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბა შრომითი ბაზრის თეორია, რომლის მიხედვით, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მკვიდრი მოსახლეობა აღარ თანხმდება დაბალკვალიფიციური შრომას, რაც გულისხმობს მეორად სექტორში მუშაობას და ამის გამო ამ სექტორებში ჩნდება მუშა ხელის დეფიციტი. სწორედ ეს განაპირობებს შემდგომ ამ მაღალ განვითარებად ინდუსტრიულ ქვეყნებში მიგრაციას. მიგრანტები ძირითადად არა ინტელექტუალურ შრომას ეწევიან ასეთი ტიპის ქვეყნებში.

მსოფლიო სისტემების თეორიის მიხედვით (Wallerstein, 1989), ქვეყნები იყოფა პერიფერიულ და ცენტრალურ ნაწილებად. ცენტრალური ნაწილები მიდრეკილნი არიან მეგაპოლისებად გარდაქმნისკენ, რაც იწვევს პერიფერიებიდან მოსახლეობის შედინებას, რადგან ჩნდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. ეს პროცესი თავის, მხრივ განაპირობებს პერიფერიების სტრუქტურის ცვლილებებს.

კიდევ ერთი ავტორიტეტული მოდელი, რომელიც ჰარისისა და ტოდაროს (Harris & Todaro, 1970) მიერ არის შემოთავაზებული მოიცავს შიდა მიგრაციას სოფლებიდან ქალაქებში და შეისწავლება შრომის ბაზრის არასრულყოფილების გათვალისწინებით. ამ

მოდელში ინდივიდები მაქსიმალურად ზრდიან საკუთარი სარგებლიანობის ფუნქციას დანიშნულების რეგიონში მარალი ხელფასებისა და სამსახურის პოვნის ალბათობის გათვალისწინებით. ეს უკანასკნელი იზომება დასაქმების მაჩვენებლით. მოდელი არ ითვალისწინებს სრული დასაქმების არსებობას და, შესაბამისად, მას შეუძლია ახსნას მიგრაციული ნაკადები დანიშნულების რეგიონში უმუშევრობის დონის ზრდის პირობებში.

## 1.2 მიგრაციის წანამძღვრები და მისი მდგენელები

დღესდღეობით მსოფლიო საკმაოდ დიდი ცვლილებების პერიოდში იმყოფება. მიგრაციას და გადაადგილებას, ძირითადად, ფართო გრძელვადიანი სოციალური, უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათი აქვს. ჩვენ ვიმყოფებით ღრმა გლობალურ გარდაქმნების პერიოდში და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შედეგად განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს იმ გარემოებებზე, რომელიც გავლენას ახდენს მიგრაციაზე და განხილვის საგანს წარმოადგენს.

ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მიმართავს მიგრაციას ოჯახთან და სწავლასთან დაკავშირებული მიზეზების გამო (მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020). გარდა ამისა, არსებობს მიგრაციის კონტრასტული მიზეზებიც, როგორცაა იძულებითი და ტრაგიკული მიზეზები მაგალითად კონფლიქტი, დევნა კატასტროფა და სხვა. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) მიგრანტების შედარებით მცირე პროცენტს შეადგენენ და ყველაზე მეტად ისინი საჭიროებენ დახმარებას და თანადგომას.

მიგრაციისა და მობილობის მზარდი და გრძელვადიანი მტკიცებულებები მოწმობს, რომ მიგრაცია, უმეტესწილად, დაკავშირებულია ფართო გლობალურ, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ გარდაქმნებთან, რომლებიც გავლენას ახდენს მაღალ პრიორიტეტულ პოლიტიკურ საკითხებზე. გლობალიზაციის ყველა პროცესი ღრმავდება, რასაც გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე- ჩვენს სამუშაო ადგილებზე, ჩვენს სახლებში, ჩვენს სოციალურ სულიერ ცხოვრებაზე და ზოგადად ჩვენს




ყოველდღიურ რუტინაზე. მანძილს შემცირების ტექნოლოგიების მეშვეობით სულ უფროდაუფრო მეტ ადამიანს მსოფლიო მასშტაბით აქვს წვდომა ინფორმაციაზე, პროდუქტებზე და მომსახურებებზე.

მიგრაციის გამომწვევი უმთავრესი მიზეზები, ძირითადად, უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, განათლების, ოჯახის გაერთიანების მიზეზებს. 2019 წელს ევროკავშირში ბინადრობის ნებართვის მქონე ადამიანებისთვის (სულ 13,763,319 ადამიანი) მიგრაციის მიზეზი შემდეგი იყო: ოჯახის მიზეზი 38%, სამუშაო 17%-ისთვის, 9% თავშესაფარი, 4%-ისთვის განათლება და 32% სხვა მიზეზები. (ევროკომისია, 2019).

დიაგრამა 1

მიგრაციის ძირითადი მიზეზები  
(პროცენტული წილი)



წყარო: ევრო სტატი, 2019

2019 წელის მონაცემებით ყველაზე მეტი ინდოელი მიგრანტი ცხოვრობდა საზღვარგარეთ (17.5 მილიონი), მას მოსდევს მექსიკა 11.8 მილიონი საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტით და ჩინეთი 10.7 მილიონი მიგრანტით. ხოლო, მიგრაციის

დანიშნულების ქვეყნად შეერთებული შტატებია 50.7 მილიონი საერთაშორისო ემიგრანტით.

### 1.3 მსოფლიო მიგრაციის ზოგადი ტენდენციები

ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო მიგრაციის მართვაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მსოფლიომ გლობალურ დონეზე განახორციელა ისტორიული ცვლილება, რის შედეგადაც გაეროს წევრი სახელმწიფოები გაერთიანდნენ მიგრაციისა და გადაადგილების საერთაშორისო მანიფესტაციების ორი გლობალური შეთანხმების დასრულების მიზნით: „The Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration” (მიგრაციის გლობალური კომპაქტი, 2018) და „Global Compact on Refugees” (გაერო, 2018). შეთანხმების დასრულება ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული მცდელობების შედეგია სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სხვა მონაწილეების მიერ (მაგალითად, კერძო სექტორის ორგანიზაციები), და მიზნად ისახავს მიგრაციის მართვის გაუმჯობესებას საერთაშორისო დონეზე.

წლების განმავლობაში, სანამ სახელმწიფოები დაიწყებდნენ შეთანხმებაზე მუშაობას, მრავალმა დიალოგმა, სემინარმა კონსულტაციებმა და გვერდითმა ღონისძიებებმა საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საშუალება მისცა გაეზიარებინათ მიგრაციის სხვადასხვა ასპექტები, მისი სარგებელი თუ გამოწვევები და შეეჯერებინათ შეხედულებები და მიდგომები. ამრიგად, შეთანხმება ემყარება მრავალწლიან მონაწილეობას მიგრაციის ძირითად საკითხებზე.

ბოლო ტენდენციებით, საერთაშორისო მიგრაცია იზრდება. საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით 272 მილიონია (მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020) , სადაც თითქმის ორი მესამედი შრომითი მიგრანტია. ეს მაჩვენებელი მსოფლიო მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტია (3.5%), რაც იმას ნიშნავს რომ გლობალურად ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა (96.5%) ცხოვრობს იმ ქვეყანაში

სადაც დაიბადა. თუმცა, ეს მაჩვენებელი უკვე აღემატება 2050 წლისთვის გაკეთებულ ზოგიერთ პროგნოზს, რაც მსოფლიო მოსახლეობის 2.6% იყო ანუ 230 მილიონს. ამის გამო, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბისა და ტემპის ზუსტი პროგნოზირება რთულია, რადგან მიგრაცია მჭიდრო კავშირშია მწვავე მოვლენებთან, როგორცაა მწვავე არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი თუ კონფლიქტი, ასევე კავშირშია გრძელვადიან ტენდენციებთან, როგორცაა დემოგრაფიული ცვლილებები, ეკონომიკური განვითარება, საკომუნიკაციო ტექნოლოგია და ტრანსპორტირების ხელმისაწვდომობა. გრძელვადიანი მონაცემებით, ასევე ცნობილია, რომ საერთაშორისო მიგრაცია არ არის ერთგვაროვანი მთელ მსოფლიოში და განპირობებულია ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორებით, რამაც გამოიწვია მიგრაციის სხვადასხვა მაგალითები როგორცაა მიგრაციის „დერეფნები“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ყველაზე დიდი „დერეფნები“ ჩამოყალიბდა განვითარებადი ქვეყნებიდან უფრო დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიმართულებით, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია, არაბთა გაერთიანებული საემიროები და საუდის არაბეთი. ეს მაგალითები მრავალი წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, იგივე დარჩება, განსაკუთრებით იმისა გამო, რომ მოსახლეობა განვითარებად რეგიონებსა და ქვეყნებში მომავალი ათწლეულის განმავლობაში პროგნოზირების შედეგად, გაიზრდება, რაც მიგრაციის ზეწოლას ახდენს მომავალ თაობებზე.

სამწუხარო რეალობაა, რომ ბოლო ორის წლის განმავლობაში მიგრაციის და გადაადგილების მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა, რომლებმაც დიდი გაჭირვება და ტრამვა გამოიწვია, მაგალითად როგორცაა სიკვდილიანობა. მილიონობით ადამიანს მოუწია გადაადგილება კონფლიქტის გამო, როგორცაა სირიის კონფლიქტი, იემენის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის და სამხრეთ სუდანის კონფლიქტები. ასევე, ექსტრემალური ძალადობის მიზეზების გამო გადაადგილება როგორცაა როჰინგიას მოსახლეობის მიმართ, რომლებიც უსაფრთხო თავშესაფარს ეძებდნენ ბანგლადეშში და ასევე, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც ვენესუელას მილიონობით მოსახლეობამ განიცადა. ასევე,

შეინიშნებოდა მზარდი გადაადგილება კლიმატის და გარემოს ცვლილებებიდან გამომდინარე. ასევე, 2018-2019 წლებში მსოფლიოს მრავალ ნაწილში შეინიშნებოდა მზარდი მობილობა კლიმატისა და გარემოპირობების ცვლილებთან დაკავშირებული საფრთხის მიზეზებით ისეთ ქვეყნებში როგორცაა მოზამბიკში, ფილიპინებში, ჩინეთში ინდოეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური მასშტაბით საერთაშორისო მიგრანტების წილი გაიზარდა, ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა განაგრძობს ცხოვრებას იმ ქვეყნებში სადაც დაიბადნენ. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობას მსოფლიო მასშტაბით და მათ წილს მსოფლიო მოსახლეობასთან შედარებით 1970 წლიდან 2019 წლამდე.

ცხრილი 1: საერთაშორისო მიგრანტები 1970-2019 წლებში

წელი	მიგრანტების რიცხოვნება	მიგრანტების ხვედრითი წილი მსოფლიო მოსახლეობაში
2019	271,642,105	3.5%
2015	248,861,296	3.4%
2010	220,781,909	3.2%
2005	191,615,574	2.9%
2000	173,588,441	2.8%
1995	161,316,895	2.8%
1990	153,011,473	2.9%
1985	113,206,691	2.3%
1980	101,983,149	2.3%
1975	90,368,010	2.2%
1970	84,460,125	2.3%

წყარო: მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020)

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მიგრანტების პოპულაცია გლობალურად გაიზარდა, პროპორცია მსოფლიო მოსახლეობასთან მიმართებაში სტაბილური დარჩა. ასევე, აღსანიშნავი ფაქტია, რომ საერთაშორისო მიგრანტების უმეტესობა (74%) სამუშაო ასაკისაა (20-64 წელი).

2019 წელს, ევროპამ და აზიამ 82 მილიონი და 84 მილიონი მიგრანტი მიიღო, რაც საერთაშორისო მიგრანტების 61% შეადგენს. ამ რეგიონებს მოჰყვა ჩრდილოეთ ამერიკა, თითქმის 59 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი, რაც მსოფლიო მიგრაციის 22 პროცენტია, აფრიკა 10 პროცენტით, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის კუნძულები 4 პროცენტით და ოკეანეთის რეგიონი 3 პროცენტით. როდესაც მიგრანტების რაოდენობა რეგიონის პოპულაციას შეადარებს, 2019 წელს ყველაზე დიდი წილი ოკეანეთში (21%) ჩრდილოეთ ამერიკასა (16%) და ევროპაში (11%) იყო. მიგრანტების შედარებით მცირე წილი აზიაში (1.8%), აფრიკაში (2%), ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში (1.8%) დაფიქსირდა. თუმცა, მიგრაციამ აზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა 2000 წლიდან 2019 წლამდე, 69 პროცენტით, რაც დაახლოებით 34 მილიონი ადამიანია. ხოლო ევროპა კი მეორე ადგილზეა მიგრანტების ზრდის მაჩვენებლით ამ პერიოდში, რაც 25 მილიონ მიგრანტს შეადგენს, შემდეგ მოდის ჩრდილოეთ ამერიკა სადაც მიგრანტების რიცხვი 18 მილიონით გაიზარდა და 11 მილიონით კი აფრიკაში.

პირველი მიგრაციის მსოფლიო ანგარიში გამოქვეყნდა 20 წლის წინ, თავდაპირველად, როგორც ერთჯერადი ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავდა მიგრაციის გააზრებას პოლიტიკოსების და ფართო საზოგადოების მიერ, სწორედ იმ დროს როდესაც გლობალიზაციის შედეგები მსოფლიოს მრავალ ნაწილში და უამრავი გზით იგრძნობოდა. მართლაც, მსოფლიო მიგრაციის პირველ ანგარიშში ნათქვამია, რომ მისი გენეზისის ნაწილი განპირობებულია გლობალიზაციის ზემოქმედებით მიგრაციის მაგალითებზე და ამიტომაც ანგარიშში მიმოხილულია „მზარდი ეკონომიკა, რაც გამოიწვია ახალი მიგრანტების უპრეცედენტო შემოდინებები ბევრ ქვეყანაში“. ანგარიშში ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ, მიუხედავად „უძველესი ფენომენისა“, მიგრაცია

აჩქარდებოდა, როგორც ეკონომიკური და სავაჭრო პროცესების გლობალიზაციის უფრო ფართო ტრანსფორმაციის ნაწილი, რაც საშუალებას აძლევდა შრომის, საქონლისა და კაპიტალის მეტ მოძრაობას.

2018 წელს საერთაშორისო ფულადმა გზავნილებმა 689 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ფულადი გზავნილის მიმღები ტოპ სამი ქვეყანა იყო: ინდოეთი 78 მილიარდი აშშ დოლარით, მას მოჰყვება ჩინეთი 67.4 მილიარდი დოლარით და მექსიკა 35.7 მილიარდი დოლარი. შეერთებული შტატები კი ფულადი გზავნილები გამგზავნი ქვეყნების სათავეშია 68 მილიარდი დოლარით, მას მოსდევს არაბეთის გაერთიანებული საემიროები 44.4 მილიარდი აშშ დოლარით და საუდის არაბეთი 36.1 მილიარდი აშშ დოლარით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა, რომლებიც მოცემულია მსოფლიო მიგრაციის ანგარიშში 2000 წელს და გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ასპექტი საკმაოდ უცვლელი დარჩა - მაგალითად ქალი საერთაშორისო მიგრანტების მაჩვენებლები, ისევე როგორც მსოფლიოს მოსახლეობის მიგრანტების წილი, მაგრამ მიუხედავად ამისა სხვა ასპექტები მკვეთრად შეიცვალა. მაგალითად, საერთაშორისო ფულადი გზავნილები გაიზარდა 126 მილიარდიდან 2000 წელს 689 მილიარდამდე 2020 წელს, რაც ხაზს უსვამს საერთაშორისო მიგრაციის გამოჩენილ განვითარებას.

მაგალითად, საერთაშორისო ფულადი გზავნილები 2000 წლიდან 2020 წლამდე 126 მილიარდი აშშ დოლარიდან 689 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, რაც ხაზს უსვამს საერთაშორისო მიგრაციის განვითარებას. ეს ნაწილობრივ ხელს უწყობს აიხსნას მიგრაციის, როგორც პირველი დონის გლობალური საკითხის გაჩენა, რომლის შედეგადაც გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა გადადგეს მთელი რიგი ნაბიჯები მიგრაციის გლობალური მმართველობის განმტკიცებისთვის, განსაკუთრებით 2000 წლიდან. გასაკვირი არც არის, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წევრი სახელმწიფოების რიცხვი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში 76 ქვეყნიდან 173 ქვეყანამდე გაიზარდა. ცხრილში ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო მიგრანტთა ზრდა

გლობალურად (დაახლოებით 85%), ასევე ლტოლვილების (დაახლოებით 80%) და იძულებით გადაადგილებული პირების (97%) ზრდა; მაგრამ მიუხედავად ამისა ეს რიცხვები მსოფლიო მოსახლეობის მასშტაბით მაინც ძალიან მცირე ნაწილად რჩება.

ცხრილი 2. ძირითადი ტენდენციები მიგრაციის მსოფლიო ანგარიშიდან 2000-2020 წლებში

(სავარაუდო რაოდენობები)	2000 წლის ანგარიში	2020 წლის ანგარიში
საერთაშორისო მიგრანტების რიცხოვნება	150 მილიონი	272 მილიონი
მიგრანტთა მსოფლიო მოსახლეობისწილი	2.8%	3.5%
ქალი საერთაშორისო მიგრანტების წილი	47.5%	47.9%
ბავშვი საერთაშორისო მიგრანტების წილი	16.0%	13.9%
საერთაშორისო მიგრანტების ყველაზე მაღალი წილის რეგიონი	ოკეანეთი	ოკეანეთი
საერთაშორისო მიგრანტების ყველაზე მაღალი წილის მქონე ქვეყანა	არაბთა გაერთიანებული საემიროები	არაბთა გაერთიანებული საემიროები
მუშაკ მიგრანტთა რაოდენობა	-	164 მილიონი
საერთაშორისო გზავნილები (აშშ დოლარი)	126 მილიარდი	689 მილიარდი
ლტოლვილთა რიცხოვნება	14 მილიონი	25.9 მილიონი
იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნება	21 მილიონი	41.3 მილიონი

მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა	-	3.9 მილიონი
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წევრი ქვეყნების რაოდენობა	76	173
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ოფისების რაოდენობა	120	436

წყარო: მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020)

როგორც ცხრილი გვიჩვენებს 2000 წელს მიგრანტთა წილი მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 2.8% ია ხოლო 2020 წელს კი 3.5%. ცხრილის მიხედვით ქალი საერთაშორისო მიგრანტების მონაცემები თითქმის იგივეა 20 წლის მანძილზე, ხოლო ბავშვი მიგრანტების წილი კი შემცირებულია, 2000 წელს 16% შეადგენდა, ხოლო 2020 წელს კი 13.9%-ს. საერთაშორისო მიგრანტების ყველაზე მაღალი წილის რეგიონად როგორც 2000 წელს, ასევე 2020 წელს ოკეანეთის რეგიონი ფიქსირდება, ხოლო საერთაშორისო მიგრანტების ყველაზე მაღალი წილის მქონე ქვეყანად კი ასევე 2000 წელსა და 2020 წელს არაბთა გაერთიანებული საამიროები ფიქსირდება. 2000 წლის მონაცემები მუშაკ მიგრანტთა შესახებ არ ფიქსირდება, ხოლო 2020 წელს კი მათი რაოდენობა 164 მილიონია. რაც შეეხება ლტოლვილთა რაოდენობასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემებს 2000 წლის მონაცემებთან შედარებით ღვის მდგომარეობით ზრდა ფიქსირდება, კერძოდ ლტოლვილთა რაოდენობა 2000 წელს 14 მილიონს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს კი 25.9 მილიონია, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 20 წლის მანძილზე გაზრდილია 20.3 მილიონით (2000 წელს 21 მილიონი, 2020 წელს 41.3 მილიონი). რაც შეეხება მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობას ეს მონაცემები 2000 წელს არ ფიქსირდება, ხოლო 2020 წელს კი მათი რაოდენობა 3.9 მილიონს შეადგენს.



მიგრაციის მსოფლიო ანგარიშის 2000 წლის წვლილი მიგრაციის პოლიტიკაში, აგრეთვე მიგრაციის კვლევებში დროული იყო. 2000 წლიდან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM)– ის მიერ გამოცემულია ათი მსოფლიო მიგრაციის ანგარიში და ის ორგანიზაციის ფლაგმანი გამოცემების სერიად იქცა. ანგარიში მუდმივად ამახვილებს ყურადღებას სათანადო, ჯანსაღ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ წვლილზე, რაც ზრდის მიგრაციის გაგებას პოლიტიკოსების, პრაქტიკოსების, მკვლევარებისა და ფართო საზოგადოების მიერ.

დროთა განმავლობაში ზოგიერთ რეგიონში საერთაშორისო მიგრაციის ზრდამ გავლენა იქონია მოსახლეობის ცვლილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ტრადიციულად იყო საერთაშორისო მიგრანტების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულების რეგიონი, ამ პერიოდის განმავლობაში მას მოსახლეობის პროპორციული ცვლილების ყველაზე ნელი ტემპი ჰქონდა, 1 პროცენტზე ოდნავ მეტი. ამასთან, სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალი იქნება საერთაშორისო მიგრანტების გარეშე, რომლებმაც შეამსუბუქეს მოსახლეობის კლება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად შობადობის შემცირება. შედარებისთვის, აფრიკაში მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, ამ პერიოდში მისი მოსახლეობა თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა, ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის გამო.

ამ პერიოდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მსოფლიო მასშტაბით აფრიკაში იყო, რაც მოსახლეობის 30 პროცენტის ზრდით გამოიხატა, ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებისა და სიცოცხლის ხანგრძლივების გამო.

1970 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო მიგრანტების მთავარი დანიშნულების ქვეყანაა . 1970 წლიდან 2019 წლამდე ქვეყანაში მცხოვრები უცხოეთში დაბადებული ადამიანების რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა - 12 მილიონიდან 51 მილიონამდე. გერმანია მსოფლიოს მასშტაბით მიგრანტების დანიშნულების მეორე მთავარი ადგილია, სადაც მიგრანტების ზრდა 2000 წლიდან 2019 წლამდე 8.9 მილიონიდან 13.1 მილიონამდე გაიზარდა. მიგრანტების დანიშნულების ქვეყნების მსოფლიო ოცეული შემდეგია: 1.ამერიკის შეერთებული შტატები, 2.გერმანია 3. საუდის

არაბეთი, 4. რუსეთის ფედერაცია 5. გაერთიანებული სამეფო 6. გაერთიანებული არაბთა საემიროები 7. საფრანგეთი 8. კანადა 9. ავსტრალია 10. იტალია 11. ესპანეთი 12. თურქეთი 13. ინდოეთი 14. უკრაინა 15. სამხრეთ აფრიკა 16. ყაზახეთი 17. ტაილანდი 18. მალაიზია 19. იორდანია და პაკისტანი. ხოლო რაც შეეხება მიგრანტების წარმოშობის ქვეყნებს, 2019 წელს მიგრანტთა 40%-ზე მეტი 9112 მილიონი) დაიბადა აზიის ქვეყნებში, ძირითადად ინდოეთში, ჩინეთსა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში როგორცაა ბანგლადეში, პაკისტანი და ავღანეთი, შემდეგ კი მოდის მექსიკა და რუსეთის ფედერაცია (World Migration Report 2020).

ამრიგად, ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო მიგრაციის მართვაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, გაეროს წევრი სახელმწიფოები გაერთიანდნენ მიგრაციისა და გადაადგილების საერთაშორისო მანიფესტაციების ორი გლობალური შეთანხმების დასრულების მიზნით: „The Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration” (მიგრაციის გლობალური კომპაქტი, 2018) და „Global Compact on Refugees” (გაერო, 2018).

ბოლო ტენდენციებით, საერთაშორისო მიგრაცია იზრდება. 2020 წლის მონაცემებით, (მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020), მსოფლიოს მასშტაბით 272 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი და მათი ორი მესამედი შრომითი მიგრანტია. საერთაშორისო მიგრანტების შთამბეჭდავი რაოდენობის მიუხედავად, ისინი მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3.5% პროცენტს შეადგენენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გლობალურად ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა (96.5%) ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მიგრანტები რიცხოვნება გლობალურად გაიზარდა, მათი წილი მსოფლიო მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან შედარებით სტაბილური დარჩა. ასევე, აღსანიშნავი ფაქტია, რომ საერთაშორისო მიგრანტების უმეტესობა (74%) სამუშაო ასაკისაა (20-64 წელი), რაც იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო მიგრაციას ძირითადად, ეკონომიური ფაქტორები განაპირობებენ.

## თავი 2: მიგრაციული პროცესების გავლენა ევროკავშირის დემოგრაფიულ ვითარებაზე და საქართველოდან ევროკავშირში მიგრაციის ტენდენციები

### 2.1 ევროკავშირის დემოგრაფიული პროფილი და მიგრაციული პროცესების დინამიკა ისტორიულ ჭრილში

ევროკავშირის ისტორიაში მიგრაციული პროცესების განვითარების თვალსაზრისით სამი პერიოდის გამოყოფა შეიძლება. პირველი პერიოდი მოიცავს 1950-1974 წლებს, ნავთობის კრიზისამდე პერიოდს. ეს პერიოდი სტაბილური ეკონომიკური ზრდა-განვითარებით ხასიათდება. ძირითადად, დომინირებდა მოძრაობები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, რაც მოიცავდა მიგრაციას ყოფილი კოლონიებიდან სამშობლოში და ლტოლვილთა მიგრაციას. მეორე პერიოდი დაიწყო ნავთობის კრიზისით და დასრულდა 1980-იანი წლების ბოლოს რკინის ფარდის დაცემით. ამ ხნის განმავლობაში ჩრდილო-დასავლეთ ევროპის მთავრობები სულ უფრო ზღუდავდნენ მიგრაციას. ამ პერიოდში მიგრანტთა შესვლის მთავარი გზა გახდა ოჯახის გაერთიანება და ოჯახის შექმნა. გარდა ამისა, გაიზარდა მოთხოვნები თავშესაფრის მიღებაზეც. ამ პერიოდის ბოლოს მიგრაციული ნაკადების გადაადგილება დაიწყო სამხრეთ ევროპის ყოფილი ემიგრაციის ქვეყნებისკენ. მესამე პერიოდია რკინის ფარდის დაცემიდან დღემდე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ევროკავშირის (EU) გავლენის გაზრდა გლობალურ დონეზე და ევროკავშირის პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც გულისხმობდა მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირში მიგრაციის კონტროლს და შიდა ევროპული მობილობის წახალისებას (Christof Van Mol, 2016).

ამრიგად, შეგვიძლია გამოვყოთ ევროკავშირში მიგრაციული პროცესების შემდეგი პერიოდები:

- ✓ I პერიოდი - 1950-74 წწ. მუშაკთა სქემები და დეკოლონიზაცია
- ✓ II პერიოდი - 1974-1980 წწ. ნავთობის კრიზისი და მიგრაციის კონტროლი

- ✓ III პერიოდი - 1980 - დღემდე მიგრაციის ბოლოდროინდელი ტენდენციები ევროპისკენ და მის შიგნით

### **1950-იანი წლებიდან 1974 წლამდე: მუშაკთა სქემები და დეკოლონიზაცია**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ეკონომიკური განვითარება მკვეთრი აღმავლობით ხასიათდება. ასე მაგალითად, 1953-1958 წლებში სამრეწველო წარმოება 30% -ით გაიზარდა (Dietz and Kaczmarczyk, 2008). ამ რეგიონში მკვიდრი მუშები სულ უფრო განათლებულნი გახდნენ და სოციალური მობილობის მზარდმა შესაძლებლობებმა ბევრ მათგანს საშუალება მისცა თეთრ საყელოს სამუშაოებზე გადასულიყვნენ (Boyle et al. 1998). აქედან გამომდინარე ადგილობრივმა მუშებმა ვერ შეავსეს ვაკანსიები, რადგან შრომითი რეზერვუარები შეზღუდული იყო. გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას აღარ სურდა არაჯანსაღ და ცუდად ანაზღაურებადი სამუშაოები სოფლის მეურნეობაში, დასუფთავებაში, მშენებლობაში და სამთო სამუშაოებში მუშაობა. შედეგად, ჩრდილო-დასავლეთ ევროპის მთავრობებმა დაიწყეს მუშახელის დაქირავება პერიფერიულ ქვეყნებიდან. ეს ქვეყნები ძირითადი იყო ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, შვედეთი და შვეიცარია. დაკომპლექტებული უცხოელი მუშახელი სამუშაოს დასრულების შემდეგ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ამიტომ მათ მინიჭებული ჰქონდათ მცირე უფლებები მცირედ ან საერთოდ არ მიუწვდებოდათ ხელი სოციალური დახმარების საკითხებზე (Boyle et al. 1998). ამ პერიოდის ბოლოს, ჩრდილო – დასავლეთ ევროპაში მიგრანტთა უმეტესობა ალჟირიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, მაროკოდან, პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, ტუნისიდან, თურქეთიდან და იუგოსლავიიდან ჩამოვიდა. ამ პერიოდში საერთაშორისო მიგრაცია ზოგადად დადებითად განიხილებოდა ეკონომიკური სარგებელის გამო (Bonifazi 2008), როგორც გამგზავნი ასევე მიმღები ქვეყნების პერსპექტივიდან (Bonifazi 2008).

**1974 წლიდან 1980-იანი წლების ბოლომდე: ნავთობის კრიზისი და მიგრაციის კონტროლი**

1973–1974 წლების ნავთობ კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპის ეკონომიკურ ლანდშაფტზე. კრიზისმა ბიძგი მისცა ეკონომიკურ რესტრუქტურირებას და მკვეთრად შეამცირა შრომის მოთხოვნილება (Boyle, Halfacree & Robinson 1998). ამ პერიოდში უსაზღვრო ეკონომიკური ზრდის რწმენა შემცირდა. 1970 და 1972 წლებში შვეიცარია და შვედეთი იყვნენ პირველი ქვეყნები, რომლებიც მიგრაციის შეჩერებას ითხოვდნენ. 1973 და 1974 წლებში მათ სხვა ქვეყნებიც, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი და ბენელუქსი მიჰყვნენ. პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა მიგრაციის კონტროლსა და შემცირებას, გარდაიქმნა მიგრაციის შემაჩერებელ პოლიტიკად. უცხოელი მაცხოვრებლების რიცხვი მუდმივად იზრდებოდა, ევროპული მიგრაციული სისტემების ცირკულარულიდან ჯაჭვური მიგრაციის ცვლილებითა და მიგრანტი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის გამო. მიგრანტები არაევროპული ქვეყნებიდან, რომლებიც ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ ჩამოვიდნენ, სულ უფრო და უფრო მუდმივად დასახლდნენ, რადგან მშობლიურ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში დაბრუნებას მნიშვნელოვანი ნებართვის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა. ბევრმა მიგრანტმა კი დაიწყო მათი ოჯახის ევროპაში ჩამოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები თავდაპირველად ცდილობდნენ ოჯახური მიგრაციის შეზღუდვას, ამას მცირე წარმატება ხვდა წილად (Castles et al. 2014; Hansen 2003). მოგვიანებით, კი 1961 წლის ევროპული სოციალური ქარტიის მე -19 მუხლის თანახმად, მშრომელ მიგრანტთა ოჯახის გაერთიანება მათ ფუნდამენტურ უფლებად იქნა მიჩნეული.

ამ პერიოდში შეიცვალა მცხოვრები მიგრანტი მოსახლეობის შემადგენლობაც. მაშინ, როდესაც პირველ პერიოდში ევროპელი მიგრანტები ყველაზე მეტი იყვნენ, მეორე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა არაევროპელი მიგრანტების მოსახლეობის წილი. მაგალითად, შვედეთში 1999 წელს დაბადებული უცხოელების 40% იყო არაევროპული, 1970 წელს მხოლოდ 7.6% (Goldscheider et al. 2008).

**1990-იანი წლებიდან 2012 წლამდე: მიგრაციის ბოლოდროინდელი ტენდენციები ევროპისკენ და მის შიგნით**

1990 წლიდან მიგრაციამ ევროპაში და ევროპიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. რკინის ფარდის დაშლამ და აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების გახსნამ გამოიწვია მიგრაციის ახალი ნაკადები ევროპაში. ცივი ომის დასრულებამ და ომებმა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში გამოიწვიეს თავშესაფრის მაძიებელთა ახალი ნაკადების შედინება დასავლეთ ევროპაში. ამ პერიოდში წარმოშობის ქვეყნების ხუთეულში შედიოდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა 836,000 ემიგრანტით, რუმინეთი 400,000 ემიგრანტით, თურქეთი 356,000 ემიგრანტით, ერაყი 211,000 ემიგრანტით და ავღანეთი 155,000 ემიგრანტით (Castles et al. 2014). ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში, თავშესაფრის შესახებ ახალი განცხადებები მოჰყვა დაშვების შეზღუდვების და ძალადობრივი კონფლიქტების რაოდენობას.

ამ მესამე პერიოდის განმავლობაში, ინტეგრაციის საკითხები პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად იქცა (Doomernik & Bruquetas, 2028). ევროპის ბევრმა ქვეყანამ გააძლიერა მაღალკვალიფიციური ან განათლებული მიგრანტების მოზიდვის მცდელობები. ეს მიზანი დღესაც აისახება მთელ რიგ ეროვნულ პროგრამებში, მაგალითად, დანიაში, გერმანიაში, შვედეთსა და დიდ ბრიტანეთში. ევროკავშირმა ჩამოაყალიბა თავისი ლურჯი ბარათის სქემა, რაც გულისხმობს ევროკავშირის მასშტაბით ბინადრობისა და მუშაობის ნებართვას (Eurostat 2011). უფრო მეტიც, ევროკავშირს ზოგიერთ ქვეყანაში ევროკავშირის საზღვარგარეთიდან სტუდენტების მიგრაცია სულ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. ზოგიერთ ქვეყნის მთავრობებმა აქტიურად მიიღეს სტუდენტები სამუშაოდ სწავლის დასრულების შემდგომ, საუკეთესო შრომისმოყვარეობის ინტეგრირების მიზნით (Lange 2013). ამ მცდელობებს შეუერთდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სტიმულირებული საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის ეკონომიკური სარგებლით, სწავლის მაღალი საფასურის სახით (Findlay 2011). ამ კონტექსტში, ევროპის რამდენიმე ქვეყანამ, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი, გაამარტივა პროცედურები საერთაშორისო სტუდენტებისთვის (Tremblay 2005; Van Mol 2014).

2019 წლის 1-ლი იანვარს მონაცემებით ევროკავშირში (ევროკომისია, 2020) მცხოვრები მოსახლეობა 446, 8 მილიონ ადამიანს შეადგენდა. აქედან 20.9 მილიონი ადამიანი არის ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან (ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის 4.7%), ხოლო 34.2 მილიონი კი ევროკავშირის საზღვრებს გარეთ დაბადებული ადამიანი (ევროკავშირის მცხოვრები მოსახლეობის 7.7%).


ცხრილი 3. მიგრანტების წილი ევროკავშირის მოსახლეობაში 2019 წელს

ევროკავშირის მოსახლეობა	ევროკავშირის არა მოქალაქეები	ევროკავშირის საზღვრებს გარეთ დაბადებულები
446,8 მლნ	20.9 მლნ	34.2 მლნ

წყარო: ევროსტატი

უცხოეთში დაბადებული მოსახლეობის წილი ევროკავშირში უფრო დაბალია, ვიდრე უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში.

ნახაზი 1. უცხოეთში დაბადებული მოსახლეობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2019 წელს:



წყარო: Eurostat, OECD, UNDESA, 2018 წლის ან 2019 წლის მონაცემები

მიგრაცია ევროკავშირისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენომენია. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელს ევროკავშირში 4,2 მილიონი ბავშვი დაიბადა და 4,7 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, მიგრაციის გარეშე ევროპის მოსახლეობა ნახევარი მილიონით შემცირდებოდა (ევროკომისია, 2020).

ამრიგად, ბოლოდროინდელი მონაცემებით, (ევროკომისია, 2020), 2.2 მილიონი ემიგრანტი შევიდა ევროკავშირის ტერიტორიაზე, ხოლო 0.9 მილიონი ადამიანი გავიდა ევროკავშირის საზღვრებიდან ემიგრაციაში. მთლიანი წმინდა იმიგრაცია ევროკავშირში კი იყო 1.3 მილიონი ადამიანი. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის გარეშე ევროკავშირის მოსახლეობა ნახევარი მილიონით შემცირდებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ 4.7 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა და 4.2 მილიონი ბავშვი დაიბადა.

ამრიგად, შეგვიძლია გამოვყოთ ევროკავშირში მიგრაციული პროცესების განვითარების სამი პერიოდი: 1. მოიცავს 1950-1974 წლებს, ნავთობის კრიზისამდე პერიოდს. ეს პერიოდი სტაბილური ეკონომიკური ზრდა-განვითარებით ხასიათდება. 2. მეორე პერიოდი დაიწყო ნავთობის კრიზისით და დასრულდა 1980-იანი წლების ბოლოს რკინის ფარდის დაცემით. 3. მესამე პერიოდია რკინის ფარდის დაცემიდან დღემდე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ევროკავშირის (EU) გავლენის გაზრდა გლობალურ დონეზე და ევროკავშირის პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც გულისხმობდა მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირში მიგრაციის კონტროლს და შიდა ევროპული მობილობის წახალისებას.

ამრიგად, ევროკავშირისათვის მიგრაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენომენია. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელს ევროკავშირში 4,2 მილიონი ბავშვი დაიბადა და 4,7 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, მიგრაციის გარეშე ევროპის მოსახლეობა ნახევარი მილიონით შემცირდებოდა. ბოლოდროინდელი მონაცემებით, (ევროკომისია, 2020), 2.2 მილიონი ემიგრანტი შევიდა ევროკავშირის ტერიტორიაზე, ხოლო 0.9 მილიონი ადამიანი გავიდა ევროკავშირის საზღვრებიდან ემიგრაციაში. მთლიანმა წმინდა იმიგრაციამ ევროკავშირში 1.3 მილიონი ადამიანი შეადგინა.



## 2.2 ევროკავშირში მიგრაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მდგენელების ზეგავლენა მოსახლეობის ფორმირებაზე

საკმაოდ რთულია იმ ფაქტორების პროგნოზირება, რომლებიც გავლენას ახდენენ მიგრაციაზე. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ რთულია ისეთი მოვლენების პროგნოზირება, როგორც არის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული განვითარებები, შესაბამისად არსებული რეალობის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ მიმდინარე ვითარებიდან არის შესაძლებელი.

მიგრანტები შეიძლება დაიყოს ორ ფართო კატეგორიად: ჰუმანიტარული და ეკონომიკური. ჰუმანიტარულ მიგრანტებში შედიან თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები. ეს პირები ჩვეულებრივ მიგრირებენ თავიანთი წარმოშობის ქვეყანასთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნებში. ეკონომიკური მიგრანტები კი მიგრირებენ სამუშაოს ძებნის ან ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. წარსულში, ეს მიგრანტები ღარიბი ქვეყნებიდან შედარებით მდიდარ ქვეყნებში მიემართებოდნენ.

სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებიც შეიძლება ბიძგის მიმცემი გახდეს მიგრაციისათვის. ასეთი ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს ეთნიკურ, რელიგიურ, რასობრივ და კულტურულ დევნას. ომი ან კონფლიქტის საფრთხე, ასევე, მნიშვნელოვანი ბიძგის ფაქტორებია.

რელიგიური და ეთნიკური იდენტურობის პოლიტიზირებას შეუძლია გამოიწვიოს კონფლიქტის მნიშვნელოვანი დონე სახელმწიფოებში. ემპირიული მტკიცებულებების თანახმად, სახელმწიფოები, რომლებიც ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიაზე გადადიან პოლიტიკაში, უფრო მეტად ემუქრებათ არასტაბილურობა და შინაგან კონფლიქტი და ხშირად ამ სახელმწიფოებს არ აქვთ სოციალური არასტაბილურობის სათანადო რეაგირების შესაძლებლობა. შესაბამისად ასეთი სახელმწიფოები წარმოშობენ სწორედ მიგრანტებს, რომლებიც თავშესაფრის ძიების მიზნით მიმართავენ ემიგრაციას.

მიგრაციის ეკონომიკური ფაქტორები დაკავშირებულია ქვეყნების შრომის ბაზრებთან, მათ უმუშევრობის დონესთან და მთლიანად ეკონომიკის სიჯანსაღესთან. თუ ეკონომიკური პირობები არ არის ხელსაყრელი და თუ ეკონომიკას შემცირების საფრთხე ემუქრება, უფრო მეტი ადამიანი დიდი ალბათობით ემიგრირდება უკეთესი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. ეს მიგრანტები, სავარაუდოდ, ჩამოდიან საშუალო შემოსავლის ქვეყნებიდან, სადაც მოსახლეობა სულ უფრო კარგად იღებს განათლებას. ხშირად ეკონომიკური რეცესიას იწვევს ხალხის გადაადგილებას სოფლებიდან ურბანულ უბნებში.

ტექნოლოგიურ წინსვლას, როგორც კომუნიკაციებში, ასევე ტრანსპორტში, შრომის ბაზრების ლიბერალიზაციასთან ერთად, აქვს ცირკულარული მიგრაციის გამოწვევის ტენდენცია. ესეთი სახის მიგრაცია ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდები მიგრირებენ წარმოშობისა და დანიშნულების ადგილებს შორის რამდენიმე ცალკეულ შემთხვევებში. საერთოდ, ეკონომიკური ძალები უბიძგებს ინდივიდებს გადავიდნენ იმ ქვეყნებში, სადაც დასაქმების პერსპექტივები უკეთესად წარმოიქმნება. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ცირკულარულ მიგრაციას შეიძლება ჰქონდეს განვითარების პოზიტიური შედეგები. რაც მთავარია, ცირკულარული მიგრანტები უფრო მეტ გზავნილებს აგზავნიან თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში, ვიდრე ისინი, ვინც მუდმივად დასახლდებიან დანიშნულების ქვეყანაში. გარდა ამისა, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ტვინის გადინებასთან და სამუშაო ძალის ამოღებასთან, მეტწილად თავიდან აცილებულია. ექსპლუატაციის პრობლემები კი კვლავ რჩება, რაც მიანიშნებს, რომ საჭიროა ძალისხმევა, რომ მოხდეს ცირკულარული მიგრანტების უფლებების სტანდარტიზებული რეგულაციების მიღება.

ასევე, არსებობს ეკოლოგიური მიგრანტები, რომელთა მიგრაციაც გამოწვეულია ეკოლოგიური ფაქტორებით და სხვა ეკოლოგიური კატასტროფებით. ეკოლოგიური ფაქტორებიდან, რომლებიც ინდივიდებს მიგრაციაში წასვლას აიძულებს, კლიმატის ცვლილება, სავარაუდოდ, ყველაზე სერიოზულია. მაშინაც კი, თუ კლიმატის ცვლილებით დაზარალებული პირები მხოლოდ მცირე მანძილზე გადაადგილდებიან, ამან შეიძლება შეცვალოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკა.

ამრიგად, ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა, შეუწყნარებლობის დონის მატება, ასევე კლიმატის ცვლილების საფრთხე და მასთან დაკავშირებული ზემოქმედება წარმოადგენს ყველა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს მიგრაციას და მოსახლეობის გადაადგილებას.

ზოგადად განასხვავებენ მიგრანტების ორ ტიპს: ჰუმანიტარულს და ეკონომიკურს. ჰუმანიტარული მიგრანტები არიან თავშესაფრის მაძიებელები და ლტოლვილები, მაშინ როცა ეკონომიკური მიგრანტები საერთაშორისო მიგრაციაში მიდიან მაღალი ხელფასებისა და უკეთესი შესაძლებლობების გამო ან სულაც თავიანთი ქვეყნიდან სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციისან გაქცევის სრვილით. დანიშნულების ადგილის განსაზღვრისას ეკონომიკურ მიგრანტებს უფრო მეტი არჩევანი აქვთ, ვიდრე ჰუმანიტარული მიგრანტებს. ასევე, არსებობენ ეკოლოგიური მიგრანტები, რომლებიც ეკოლოგიური პირობების გამო იცვლიან საცხოვრებელს და შეუძლიათ აირჩიონ მიგრაცია საკუთარი სახელმწიფოდან სხვა უფრო ხელსაყრელი გარემო პირობების მქონე ადგილმდებარეობები.

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიურ წინსვლას, როგორც კომუნიკაციებში, ასევე ტრანსპორტში, შრომის ბაზრების ლიბერალიზაციასთან ერთად, აქვს ცირკულარული მიგრაციის გამოწვევის ტენდენცია, რაც თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი გახდა. შესაბამისად, საჭიროა, ცირკულარული მიგრანტების უფლებების სტანდარტიზებული რეგულაციების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიგრირებული „ტვინების“ ექსპლუატაციის პრობლემები.

ამრიგად, ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა, შეუწყნარებლობის დონის მატება, ასევე კლიმატის ცვლილების საფრთხე და მასთან დაკავშირებული ზემოქმედება წარმოადგენს ყველა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს მიგრაციას და მოსახლეობის გადაადგილებას.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, ზოგადად განასხვავებენ მიგრანტების ორ ტიპს: ჰუმანიტარულს და ეკონომიკურს. ჰუმანიტარული მიგრანტები არიან თავშესაფრის მაძიებელები და ლტოლვილები, მაშინ როცა ეკონომიკური მიგრანტები საერთაშორისო

მიგრაციაში მიდიან მაღალი ხელფასებისა და უკეთესი შესაძლებლობების გამო ან სულაც თავიანთი ქვეყნიდან სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციისა და გაქცევის სრვილით. დანიშნულების ადგილის განსაზღვრისას ეკონომიკურ მიგრანტებს უფრო მეტი არჩევანი აქვთ, ვიდრე ჰუმანიტარული მიგრანტებს. ასევე, არსებობენ ეკოლოგიური მიგრანტები, რომლებიც ეკოლოგიური პირობების გამო იცვლიან საცხოვრებელს და შეუძლიათ აირჩიონ მიგრაცია საკუთარი სახელმწიფოდან სხვა უფრო ხელსაყრელი გარემო პირობების მქონე ადგილმდებარეობები.

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიურ წინსვლას, აქვს ცირკულარული მიგრაციის გამოწვევის ტენდენცია, რაც თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი გახდა. შესაბამისად, საჭიროა, ცირკულარული მიგრანტების უფლებების სტანდარტიზებული რეგულაციების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიგრირებული „ტვინების“ ექსპლუატაციის პრობლემები.

### 2.2.1 მიგრაცია ევროკავშირში და ევროკავშირიდან

წლების განმავლობაში ევროკავშირის მოსახლეობის რიცხოვნება იზრდება. წლების განმავლობაში გაზრდილია როგორც ევროპის ასევე მსოფლიო მოსახლეობა, მაგრამ შემცირებულია ევროპის მოსახლეობის წილი მსოფლიო მოსახლეობაში.

თუ გადავხედავთ ევროპის მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკის მაჩვენებლებს ისტორიულ ჭრილში, აშკარა ზრდას დავინახავთ. ასე მაგალითად, 1955 წელს ევროპის მოსახლეობა 576,678,796 ადამიანს შეადგენდა, რაც მსოფლიო მოსახლეობის 22.70%-ს შეადგენდა (მსოფლიო მოსახლეობა 1955 წელს 2,773,019,936.00 ადამიანი) (Worldometer 2021). 1955 წელს ევროპაში წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი იყო -350,343 ადამიანი, ხოლო შობადობის მაჩვენებელი კი 2.66. ამავე წელს ევროპის მოსახლეობის 54.5%, რაც 314,448,167 მოსახლე. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა ევროპის ქვეყნების ურბანულ ნაწილში (იხ ცხრილი 4 და ნახაზი 2).


ცხრილი 4. ევროპის მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკა 1955-2020 წწ.

წელი	ევროპის მოსახლეობა	წლიური პროცენტული ცვლილება	საშუალო ასაკი	შობადობის მაჩვენებელი	ურბანული მოსახლეობა	პროცენტული ურბანული მოსახლეობა
2020	747,636,026.00	0.12%	42.50	1.61	556,684,039.00	74.50%
2019	747,182,751.00	0.10%	41.70	1.60	554,832,332.00	74.30%
2018	746,419,440.00	0.13%	41.70	1.60	552,911,225.00	74.10%
2017	745,414,735.00	0.15%	41.70	1.60	550,959,276.00	73.90%
2016	744,268,827.00	0.16%	41.70	1.60	549,030,165.00	73.80%
2015	743,059,035.00	0.18%	41.40	1.60	547,147,213.00	73.60%
2010	736,412,989.00	0.19%	40.30	1.56	537,672,650.00	73.00%
2005	729,287,846.00	0.10%	39.10	1.43	525,432,178.00	72.00%
2000	725,558,036.00	-0.04%	37.70	1.43	516,725,121.00	71.20%
1995	726,994,464.00	0.17%	36.10	1.57	513,345,193.00	70.60%
1990	720,858,450.00	0.37%	34.60	1.81	504,664,993.00	70.00%
1985	707,584,266.00	0.40%	33.50	1.88	487,685,628.00	68.90%
1980	693,566,517.00	0.49%	32.60	1.98	469,099,633.00	67.60%
1975	676,895,467.00	0.60%	32.10	2.17	444,003,514.00	65.60%
1970	656,919,379.00	0.69%	31.70	2.37	415,016,294.00	63.20%
1965	634,783,204.00	0.95%	30.90	2.57	314,448,167.00	49.50%
1960	605,406,980.00	0.98%	30.30	2.66	347,599,944.00	57.40%
1955	576,678,796.00	0.98%	29.50	2.66	314,448,167.00	54.50%

წყარო: Worldometer, 2021

2020 წელს როგორც მსოფლიო, ასევე ევროპის მოსახლეობის ზრდა შეინიშნება, მსოფლიო მოსახლეობა 7,794,798,739 ადამიანია, ხოლო ევროპის მოსახლეობა კი 747,636,026, რაც მსოფლიო მოსახლეობის 10.1%-ია. გაზრდილია წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი და 2020 წელს ევროპაში წმინდა მიგრაცია 1,361,011 ადამიანია. ევროპის მოსახლეობის 74.5% (556,684,039) ცხოვრობს ქვეყნების ურბანულ ნაწილში. აღსანიშნავი ფაქტია, რომ შობადობის მაჩვენებელი 2020 წელს შემცირებულია და არის 1.61 (Worldometer 2021).

ნახაზი 2. ევროპის მოსახლეობა ზრდის დინამიკა



წყარო: Worldometer, 2021

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიგრანტებს საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში. 2019 წლის მიგრაციის მონაცემები ნათლად ცხადყოფს, რომ მიგრაციის გარეშე, ევროკავშირის მოსახლეობა ნახევარი მილიონით შემცირდებოდა.

1955 წელს წმიდა მიგრაციის უარყოფითი სალდო (350,343.00) ადამიანი დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპიდან მიგრაცია იყო უფრო მეტი, ვიდრე ევროპაში მიგრაცია. 2020 წელს კი მიგრანტები ევროპის მოსახლეობის 0,18%-ს შეადგენდა (იხ ცხრილი 5).

ცხრილი 5. ევროპის მოსახლეობა და მიგრანტების წილი 1955-2020 წწ


წელი	ევროპის მოსახლეობა	მიგრანტები (წმინდა)	ევროპის პროცენტული წილი მსოფლიო მოსახლეობაში	მსოფლიო მოსახლეობა
2020	747,636,026.00	1,361,011.00	10.10%	7,794,798,739.00
2019	747,182,751.00	1,361,011.00	9.70%	7,713,468,100.00
2018	746,419,440.00	1,361,011.00	9.80%	7,631,091,040.00

2017	745,414,735.00	1,361,011.00	9.90%	7,547,858,925.00
2016	744,268,827.00	1,361,011.00	10.00%	7,464,022,049.00
2015	743,059,035.00	1,378,064.00	10.70%	7,379,797,139.00
2010	736,412,989.00	1,728,642.00	11.30%	6,956,823,603.00
2005	729,287,846.00	1,835,792.00	11.90%	6,541,907,027.00
2000	725,558,036.00	632,242.00	12.60%	6,143,493,823.00
1995	726,994,464.00	993,780.00	13.60%	5,744,212,979.00
1990	720,858,450.00	481,249.00	14.80%	5,327,231,061.00
1985	707,584,266.00	315,617.00	15.90%	4,870,921,740.00
1980	693,566,517.00	405,801.00	17.00%	4,458,003,514.00
1975	676,895,467.00	365,417.00	18.30%	4,079,480,606.00
1970	656,919,379.00	(68,107.00)	19.70%	3,700,437,046.00
1965	634,783,204.00	41,852.00	20.90%	3,339,583,597.00
1960	605,406,980.00	(577,020.00)	21.80%	3,034,949,748.00
1955	576,678,796.00	(350,343.00)	22.70%	2,773,019,936.00

წყარო: Worldometer, 2021

თუ შევხედავთ 1955 წლიდან 2020 წლის ჩათვლით ევროპაში შობადობის მაჩვენებლებს, 1960 წლიდან 2000 წლამდე მკვეთრი შემცირება აღინიშნება. 2005 წლიდან კი იწყება შობადობის მაჩვენებლის ზრდა, რომელიც 2020 წლამდე გრძელდება. თუმცა აღსანიშნავი ფაქტია, რომ ეს ზრდა ვერ უტოლდება 1955 წლიდან 1990 წლამდე შობადობის მაჩვენებლებს (იხ ნახაზი 3) .


ნახაზი 3. ევროპაში შობადობის მაჩვენებლების დინამიკა 1955-2020წწ.



წყარო: Worldometer, 2021

რაც შეეხება მიგრანტების რაოდენობას ევროკავშირის ქვეყნებში 1955 წლიდან 2020 წლამდე მათი აშკარა მატებაა. მონაცემები ევროპის მოსახლეობისა და მიგრანტების რიცხვების ზრდის კორელაციას არ უჩვენებს, მაგრამ აშკარაა, რომ წლების განმავლობაში იზრდება ევროპის მოსახლეობა და ასევე, მიგრანტების რაოდენობა ევროპაში (იხ. ნახაზი 4) .

ნახაზი 4. მიგრანტების რიცხოვნების დინამიკა ევროპაში 1955 -2020 წწ.






### ევროკავშირში მიგრაციის მიზეზები

2019 წელს ევროკავშირში ჩამოსვლის მიზეზი ბინადრობის ნებართვის მქონე ადამიანებისთვის (სულ 13,763,319 ადამიანი) იყო ოჯახის მიზეზი 38%, სამუშაო 17%-ისთვის, 9% თავშესაფარი, 4%-ისთვის განათლება და 32% სხვა მიზეზები (ევროკომისია, 2020).


ნახაზი 5. ევროკავშირში ჩამოსვლის მიზეზები



წყარო: ევროსტატი

2019 წელს ევროკავშირში გაიცა 3 მილიონი პირველად შეტანილი მოთხოვნა ბინადრობის ნებართვაზე შემდეგი მიზეზების გამო: სამუშაო-41%, ოჯახი 27%, განათლება 14%, თავშესაფარი 9% , ხოლო 9% სხვა მიზეზების გამო (ევრო სტატი, 2020).

ნახაზი 6. ევროკავშირში ბინადრობის მოთხოვნის მიზეზები 2019 წელი




წყარო: ევრო სტატი

ქვემოთ ცხრილში კი მოცემულია ტოპ 10 ქვეყანა, საიდანაც 2019 წელს მიგრანტთა ყველაზე დიდი ნაკადი აღინიშნებოდა, რომლებმაც მიიღეს თანხმობა პირველად შეტანილ ბინადრობის მოთხოვნაზე. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან სიის ლიდერი უკრაინა მაშინ, როდესაც ინდოეთი და ჩინეთი, ემიგრანტების ყველაზე დიდი რაოდენობის წარმომშობი ქვეყნები, მესამე და მეოთხე ადგილს იკავებენ. ხოლო რუსეთი და ბელორუსია, შესაბამისად, მე-7 და მე-10 ადგილს იკავებენ.

ნახაზი 7. ბინადრობის ნებართვის რაოდენობები ქვეყნების მიხედვით

2019 წელი



წყარო: ევროსტატი

2019 წელს ევროკომისიის მონაცემებით (ევროკომისია, 2020) ევროკავშირის შრომის ბაზარზე დასაქმებული იყო 8.8 მილიონი ევროკავშირის არაწევრი მოქალაქე, 20-დან 64 წლამდე 191.5 მილიონი ადამიანიდან, რაც საერთო ჯამში 4.6% -ს შეადგენს.

სამუშაო ასაკის მოსახლეობაში დასაქმების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია ევროკავშირის მოქალაქეებისთვის (73.8%), ვიდრე ევროკავშირის არაწევრი მოქალაქეებისთვის (60%) 2019 წელს (ევროკომისია, 2020).

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ბევრი ევროკავშირის არა მოქალაქე მნიშვნელოვანი მუშახელია. 2019 წელს ევროკავშირის არა მოქალაქეები ზედმეტად იყვნენ წარმოდგენილი ზოგიერთ სპეციფიკურ ეკონომიკურ სექტორში, რომელიც მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი 6. ევროკავშირის არა მოქალაქეების სამუშაო სექტორებში გადანაწილება - 2019წ.

სექტორი	ევროკავშირის არა მოქალაქეების საერთო დასაქმება	ევროკავშირის მოქალაქეების საერთო დასაქმება
განთავსების/საცხოვრებლისა და კვების ობიექტების საქმიანობა	13.2%	4.4%
ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობა	7.5 %	4.0 %
საშინაო სამუშაო	7.5 %	0.8 %

წყარო: ევროსტატი

საქმიანობის თვალსაზრისით, ევროკავშირის არა მოქალაქეები ყველაზე ჭარბად იყვნენ წარმოდგენილი ე.წ. „შავ სამუშაოებზე“, ანუ მომსახურების ისეთ სფეროებში, როგორცაა დამხმარე პერსონალი და დამლაგებლები, სამშენებლო მუშები, საკვების მომზადების თანამშემწეები და ა. შ (იხ ცხრილი 7).

ცხრილი 7. ევროკავშირის არა მოქალაქეების გადანაწილება საქმიანობის მიხედვით 2019წ.

სექტორი	ევროკავშირის არა მოქალაქეების საერთო დასაქმება	ევროკავშირის მოქალაქეების საერთო დასაქმება
დამლაგებლები და დამხმარეები	13.3 %	3.2 %
პირადი სამსახურის მუშაკები	9.5 %	4.7 %
პირადი ჰიგიენის მუშაკები	5.3 %	2.9 %
სამშენებლო მუშები	6.5 %	3.8 %
მუშახელი სამთო, სამშენებლო, საწარმოო და სატრანსპორტო სფეროში	6.1 %	2.6 %

საკვების მომზადების თანაშემწეები	3.0 %	0.6 %
სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის მშრომელები	2.5 %	0.7 %

წყარო: ევროსტატი

ევროკავშირის არა მოქალაქეები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი სხვა ეკონომიკურ სექტორებში, მათ შორის, სახელმწიფო სექტორში და განათლების სექტორში. კიდევ უფრო ნაკლებია მათი მონაწილეობა ბიზნეს ადმინისტრაციისა და სოფლის მეურნეობის პროფესიონალებს შორის (იხ ცხრილი 7).

ცხრილი 8. ევროკავშირის არა მოქალაქეების გადანაწილება სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებში - 2019წ.

სექტორი	ევროკავშირის არა მოქალაქეების საერთო დასაქმება	ევროკავშირის მოქალაქეების საერთო დასაქმება
სახელმწიფო ადმინისტრაცია და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაცვა	1.0%	7.1%
განათლება	3.2%	7.5%
სწავლების პროფესიონალები	1.7 %	5.0 %
ბიზნესის და ადმინისტრაციის ასოცირებული პროფესიონალები	2.0 %	7.0 %
ბაზარზე ორიენტირებული გამოცდილი სოფლის მეურნეობის მუშაკები	.3 %	3.2 %

წყარო: ევროსტატი

## 2.2.2 ლტოლვილები ევროკავშირში

გაეროს განმარტებით, ლტოლვილი არის ლტოლვილი არის ადამიანი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყანა დევნის, ომის ან ძალადობის გამო (გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2021). ლტოლვილს აქვს დევნის საფუძვლიანი შიში რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური აზრის ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო. სავარაუდოდ, მათ სახლში დაბრუნება არ შეუძლიათ ან ამის ეშინიათ. ომი და ეთნიკური, ტომობრივი და რელიგიური ძალადობა ლტოლვილების ქვეყნებიდან გაქცევის ძირითადი მიზეზებია.

ლტოლვილების 68% მხოლოდ ხუთი ქვეყნიდან მოდის: სირია, ვენესუელა, ავღანეთი, სამხრეთ სუდანი და მიანმარი (გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2021).

ასევე, გაეროს განმარტებით იძულებით გადაადგილებული პირი არის ის ვინც იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი, მაგრამ არ გადალახა საერთაშორისო საზღვარი. ეს ადამიანები ეძებენ უსაფრთხოებას ყველგან, სადაც კი ნახავენ - ახლომდებარე ქალაქებში, სკოლებში, დასახლებებში, შიდა ბანაკებში, ტყეებსა და მინდვრებშიც კი. იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მოიცავს შიდა დაპირისპირებებსა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დევნილებს, ყველაზე დიდი ჯგუფებია, რომელსაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ეხმარება. ლტოლვილებისგან განსხვავებით, დევნილები არ არიან დაცული საერთაშორისო სამართლის მიერ და ვერ მიიღებენ მრავალი სახის დახმარებას, რადგან ისინი კანონიერად იმყოფებიან საკუთარი მთავრობის დაცვის ქვეშ. დღეის მდგომარეობით მსოფლიოში 48 მილიონი ადამიანი არის იძულებით გადაადგილებული პირი. ქვეყნები, რომლებსაც ჰყავთ იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდი მოსახლეობა არის კოლუმბია, სირია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და იემენი (გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2021).

ხოლო თავშესაფრის მაძიებელი არის პირი, რომელიც ტოვებს საკუთარ ქვეყანას და ითხოვს თავშესაფარს სხვა ქვეყანაში. ესეთი ტიპის ადამიანები ითხოვენ ლტოლვილად აღიარების და იურიდიული დაცვის უფლებას. თავშესაფრის მაძიებელმა უნდა აჩვენოს, რომ მისი სამშობლოში დევნის შიში საფუძვლიანია. 2020 წლის მონაცემებით მსოფლიოში 1.1 მილიონი თავშესაფრის მაძიებელია (გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2021).

ევროკავშირი წარმოადგენს საკუთარი ქვეყნიდან დევნილი ადამიანების დაცვის ადგილს. 1951 წლის ლტოლვილთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციით აღიარებულია, რომ თავშესაფარი არის ფუნდამენტური უფლება და ქვეყნებისთვის საერთაშორისო ვალდებულება (ევროკომისია, 2021).

ევროკავშირში, რომელიც წარმოადგენს ღია საზღვრებს და გადაადგილების თავისუფლებას, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთო ძირითადი ფასეულობები და მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას. ევროკავშირის წევრს სახელმწიფოებს აქვთ საერთო პოლიტიკა თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ, რაც ითვალისწინებს მათ ღირსეულ მიღებას, მათდამი სამართლიან ქცევას და საერთო სტანდარტებს, რომელიც გამოყენებულია მათი შემთხვევების განხილვისას. აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს იმ ფაქტს, რომ თავშესაფრის მაძიებლებისთვის ყველა ქვეყანაში ერთიდაიგივე შედეგი დგება.

თუმცა, თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადები მუდმივი არ არის და არც თანაბრად ნაწილდება ევროკავშირის ქვეყნებში. მაგალითად, 2015 წელს თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 1.8 მილიონი იყო, ხოლო 2019 წელს 142 000 ადამიანი, რაც 92%-იანი შემცირებაა (ევროკომისია, 2021).

1999 წლიდან აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირმა დააფუძნა საერთო ევროპული თავშესაფრის სისტემა (CEAS). ევროკომისიამ 2020 წელს წარმოადგინა თავშესაფრისა და მიგრაციის პოლიტიკის სისტემის რეფორმა, რომელიც მოიცავს:

- დაბრუნებისა და თავშესაფრის პროცედურებს;
- პასუხისმგებლობისა და სოლოდარობის სამართლიანად, ანუ თანაბარგადანაწილებას;
- მესამე ქვეყნებთან პარტნიორობის გაძლიერება.

აღნიშნული სიტემა ადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის საერთო სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს თავშესაფრის მაძიებლებისთვის სამართლიანი და თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში. სისტემის მართვაში მონაწილეობს ერთი სააგენტო და ხუთი საკანონდებლო ინსტრუმენტი:

- **დირექტივა თავშესაფრის პროცედურებზე**, რომლის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი, ხარისხიანი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება თავშესაფრის მაძიებელთა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. ასევე, განსაკუთრებულად არის უზრუნველყოფილი წამების მსხვერპლთა და უპატრონო არასრულწლოვანების დაცვა;
- **მიღების პირობების დირექტივა** მოიცავს ევროკავშირის ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებლებისთვის საერთო სტანდარტების უზრუნველყოფას (როგორცაა დასაქმება, განათლება, ჯანმრთელობა, საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი).
- **საკვალიფიკაციო დირექტივა** მოიცავს საერთაშორისო დაცვის მინიჭების პირობებს, საფუძვლებსა და გადაწყვეტილების მიღებას. ასევე, მოიცავს ბენეფიციარებისთვის ინტეგრირების ზომებისა და უფლებების უზრუნველყოფას;
- **დუბლინის დებულება** განმარტავს და ადგენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთმარეგულირებელ პროცედურებსა და წესებს, რომელიც მიმართულია თავშესაფრის მაძიებელთა დაცვისკენ. ამის შედეგად წარმოქმნილი სიტემა ადგენს მიმღები ქვეყნებისა და თავშესაფრის



მაძიებლების პრობლემებს ადრეულ სტადიებზე და უზრუნველყოფს მათი გადაჭრის გზებს;


- **EURODAC რეგულაცია** დუბლინის დებულების შესაბამისად მხარს უჭერს თავშესაფრის მაძიებლების მიმღების ქვეყნების პასუხისმგებლობების განსაზღვრას. ასევე, უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლების თითის ანაბეჭდების ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემას, რაც მიზნად ისახავს სერიოზული დანაშაულებების (როგორცაა ტერორიზმი და მკვლელობა) პრევენციას;
- **ევროპის თავშესაფრის ოფისი** უზრუნველყოფს მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობას ევროპული სისტემების დანერგვის გზით, რაც მოიცავს სხვადასხვა სახის ტრენინგებს, ინფორმაციის გაცვლას, გადაუდებელ დახმარებებს, ინფორმაციის ანალიზს და სხვა.

2019 წელს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით (ევროკომისია, 2020) მსოფლიოში 26 მილიონი ლტოლვილი და 45.7 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების მიხედვით გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ 2019 წელს მსოფლიო მოსახლეობის ლტოლვილთა 10% და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობდა ევროკავშირის ტერიტორიაზე.

ევროკავშირში ლტოლვილთა წილი მის საერთო მოსახლეობასთან შედარებით 0.6%-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს მსოფლიოში ათ ქვეყანას, სადაც ყველაზე მაღალი ლტოლვილთა მაჩვენებელია და ევროკავშირს:

ნახაზი 8. მსოფლიოში ლტოლვილთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლების ქვეყნები 2019წ.



წყარო: გაეროს ლტოლვილთა სააგენტო <https://www.unhcr.org/>

გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ აფრიკიდან და აზიიდან ლტოლვილთა უმრავლესობა საცხოვრებლად არა ევროკავშირში არამედ უფრო მეტად მეზობელ ქვეყნებში მიემართება.

2019 წელს 27 301 ლტოლვილი ჩავიდა ზღვის მარშუტით იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, კვიპროსსა და მალტაში. ჩამოსული პირების 40 პროცენტი ქალი და ბავშვია. 2019 წელს უკვე დაფიქსირდა 584 ადამიანი, რომლებიც დაილუპნენ ან დაიკარგნენ სახიფათო სახმელეთო და საზღვაო მოგზაურობის გამო.

2016 წლის ბოლოს თითქმის 5,2 მილიონმა ლტოლვილმა და მიგრანტმა მიაღწია ევროპის სანაპიროებს, რომლებიც საშიშ და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი მოგზაურობის შედეგად მივიდნენ სირიიდან, ერაყიდან, ავღანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ომმა და დევნილებმა გაანადგურა.


ზოგისთვის ეს სასოწარკვეთილი მოგზაურობა უკანასკნელი იყო. ათასობით ადამიანმა დაკარგა სიცოცხლე ან დაიკარგა 2015 წლის შემდეგ, ხოლო მზარდი ქალებისა და თანხლების გარეშე ბავშვების სიცოცხლე საშიშ მოგზაურობას აგრძელებს უსაფრთხოების ძიების მიზნით.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით 2018 წელს 20 400 ლტოლვილი წარადგინა ევროპის 20 ქვეყანაში განსახლებისთვის.

### 2.2.3 ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებლები

პირველად თავშესაფრის მაძიებლები წარმოშობის კონტინენტის მიხედვით 2019 წელს 25% (158 215 ადამიანი) აზიის ქვეყნებიდან იყო, 24%(153 065 ადამიანი) აფრიკის კონტინენტიდან, 19% (118 010 ადამიანი) ლათინური ამერიკიდან, 18% (114 105 ადამიანი) შუა აღმოსავლეთიდან, 12% (78 500 ადამიანი) ევროპიდან და 2% (9 410 ადამიანი) სხვა დანარჩენი (ევროსტატი, 2020).

ნახაზი 9. ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებლები რეგიონების მიხედვით (% 2019 წელი)




წყარო: ევროსტატი

2019 წელს თავშესაფრის მაძიებლები დაახლოებით 150 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. 699,000 განცხადება, მათ შორის პირველადი 631,000 განცხადება, შეიტანეს ევროკავშირში, რაც 12% -ით არის გაზრდილი 2018 წელთან შედარებით.

ხოლო ქვემოთ მოცემული ცხრილი კი წარმოადგენს 2019 წლის 15 ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანას, რომლის მოსახლეობაც მიმართავს ევროკავშირში მიგრაციას თავშესაფრის ძიების მიზნით (ევროკომისია, 2020). (პირველად შეტანილი მოთხოვნა ბინადრობის ნებართვაზე). ამ 15 ქვეყანას შორის საქართველო მე-9 ადგილს იკავებს 19 910 (3.2%) ადამიანით. პირველ ადგილზე სირია 74 895 ადამიანით, რაც 11.9%-ია, შემდგომ მოდის ავღანეთი 54 230 ადამიანით (8.6%), ვენესუელა 44 770 ადამიანი (7.1%), კოლუმბია 31 850 ადამიანი (5%), ერაყი 26 840 ადამიანი (4.3%), პაკისტანი 24340 ადამიანი (3.9%), თურქეთი 23 415 (3.7%), ნიგერია 20 505 ადამიანი (3.2%), საქართველო 19 910 ადამიანი (3.2%), ალბანეთი 17 065 ადამიანი (2.7%), ირანი 16 925 ადამიანი (2.7%), ბანგლადეში 13 190 ადამიანი (2.1%), სომალი 12 845 ადამიანი (2%), გვინეა 12 140 ადამიანი (1.9%), ხოლო რუსეთი კი 11 715 ადამიანი (1.9%).

ნახაზი 10. მიგრანტთა წარმომშობი ქვეყნები - 2019 წელი



წყარო: ევროსტატი

თავშესაფრის მაძიებლების განცხადებების მზარდი წილი მოდის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მქონე ქვეყნებიდან (პირველადი აპლიკანტების 27% 2019 წელს), რომლებიც ლეგალურად კვეთენ ევროკავშირის საზღვარს, ეს ქვეყნებია:

- ვენესუელა (7.1% პირველადი განცხადება)
- კოლუმბია (5.0%)

- საქართველო (3.2%)
- ალბანეთი (2.7%)

ყველაზე მეტი პირველადი განაცხადი შემდეგ ქვეყნებზე მოდის:

- გერმანია (142,450)
- საფრანგეთი (138,290)
- ესპანეთი (115,175)
- საბერძნეთი (74,910)
- იტალია (35,005)

2019 წელს თავშესაფრის მაძიებელი 207,000 ადამიანი იყო 18 წლამდე ასაკის - მათი 7% (14,000) იყო უპატრონო ბავშვი. უპატრონო ბავშვების უმეტესობა ავღანეთიდან, სირიიდან და პაკისტანიდან ჩამოვიდა.

ლტოლვილთა აღიარება

2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა 541,000 თავშესაფრის მაძიებლების პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მიიღეს (ევროკომისია, 2020). ამ გადაწყვეტილებების 38% დადებითი იყო:

- 109 000 პირმა მიიღო ლტოლვილის სტატუსი;
- 52 000-ს მიენიჭა დამხმარე დაცვის სტატუსი;
- 45 000-მა მიიღო ჰუმანიტარული სტატუსი.

შემდგომი 297,000 საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჩივრის საფუძველზე, მათ შორის:

- 33000 გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ;
- 30,000 დამხმარე დაცვის სტატუსის მინიჭება;
- 28 000 ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება.


საერთო ჯამში, ევროკავშირის ქვეყნებმა გარკვეული დაცვა მიანიჭეს თითქმის 300,000 ადამიანს 2019 წელს. ყველაზე დიდი ჯგუფები იყვნენ:

- სირია (27%);
- ავღანეთი (14%);
- ვენესუელა (13%).

#### თავშესაფრის სისტემის ეფექტურობა

- გაუმჯობესება დამუშავების დროში 2019 წლის ბოლოს 929,000 თავშესაფრის მოთხოვნა განიხილებოდა, რაც ოდნავ ნაკლებია ვიდრე წინა წელს (941,000), რაც დამუშავების დროის გაუმჯობესებას ნიშნავს;
- სხვადასხვა პროცესის დრო წევრ სახელმწიფოებში მოლოდინში მყოფი საქმეებისა და აპლიკაციების თანაფარდობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წევრი სახელმწიფოების მიხედვით, რაც ასახულია დამუშავების დროში არსებული განსხვავებებით. თავშესაფრის მაძიებელთა თითქმის 60% -მა მიიღო პირველი გადაწყვეტილება 6 თვის განმავლობაში (18 წევრი ქვეყნის წინასწარი მონაცემების საფუძველზე).

ნახაზი 11. თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებები: დაკმაყოფილებული და მოლოდინის რეჟიმში მყოფი განცხადებები



წყარო: ევროსტატი

თავშესაფრის მაძიებელთა 2020 წლის პროფილი:

2020 წელი: თავშესაფრის მოთხოვნების შემცირება შეინიშნებოდა 2020 წლის პირველ ათ თვეში ევროკავშირში შეიტანეს 390,000 თავშესაფრის განცხადება (მათ შორის, პირველადი 349,000 განცხადება), რაც 33% -ით ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის იგივე პერიოდში. ოქტომბრის თვის ბოლოს, საქმის წარმოების რაოდენობა 786 000 იყო, რაც 15% -ით ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის ბოლო მონაცემები.

პოზიტიური გადაწყვეტილების მაჩვენებელი 43%:

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებების რაოდენობამ შეადგინა 386,000, 2020 წლის პირველ ცხრა თვეში, რაც 2% -ით ნაკლებია, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში. ამ გადაწყვეტილებების 43% დადებითი იყო, 81 000 ადამიანმა მიიღო ლტოლვილის სტატუსი, 34 000 ადამიანმა სუბსიდირებული დაცვის ხოლო 50 000 კი ჰუმანიტარული სტატუსი.

განსახლება:

2019 წელს დაახლოებით 21 200 ადამიანი, ვისაც საერთაშორისო დაცვა სჭირდება, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან გადასახლდნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რაც 12% -ით მეტია, ვიდრე 2018 წელს.

გამგზავრების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა თურქეთში. სირიელი მთავარი ეროვნება იყო, რაც გადასახლებული ადამიანების 60% იყო.

ევროკავშირის განსახლების ერთობლივი სქემების თანახმად, 2015 წლიდან 75000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო დაცვა ევროკავშირში. ამ განსახლებისთვის წევრი სახელმწიფოები დახმარებას იღებენ ევროკავშირის ბიუჯეტიდან.

ზემოთ განხილული იყო მიგრანტების მონაცემები, რომლებმაც კანონიერად გადაკვეთეს ევროკავშირის საზღვრები, თუმცა ევროკავშირში მიგრანტთა უკანონო საზღვრის გადაკვეთებიც ხშირია. 2019 წელს 141,700 უკანონო საზღვრის კვეთა დაფიქსირდა ევროკავშირის სასაზღვრო ტერიტორიებზე, რაც 5% უფრო დაბალი მაჩვენებელია ვიდრე 2018 წელს და ბოლო 6 წლის მონაცემებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. აქედან 106,200 საზღვრის უკანონო კვეთა იყო ზღვით, რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით 7%-ით ნაკლებია, ხოლო სახმელეთო უკანონო საზღვრის კვეთა 35,500, რაც იგივე მაჩვენებელია როგორც იყო 2018 წელს.

ნახაზი 12. ევროკავშირის საზღვრის კვეთა - 2019 წ.






141 700 საზღვრის უკანონო გადაკვეთა	106 200 ზღვის გადაკვეთა (7%-ით ნაკლები ვიდრე 2019 წელს)	35 500 სახმელეთო საზღვრის გადაკვეთა (იგივე მაჩვენებელი რაც 2018 წელს)
------------------------------------	---	---

წყარო: ევროკომისია

2020 წელის იანვარი-ნოემბრის პერიოდში უკანონო საზღვრის კვეთამ შეადგინა 114,300 ადამიანი, რაც 10%-ით ნაკლებია 2019 წლის იგივე პერიოდის მონაცემებთან შედარებით.

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს 2019 წელს ევროკავშირში უკანონო საზღვრის კვეთა ძირითადად აზიის ქვეყნებიდან ხდება, სადაც ყველაზე დიდი მაჩვენებელი ავღანეთზე მოდის ჯამში 24%, შემდგომ მოდის სირია 17%-ით, მოროკო 6%, თურქეთი 6%, ერაყი 5%, ალჟირი 4%, პაკისტანი 3%, პალესტინა 3%, ირანი 3%, სომალი 3% და სხვა ქვეყნები ჯამში 29%.

ნახაზი 13. ევროკავშირის საზღვრის უკანონო გადაკვეთა მოქალაქეობის მიხედვით - 2019 წ.



წყარო: ევროსტატი

## გეოგრაფიული განაწილება

2019 წელს დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომელიც მოიცავს ატლანტიკურ მარშუტს დასავლეთ აფრიკიდან კანარის კუნძულებამდე გადასასვლელს - 57%- იანი კლება ფიქსირდება, რაც 26 700 ადამიანს შეადგენს, ასევე ცენტრალურ ხმელთაშუაზღვის მარშუტზე ფიქსირდება კლება -40%, რაც 14 000 ადამიანია (ევროკომისია, 2020).

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის მარშუტით ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთაზე კი 2019 წელს ძლიერი ზრდა ფიქსირდება +47%, რაც 83 300 ადამიანია.

აღმოსავლეთის საზღვრების გადაკვეთის მარშუტზე, რომელიც მოიცავს სახმელეთო საზღვრების გავლას ბელორუსიასთან, მოლდოვასთან, რუსეთთან და უკრაინასთან, უკანონო საზღვრის კვეთები შემცირდა 38%-ით წინა წლებთან შედარებით.

2020 წელის იანვარ-ნოემბრის მონაცემებით (ევროკომისია, 2020). ცენტრალურ ხმელთაშუაზღვის მარშუტით უკანონო ევროკავშირი საზღვრების გადაკვეთის მაჩვენებელში +154%- იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 34 100 ადამიანს შეადგენს, ხოლო დასავლეთ ხმელთაშუაზღვის მარშუტით კი +46%-იანი ზრდა, 35 800 ადამიანი.

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის მარშუტით უკანონო გადაკვეთის მსურველების რაოდენობა 2020 წელს -74%- ით შემცირდა ( 19 300 ადამიანი).

ზღვით საზღვრის გადაკვეთის მსურველთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2020 წელს 16%-ით შემცირდა ზემოთ აღნიშნულ სამ ძირითად მიმართულებებზე, რაც სულ 1 754 დაკარგულ ან დაღუპულ ადამიანს მოიცავს, 2019 წელს კი ასეთი შემთხვევა 2 095 იყო.

ევროკომისიის მონაცემების მიხედვით (ევროკომისია, 2020). ევროკავშირიდან უკან დაბრუნების მსურველთა მონაცემები შემდეგია:

2019 წლის მონაცემების მიხედვით 491 000 ევროკავშირის არა მოქალაქემ მოითხოვა ევროკავშირის საზღვრების დატოვება, რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით 8%-ით მეტია. 2018 წელს ევროკავშირის საზღვრების დატოვების მსურველთა

რაოდენობა 457,000 შეადგენდა. ესენი გახლდათ ძირითადად უკრაინის, მოროკოს, ალბანეთის, ავღანეთისა და ალჟირის მოქალაქეები.

#### დაბრუნების სისტემის ეფექტურობა

2019 წელს ევროკავშირის 142 000 არაწევრი მოქალაქე დაბრუნდა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, რაც 29%-იანი ეფექტურობის მაჩვენებელია და 32%-ით ნაკლებია 2018 წლის მონაცემებთან შედარებით. (ევროკომისია, 2020).

2019 წელს ევროკავშირის საზღვრებიდან საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების მაჩვენებელი შემდეგია: უკრაინა მთლიანი დაბრუნებების 19%, ალბანეთი 11% ბოლო მოროკო 7.2%.

დაბრუნების მოთხოვნის განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი, რაც გულისხმობს 5 000 ნაკლებ დაბრუნების მოთხოვნას შემდეგ ქვეყნებზე მოდის: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა 2.5%, სირია 2.5%, მალი 2.8%, გვინეა 2.8%, კოტ დ 'ივუარი 3.4% და სომალი 4.0%.

15 წევრი ქვეყანის მიხედვით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დაბრუნების მსურველთა ანგარიშგებებს 2019 წელს, დაბრუნებების 19% იყო დახმარებით დაბრუნება, რაც გულისხმობს ლოგისტიკურ, ფინანსურ მატერიალურ ან სხვა ტიპის დახმარებას, ხოლო 81% კი არა დახმარებით დაბრუნება იყო. განსაკუთრებით მაღალი დახმარებით დაბრუნება იყო ავსტრიიდან 83%, უნგრეთიდან 82% და ლუქსემბურგიდან 81%.

#### 2.2.4 მოკლევადიანი ვიზები

საერთო სავიზო პოლიტიკის გარეშე შენგენის თავისუფალი საზღვარი ეფექტურად ვერ იფუნქციონირებს. ევროკავშირის სავიზო პოლიტიკა ხემს უწყობს ლეგალური ვიზიტორების ევროკავშირში შესვლას და ასევე, შიდა უსაფრთხოების განმტკიცებას.

ევროკავშირმა შენგენის ქვეყნების ტერიტორიაზე საერთო სავიზო პოლიტიკა დააწესა, რომელიც შენგენში ყოფნის არაუმეტეს 90 დღიან (ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში) უფლებას აძლევს არა შენგენის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს. 2019 წელს შენგენის 26-მა ქვეყანამ 15 მილიონი „შენგენის“ ვიზა გასცა (ევროკომისია, 2021).

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის ევროკავშირში შესვლისთვის საჭიროა ვიზა, თუმცა არიან ქვეყნები, რომლებსაც ევროკავშირის ქვეყნებთან აქვთ თავისუფალი უვიზო მიმოსვლა. მათ აქვთ უფლება შენგენის ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ გაცემული მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე იმოგზაუროს შენგენის 26 ქვეყანაში 90 დღემდე ნებისმიერი 180 დღიანი პერიოდის განმავლობაში. ამ პერიოდზე მეტი ვიზიტები კი უკვე ეროვნულ პროცედურებს ექვემდებარება.

ევროკავშირი მიზნად ისახავს სრული სავიზო ურთიერთდამოკიდებულების მიღებას ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან, რომელთა მოქალაქეები თავისუფლდებიან სავიზო მოთხოვნისაგან.

დღეის მდგომარეობით ევროკავშირს მოკლევადიანი ვიზების გამარტივების შესახებ ხელშეკრულებები დადებული აქვს 13 ევროკავშირის არაწევრ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან. ეს ქვეყნებია ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კაბო-ვერდე, მაკედონია, საქართველო, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბეთი, რუსეთი და უკრაინა.

ცხრილი 9. ევროკავშირთან ვიზების გამარტივების ხელშეკრულებები

ვიზების გამარტივება	ხელშეკრულებები	ძალაში შესვლა
ალბანეთი,	შეთანხმება ევროპულ თემსა და ალბანეთის რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2008
სომხეთი	შეთანხმება ევროკავშირსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2014

ზერბაიჯანი	შეთანხმება ევროკავშირსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/09/2014
ბელარუსია	შეთანხმება ევროკავშირსა და ბელარუსს შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2021
ბოსნია და ჰერცეგოვინა	შეთანხმება ევროკავშირსა და ბოსნია და ჰერცეგოვინას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2008
კაბო-ვერდე	შეთანხმება ევროკავშირსა და კაბო-ვერდეს რესპუბლიკას შორის კაბო-ვერდეს რესპუბლიკისა და ევროკავშირის მოქალაქეებისთვის მოკლევადიანი ვიზების გაცემის შესახებ	1/12/2014
მაკედონია	შეთანხმება ევროკავშირსა და მაკედონიის ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2008
საქართველო	შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/03/2011
მოლდოვა	შეთანხმება ევროკავშირსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის (ევროკავშირსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის ვიზის გაცემის გამარტივების შესახებ შეთანხმებაში ცვლილების შეტანა)	01/07/2013
მონტენეგრო	შეთანხმება ევროპულ თემსა და მონტენეგროს რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2008

სერბეთი	შეთანხმება ევროპულ თემსა და სერბეთის რესპუბლიკას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/01/2008
რუსეთი	შეთანხმება ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ	01/06/2007
უკრაინა	შეთანხმება ევროკავშირსა და უკრაინას შორის ევროკავშირსა და უკრაინას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (ევროკავშირსა და უკრაინას შორის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა)	01/07/2013

წყარო: ევროსტატი

ევროკავშირის ქვეყნებს, ასევე შეუძლიათ ინდივიდუალურად აწარმოონ მოლაპარაკებები შეთანხმებებზე, რომლებიც ეხება სასაზღვრო მიმოსვლას მეზობელ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანებთან. ეს შეთანხმებები ასეთ ქვეყნებში მცხოვრებ მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გადაკვეთონ ევროკავშირის საზღვარი გარკვეულ პირობებში ვიზის აღების გარეშე.

მიუხედავად ამისა, მოკლევადიანი შენგენის ვიზა უფლებას არ იძლევა არა ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე შევიდეს ევროკავშირის ტერიტორიაზე. მაგალითად საზღვარზე ან სხვა კონტროლის დროს შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს დამატებითი ინფორმაცია როგორც არის ფინანსური უზრუნველყოფა, კითხვები თუ რა მიზნით და რამდენი ხნით შედის ინდივიდი საზღვარზე და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში ესეთი შემოწმების დროს ვიზის მფლობელი შესაძლებელია უარყოფითი პასუხი მიიღოს შენგენის ზონაში შესვლაზე.

2019 წელს 1800 მეტმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოებმა დაამუშავეს დაახლოებით 17 მილიონი შენგენის ვიზის მოკლევადიანი განაცხადი არა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან. (ევროკომისია, 2020).

ჯამში გაიცა 15 მილიონი თანხმობა მოკლევადიან შენგენის ვიზაზე, ხოლო 1.7 მილიონი განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც ევროკავშირის მასშტაბით უარის 9.9% შეადგენდა. ყველაზე მეტი განაცხადი შემოტანილი იყო რუსეთიდან 4.1 მილიონი, ჩინეთიდან 3 მილიონი და ინდოეთიდან 1.1 მილიონი.

სავიზო განაცხადების უმეტესობას განიხილა საფრანგეთმა 4 მილიონი განცხადება, გერმანიამ 2.2 მილიონი, იტალია 2.1 მილიონი, ხოლო ესპანეთმა კი 1.9 მილიონი.

ვიზების საერთო რაოდენობის 59% გაიცა ევროკავშირის ტერიტორიაზე მრავალჯერადი შესვლის უფლებით. შენგენის ზონის მოკლევადიანი ვიზები მოიცავს მოგზაურობას შენგენის 26 ქვეყნის მასშტაბით, 90 დღემდე ნებისმიერი 180 დღიანი პერიოდით.

გარკვეულ შემხვევებში მოკლევადიანი ვიზების გამოყენება ხდება არამიზნობრივად ხდება და ამ ვიზებით მოსარგებლე ხალხი ევროკავშირის ტერიტორიაზე მოკლევადიანი ვიზის საშუალებით მოხვედრის შემდგომ არალეგალად რჩება ევროკავშირის ტერიტორიაზე.

მსგავსი შემთხვევების გახშირება ძალიან ცუდი იქნება საქართველოსთვის, რადგან გართულდება ასეთი ტიპის ხელშეკრულებების დადება სხვა ქვეყნებთან, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ მოკლევადიანი ვიზები ტურისტული ბიზნეს თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად.

### 2.3 საქართველოს მიგრაციის პროფილი და მიგრაციის გამომწვევი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზები

საქართველოში ემიგრაციისა და იმიგრაციის გამომწვევი მიზეზები არ განხვავდება დანარჩენი მსოფლიოსგან და ძირითადად განპირობებულია ეკონომიკური, სოციალურ, პოლიტიკურ ცვლილებებთან.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა მათ შორის ეკონომიკური რეფორმები, რასაც ეკონომიკის სტაბილური ზრდა მოჰყვა და მომავალ წლებშიც ზრდა არის ნავარაუდები. 2019 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი, 2020) მონაცემებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტმა 17.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 4 696.2 აშშ დოლარი ( საქსტატი 2020).

ცხრილი 10. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი - 2015-2020წწ.

	2015	2016	2017	2018	2019	I 20*	II 20*	III 20*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	35.8	40.8	44.6	49.3	11.1	11.1	13.3
შპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	34.9	36.6	38.4	40.3	9.1	8.8	9.8
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	3.0	2.9	4.8	4.8	5.0	2.3	-13.2	-5.6
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	5.8	2.6	8.5	4.4	5.2	7.1	7.2	5.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	9 109.4	9 613.9	10 933.9	11 968.0	13 239.4	2 974.3	2 990.2	3 586.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 696.2	1 016.3	1 952.9	1 156.2



მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	17.5	3.8	3.5	4.3
--	------	------	------	------	------	-----	-----	-----

წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილი 10 ცხადყოფს, საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. ამ გარემოებამ რა თქმა უნდა თავის მხრივ ხელი შეუწყო იმიგრანტთა ნაკადების ზრდას, მაგრამ მიუხედავად ამისა ემიგრაციის მასშტაბები მაინც არ შემცირდა.

საქსტატი ემიგრანტად თვლის პირს, რომელმაც დატოვა საქართველოს საზღვარი ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღით და საქართველო იყო მისი საცხოვრებელი ქვეყანა ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვის განმავლობაში ასევე სულ მცირე 183 დღით. ეს მეთოდი რომელიც გამოიყენება საქსტატის მიერ ემიგრანტების დასადგენად წარმოადგენს გაეროს მიწერ რეკომენდირებულ მეთოდოლოგიას.

საქსტატის მონაცემების მიხედვით 2018 წელს ემიგრანტთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბოლო 4 წლის განმავლობაში (საერთაშორისო მიგრანტების ტენდენციები, გაერთიანებული ერები 2017).

საქართველომ საკამოდ ხანგრძლივი, რთული და ყოვლისმომცველი პროცესი გაიარა, სანამ 2017 წელს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმს მიიღებდა. ეს პროცესი დაიწყო 2009 წლის 30 ნოემბერს, როდესაც საქართველომ და ევროკავშირმა ბრუსელში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას „Partnership for Mobility“, ხოლო მოგვიანებით 2010 წლის 16 თებერვალს თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო.

2010 წელს, 17 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა „შეთანხმებას ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ ევროკავშირსა და საქართველოს და შორის. ასევე, 2010 წელს, 22 ნოემბერს ბრიუსელში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას უნებართვოდ მცხოვრები პირების რეადმისიის შესახებ“. ორივე ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2011 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმება „ვიზების რეადმისიისა და ლიბერალიზაციის შესახებ“, ხოლო 2012 წლის 4 ივნისს კი დაიწყო ე.წ. სავიზო დიალოგი საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ. 2013 წლის 25 თებერვალს, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველოს ოფიციალურად გადაეცა.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ გამოსცა რიგით მეოთხე და საბოლოო ანგარიში „საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) განხორციელების შესახებ“. ევროკომისიის შეფასების მიხედვით, საქართველომ შეასრულა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკში წარმოდგენილი მოთხოვნები, რაც ნიშნავდა რომ საქართველომ შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის მოსამზადებელი ტექნიკური მოთხოვნები და ამით წარმატებით დასრულდა მოსამზადებელი ტექნიკური პროცესი.

2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის ოფიციალურად ამოქმედდა უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის / შენგენის ტერიტორიაზე. ამ დღიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბიომეტრიული პასპორტი, შეუძლია უვიზოდ გაემგზავროს ევროკავშირის / შენგენის ზონაში, მაქსიმუმ 90 დღის განმავლობაში, ნებისმიერ 180 დღეში (საქართველო და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, 2021).

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პერიოდიდან გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების მიგრაცია ევროკავშირში. 2017 და 2018 წლების განმავლობაში საქართველოდან განხორციელდა 580 608 ვიზიტი ევროკავშირში (შსს, მიგრაციის სახელმწიფო ანგარიში 2019). საქართველოში ემიგრაციისა და იმიგრაციის მიზეზები არ განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოსგან და ძირითადად დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირიდან უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის მოთხოვნების მაჩვენებელი გაიზარდა და ძირითადად თავშესაფარი ითხოვეს საფრანგეთსა და გერმანიაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საქართველოდან ევროკავშირის მიმართულებით განხორციელებულ ვიზიტებს, რა თქმა უნდა ეს მონაცემები დათვლილია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებიდან (28.03.2017).

ცხრილი 11. ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით საქართველოდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2017-2018 წწ.

	2017	2018	ჯამი
გერმანია	55,722	86,688	142,410
იტალია	27,003	56,476	83,479
საბერძნეთი	28,482	43,214	71,696
ესპანეთი	11,318	31,695	43,013
საფრანგეთი	9,795	31,585	41,380
პოლონეთი	15,304	29,483	44,787
უნგრეთი	9,196	15,551	24,747
ავსტრია	5,376	12,896	18,272
ჩეხეთი	3,467	12,377	15,844
კვიპროსი	7,513	11,347	18,860
ნიდერლანდები	5,407	8,901	14,308
ლიტვა	4,392	6,389	10,781
ბელგია	2,234	6,195	8,429
ლატვია	3,129	5,937	9,066
შვეიცარია	1,639	4,160	5,799
რუმინეთი	683	3,629	4,312
შვედეთი	1,454	2,898	4,352
პორტუგალია	845	2,001	2,846
ბულგარეთი	737	1,536	2,273
ესტონეთი	705	1,484	2,189

დანია	529	1,318	1,847
ხორვატია	282	835	1,117
მალტა	422	807	1,229
ფინეთი	233	681	914
ნორვეგია	253	616	869
სლოვაკეთი	94	584	678
ლუქსემბურგი	127	359	486
სლოვენია	126	299	425
ისლანდია	66	114	180
ლიხტენშტაინი	4	3	7
არ არის ნაჩვენები	3,961	52	4,013
სულ	200,498	380,110	580,608

წყარო: შსს

2015 წლიდან გაცემული ბინადრობის ნებართვები ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეებზე მკვეთრად იზრდება. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობას, რომლებიც ფლობენ ბინადრობის უფლებას და ასევე მოცემულია ბინადრობის უფლების გაცემის საფუძვლები, როგორცაა ოჯახის გაერთიანება, საგანმანათლებლო, შრომითი ანაზღაურება, საერთაშორისო დაცვა თუ სხვა.

ცხრილი 12. ევროკავშირში ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეები 2015-2018 წწ.

(რაოდენობა ათასი კაცი)

	2015	2016	2017	2018
ოჯახის გამთლიანება	25,673	26,828	27,287	28,203

განათლების მიღება	4,738	4,872	4,934	4,692
შრომითი საქმიანობა	18,457	18,504	18,128	19,436
საერთაშორისო დაცვა	2,713	2,973	3,068	3,261
სხვა	20,201	22,201	25,274	27,748
სულ	71,782	75,378	78,691	85,358

წყარო: ევროსტატი (ნანახია 14.06.21)

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების შემდგომ საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირში თავშესაფრის მიღების მოთხოვნის რაოდენობა გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა თავშესაფარს გერმანიასა და საფრანგეთში ითხოვს.

ცხრილი 13. ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეები 2015-2018წწ.

	2015	2016	2017	2018
საფრანგეთი	1,325	1,165	2,100	7,000
გერმანია	3,195	3,770	3,460	4,160
საბერძნეთი	385	690	1,105	1,460
იტალია	135	195	540	1,165
შვედეთი	890	720	1,100	1,155
ესპანეთი	55	70	350	1,020
შვეიცარია	405	465	670	875
ბელგია	300	240	470	695
ირლანდია	40	75	305	450
ავსტრია	405	350	455	455
დანია	100	75	75	410

კვიპროსი	15	20	85	395
ნიდერლანდები	265	595	505	375
ჩეხეთი	20	50	130	170
ლუქსემბურგი	25	65	140	140
სხვა	645	290	645	330
ევროკავშირი (28)	7,765	8,320	11,135	19,290
სულ	8,205	8,835	12,135	20,255

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2021)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საქართველოს მოქალაქეების მიერ მოთხოვნილ თავშესაფრის უფლებაზე გადაწყვეტილებებს და როგორც ცხრილი გვიჩვენებს გადაწყვეტილებების უმრავლესობა უარყოფითია. აღსანიშნავია, რომ საქართველო ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნებს შორის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

ცხრილი 14. საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნათა რაოდენობა 2015-2018 წწ.

	2015	2016	2017	2018
დადებითი გადაწყვეტილება	380	450	485	695
უარყოფითი გადაწყვეტილება	5,375	6,445	8,685	13,700

წყარო: ევროსტატი ( მონაცემები ნანახია: 20.06.2021)

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებისათვის საზღვრის კვეთაზე უარის თქმის შემთხვევები .საგრძნობლად გაიზარდა. ეს ქვეყნები ძირითადად არიან გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი კვიპროსი და პოლონეთი. 2018 წელს უარის შემთხვევების ყველაზე დიდი

მაჩვენებელი დაფიქსირდა. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს აღნიშნული ქვეყნების საზღვარზე უარის რაოდენობებს 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

ცხრილი 15. საქართველოს მოქალაქეებისთვის უარი ევროკავშირის საზღვრის კვეთაზე 2015-2018წწ.

	2015	2016	2017	2018
საბერძნეთი	135	130	885	630
პოლონეთი	505	200	335	590
საფრანგეთი	25	105	235	460
გერმანია	25	40	130	440
კვიპროსი	5	15	145	425
ევროკავშირის სხვა ქვეყნები	680	405	1,220	1,495
სულ	1,375	895	2,950	4,040

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2021)

2017 წლამდე უარის შემთხვევები უმეტესად სახმელეთო საზღვარზე ფიქსირდებოდა, თუმცა უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ სიტუაცია შეიცვალა და 2017-2018 წლებში საჰაერო საზღვრის კვეთების უარმა სახმელეთო და საზღვაო საზღვრი კვეთების უარს გადააჭარბა. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთაზე უარის შემთხვევების რაოდენობებს 2015-2018 წლებში საზღვრის ტიპების მიხედვით.

ცხრილი 16. საზღვრის კვეთაზე უარის რაოდენობა წლებისა და საზღვრის ტიპის მიხედვით 2015-2018წწ.

	2015	2016	2017	2018
სახმელეთო საზღვარი	975	490	1,180	1,130
საჰაერო საზღვარი	380	385	1,735	3,310
საზღვაო საზღვარი	20	20	35	20

სულ	1,375	895	2,950	4,040
-----	-------	-----	-------	-------

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2021)

უარის მიზეზი ევროკავშირის საზღვრის კვეთაზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სხვადასხვაა. 2017-2018 წლებში უარის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი გარემოებების დასაბუთებულობით იყო გამოწვეული, ხოლო 2017 წლამდე კი მოქმედი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის არქონის გარემოება წარმოადგენდა. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისათვის უარის მიზეზებს და მათ რაოდენობას 2015-2018 წლებში.

ცხრილი 17. ვიზების გაცემაზე უარის რაოდენობა და მათი მიზეზები 2015-2018წწ.

	2015	2016	2017	2018
ბინადრობის ნებართვის ან ვიზის არქონა	965	420	310	185
მოქმედი სამგზავრო დოკუმენტების არქონა	30	95	245	235
ყალბი ვიზა ან ბინადრობის მოწმობა	15	65	80	90
ყალბი სამგზავრო დოკუმენტი	15	10	10	15
ქვეყანაში ყოფნის მიზნის და გარემოებების დაუსაბუთებლობა	230	185	1,445	1,940
6-თვიან პერიოდში 3-თვიანი ყოფნის ვადის ამოწურვა	25	25	50	120



არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა	45	30	210	835
აკრძალული აქვს ქვეყანაში შესვლა	50	45	570	985

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2021)

ცხადია რომ ევროკავშირს ტერიტორიაზე იმყოფებიან ქართველი არალეგალები, რომელთა რაოდენობა 2018 წელს გაიზარდა. არალეგალების უმრავლესობა მამაკაცია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2015-2018 წლის ქართველი არალეგალების მონაცემებს.


ცხრილი 18. ევროკავშირში ქართველი არალეგალების რაოდენობა სქესის მიხედვით 2015-2018 წლებში

	2015	2016	2017	2018
მამაკაცი	4,005	3,825	4,315	7,205
ქალი	1,380	1,355	1,385	1,910

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2021)

შემდეგი დიაგრამა კი გვიჩვენებს 2018 წელს ქართველი არალეგალების პროცენტულ გადანაწილებას ქვეყნების მიხედვით. ყველაზე მეტი არალეგალი გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში დაფიქსირდა.

ნახაზი 14. არალეგალი მიგრანტების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით 2018 წ.



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნაწახია: 20.06.2021)

ამრიგად, საქართველოში ემიგრაციისა და იმიგრაციის მიზეზები არ განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოსგან და ძირითადად, დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა ხელშესახები ცვლილებები გატარდა, მათ შორის, ეკონომიკური ცვლილებები და რეფორმები, რასაც ეკონომიკის სტაბილური ზრდა მოჰყვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მკვეთრ დაცემას 2019 -2020 წწ, რაც გამოწვეული იყო პანდემიით. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო იმიგრანტთა ნაკადების ზრდას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ემიგრაციის მასშტაბები მაინც არ შემცირდა. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს ემიგრანტთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბოლო 4 წლის განმავლობაში (საერთაშორისო მიგრანტების ტენდენციები, გაერთიანებული ერები 2017).

აღსანიშნავია, რომ საქართველომ საკამოდ ხანგრძლივი, რთული და ყოვლისმომცველი პროცესი გაიარა, სანამ 2017 წელს ევროკავშირთან უფიზო მიმოსვლის რეჟიმს მიიღებდა. ეს პროცესი დაიწყო 2009 წლის 30 ნოემბერს, როდესაც საქართველომ და ევროკავშირმა ბრუსელში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას „Partnership for Mobility“.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პერიოდიდან გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების მიგრაცია ევროკავშირში. 2017 და 2018 წლების განმავლობაში საქართველოდან განხორციელდა 580 608 ვიზიტი ევროკავშირში (შსს, მიგრაციის სახელმწიფო ანგარიში 2019). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირიდან უვიზო მიმოსვლის შემოდების შემდეგ, ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის მოთხოვნების მაჩვენებელიც გაიზარდა და საქართველოს მოქალაქეები, ძირითადად, თავშესაფარი ითხოვენ საფრანგეთსა და გერმანიაში.

#### 2.4. კოვიდ-19-სა და პანდემიის ზეგავლენა გლობალური მიგრაციის ტენდენციებზე

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს პანდემია გამოაცხადა (WHO, 2020), რამაც ძალიან დიდი გავლენა იქონია მსოფლიოზე ყველა მიმართულებით. რა თქმა უნდა, კორონა ვირუსის პანდემიას დიდი გავლენა ქონდა მიგრაციაზე არამარტო ევროკავშირის ქვეყნების არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2020 წლის თებერვლის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით კორონა ვირუსით დაინფიცირებული ადამიანთა რაოდენობა 112,456,453 მილიონს შეადგენს, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა კი 2,497,514 მილიონს (WHO, 2020). აქედან ევროპაში 38,176,678 შემთხვევა მოდის, სადაც ლიდერობენ დიდი ბრიტანეთი (4,144,581 დადასტურებული შემთხვევით და 121,747 სიკვდილის მაჩვენებლით), საფრანგეთი (3,597,495 დადასტურებული და 84,894 სიკვდილიანობის მაჩვენებლით), ესპანეთი (3,180,212 დაინფიცირებული და 68,813 სიკვდილის მაჩვენებლით), იტალია (2,868,435 დადასტურებული და 96,974 გარდაცვალების შემთხვევით) და გერმანია (2,424,684 დადასტურებული და 69,519 გარდაცვალების შემთხვევით). საქართველოში დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა 270,137-ია, ხოლო გარდაცვალების რაოდენობა კი 3,485.

ცხრილი 19. ევროკავშირში კორონავირუსი დაინფიცირებულ ადამიანთა რაოდენობა ქვეყნების 2020წ.

კოვიდ-19 და მსოფლიო		
	დადასტურებული შემთხვევა	გარდაცვალების მაჩვენებელი
მსოფლიო	112,456,453	2,497,514
ევროპა	38,176,678	830,948
დიდი ბრიტანეთი	4,144,581	121,747
საფრანგეთი	3,597,495	84,894
ესპანეთი	3,180,212	68,813
იტალია	2,868,435	96,974
გერმანია	2,424,684	69,519
საქართველო	270,137	3,485

წყარო: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

კოვიდ-19 პანდემიის გამოცხადებამ წარმოშო სასაზღვრო შეზღუდვები, რამაც რასაკვირველია გავლენა მოახდინა მიგრანტთა მობილობაზე და ასევე, ჰუმანიტარული ორგანიზაციების როლზე. 2020 წლის 11 მარტიდან, როდესაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემია გამოაცხადა, 2021 წლის 22 თებერვლამდე მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 105, 000 გადაადგილების შეზღუდვა განხორციელდა (გლობალური მიგრაციის შეზღუდვების მიმოხილვის ანგარიში, 22 თებერვალი 2021). ამავდროულად 189 ქვეყნიდან 795 ქვეყანამ შეზღუდვებზე გამონაკლისი დაუშვა, რაც მობილობის შესაძლებლობას იძლევა. 2020 წლის 1-ლი მარტიდან 1-ლი ივლისის ჩათვლით სავარაუდო შეფასებებით მიგრანტთა რაოდენობის ნულოვანი ზრდა ფიქსირდებოდა, რაც გლობალური მასშტაბით თითქმის 2 მილიონი საერთაშორისო მიგრანტის შემცირებას მიაწინებს (გაერთიანებული ერები, 2020).

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობამ საზღვრები სრულად ან ნაწილობრივ ჩაკეტა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით. მსოფლიოს მოსახლეობის ცხრა მეათედი (91%), ანუ 7,1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც შეზღუდულია სხვა ქვეყნებიდან არარეზიდენტი და არა მოქალაქე, მაგალითად ტურისტების, ბიზნეს მოგზაურების და ახალი ემიგრანტების შემოსვლა (Pew Research Center, 2020). „Pew Research Center“- ის მიერ საზღვრის დახურვის შესახებ განცხადებებისა და გაეროს მოსახლეობის მონაცემების ანალიზის თანახმად, დაახლოებით 3 მილიარდი ადამიანი, ანუ 39% ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც საზღვრები მთლიანად დაკეტილია არა მოქალაქეთა და არა-რეზიდენტთათვის.

მოგზაურობაზე შეზღუდვები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, მაგრამ ყველა მათგანი მიზნად ისახავს მოგზაურობის შემცირებას. შედეგად ავიაკომპანიებმა შეამცირებ ფრენის მარშრუტები და ტურიზმიც დაეცა.

ზოგიერთმა ქვეყანამ როგორცაა ეკვადორი და ცენტრალური აზიის ქვეყნები საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც კი ჩაკეტეს საზღვრები (Pew Research Center, 2020).

მიგრაციული ნაკადები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში- რომელიც იზომება ახალი გაცემული ნებართვებით- 46%-ით დაეცა 2020 წლის პირველ ნახევარში და 2020 წელი მოსალოდნელია, რომ იქნება ისტორიულად დაბალი მიგრაცია ზემოთაღნიშნულ ქვეყნებში (საერთაშორისო მიგრაციის პერსპექტივა, 2020). მიგრაციის ასეთმა ვარდნამ შეიძლება, ასევე მოახდინოს დემოგრაფიული გავლენა მიგრაციაზე დამოკიდებულ ქვეყნებზე მოსახლეობის ზრდისთვის. მაგალითად, 2020 წლის შეფასებით, გერმანიის მოსახლეობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად არ გაიზარდა იმიგრაციის შემცირების გამო (გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 2021). ავსტრალიაში, სავარაუდოდ, წმინდა მიგრაცია 2020/2021 წლებისთვის ნეგატიური იქნება 1945 წლის შემდეგ და ეს გამოიწვევს მოსახლეობის ყველაზე დაბალ ზრდას საუკუნის განმავლობაში (ავსტრალიის მოსახლეობის ცენტრი, 2020).

2013 წელს მთელ მსოფლიოში დაახლოებით 11.5 მილიონი მიგრანტი მუშაკი იყო (MDW), რომელთაგან დაახლოებით 8.5 მილიონი ქალი იყო (ILO, 2015). კოვიდ-19-მა მიგრანტ მუშაკებს პრობლემები ნამდვილად შეუქმნა. მაგალითად კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში შეიძლება მიგრანტების დამსაქმებლები დაინფიცირდნენ, დაავადება გადადონ მათ ან დაიღუპონ, ხოლო ეს საფრთხეს უქმნის მიგრანტ მუშაკებს, რადგან მათი შემოსავალი და სამუშაო ნებართვები პირდაპირ დამსაქმებელთან არის დაკავშირებული. საზღვრის დახურვისა და ეკონომიკური შეზღუდვების გამო, წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნება ხშირად შეუძლებელია, და აქედან გამომდინარე მიგრანტები იმყოფებიან დანიშნულების ქვეყანაში როგორც ხაფანგში საცხოვრებლისა და შემოსავლის გარეშე.

მიგრაცია - როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო - განაპირობებს ურბანული მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას (IOM, 2015). მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაციის – მიერ გადაადგილების მონიტორინგის მიერ შეგროვებული მონაცემები 2020 წლის 13 მარტიდან 2021 წლის 28 იანვრამდე აჩვენებს, რომ შიდა მობილობის შეზღუდვებმა მსოფლიოს ქვეყნებში გავლენა იქონია რეგულარულ მოგზაურებსა და მოქალაქეებზე 61% და 59% პროცენტულად შეფასებული შიდა სატრანზიტო პუნქტების შესაბამისად (2021). შერეული მიგრაციის ცენტრის (2021) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით 33 393 რესპონდენტთა შორის, თითქმის 28 პროცენტმა აღნიშნა, რომ პანდემიამ არ გაართულა საზღვრების გადაკვეთა, ხოლო 25 პროცენტმა აღნიშნა, რომ ამან გავლენა მოახდინა შიდა მობილობაზე. ლოკ დაუნის შედეგად შიდა მიგრანტები უმუშევრად და უსახლკაროდ დარჩნენ, არაფორმალური სექტორის ათასობით თანამშრომელმა დატოვა ქალაქები როგორცაა ნიუ დელი, ინდოეთი და დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში (გაერო, 2020).

და პირიქით, დაბრუნების მიგრაცია გავლენას ახდენს დანიშნულების ყოფილ ქვეყნებზე, რომლებიც მნიშვნელოვან სექტორებში მიგრანტ მუშაკებზე არიან დამოკიდებულნი.

2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით (UN DESA, 2020), COVID-19 კუმულაციური შემთხვევების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა იმ ქვეყნებში, სადაც მიგრანტები

მათი მოსახლეობაში მნიშვნელოვან ხვედრით წილს წარმოადგენდნენ. ასე მაგალითად, მიგრანტების ხვედრითი წილი გერმანიაში შეადგენდა მოსახლეობის 19%-ს, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 15%, ესპანეთში 15%-ს, გაერთიანებულ სამეფოში 14%-ს და საფრანგეთში 13 %-ს. ამ ქვეყნებში მიგრანტების დასაქმების ძირითადი სფეროებია ჯანდაცვა და მომსახურება. შესაბამისად, შეინიშნებოდა ამ ქვეყნებიდან მიგრანტების დაბრუნების მატება წარმოშობის ქვეყნებში.

### *მიგრაციის ძირითადი ტენდენციები და ინფექციისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები მიგრანტებს შორის*

ხალხმრავალ საერთო საცხოვრებელში დაბალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი მიგრანტები არაპროპორციულად განიცდიან პანდემიას. საუდის არაბეთიდან და სინგაპურიდან მიღებული მაგალითები, სადაც ჯანდაცვის სამინისტროებმა ოფიციალური მონაცემები მიაწოდეს იმ პირთა მიგრაციის სტატუსის შესახებ, რომლებმაც დადებითი ტესტი მიიღეს, აჩვენებს მიგრანტი პოპულაციის ვირუსის დიფერენცირებულ ზემოქმედებას. საუდის არაბეთის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ყველა ახალი დადასტურებული შემთხვევის 75 პროცენტი 2020 წლის 7 მაისის მდგომარეობით მიგრანტებს შორის იყო. სინგაპურში დადასტურებული შემთხვევების 95 პროცენტზე მეტი, 2020 წლის 19 ივნისის ჩათვლით, მიგრანტები იყვნენ, საერთო შემთხვევათა 93 პროცენტზე მეტი კი მიგრანტთა საერთო საცხოვრებლებს უკავშირდებოდა (სინგაპურის ჯანდაცვის სამინისტრო, 2021). მიუხედავად ახალი შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენციისა, 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საერთო საცხოვრებლების მაცხოვრებლები სინგაპურში კვლავ შემთხვევათა კუმულაციური რაოდენობის თითქმის 91 პროცენტს შეადგენს (კოვიდ-19-ის სიტუაციის ანგარიში, 7 მაისი 2021).

საუდის არაბეთიდან და სინგაპურიდან მაგალითები, სადაც ჯანდაცვის სამინისტროებმა ოფიციალური მონაცემები მიაწოდეს იმ პირების მიგრაციის სტატუსის შესახებ, რომლებმაც დადებითი ტესტი მიიღეს, აჩვენებს მიგრანტი მოსახლეობის ვირუსის დიფერენცირებულ ზემოქმედებას. საუდის არაბეთის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2020 წელს 7 მაისის მონაცემებით, ყველა ახალი დადასტურებული

შემთხვევის 75 პროცენტი მიგრანტებს შორის იყო. დადასტურებული შემთხვევების 95 პროცენტზე მეტი სინგაპურში, 2020 წლის 19 ივნისის ჩათვლით, მიგრანტები იყვნენ, საერთო შემთხვევების 93 პროცენტზე მეტი მიგრანტთა საერთო საცხოვრებლებს ეხებოდა (სინგაპურის ჯანდაცვის სამინისტრო, 2021). მიუხედავად ახალი შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენციისა, 2021 წლის 4 თებერვლის მდგომარეობით, საერთო საცხოვრებლების მაცხოვრებლები აგრძელებდნენ სინგაპურში შემთხვევათა კუმულაციური რაოდენობის 91 პროცენტს (გაერთიანებული ერები, 2020).

### **კოვიდ-19 ის ვირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენა შრომით მიგრაციაზე**

2017 წელს 164 მილიონი ადამიანი იყო შრომითი მიგრანტი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ანგარიში- გლობალური შეფასებები საერთაშორისო მიგრანტთა შესახებ, 2018). მიგრანტი მუშაკები ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის მთლიანი მუშაკების 20.6% და 17.8%-ს შეადგენენ (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ანგარიში- გლობალური შეფასებები საერთაშორისო მიგრანტთა შესახებ 2017). ამიტომ, ისინი წარმოადგენენ ამ რეგიონებში ხუთიდან ერთ მუშაკს და შეიძლება იყვნენ პირველები, ვინც დაზარალდნენ სამსახურიდან გათავისუფლებისა და გადაადგილების შეზღუდვებისა და დაბლოკვის შედეგად, რაც გავლენას ახდენს საარსებო წყაროს, მაგალითად, ბიზნესის დაკარგვით. ხალხმრავალ საცხოვრებელ პირობებში ცხოვრება განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის მიგრანტ მუშებს შორის კოვიდ-19- ის გავრცელების კუთხით.

მიგრანტები განურჩევლად სამუშაო ადგილისა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ პანდემიის მოსაგვარებლად, რადგან ისინი განიცდიან ვირუსთან კონტაქტის მეტ რისკებს. მსოფლიოს 20 ქვეყანას შორის, სადაც ყველაზე მეტი კოვიდ-19 შემთხვევაა 2021 წლის 1 მარტის მონაცემებით, არსებული საერთაშორისო მონაცემები აჩვენებს, რომ სულ მცირე 7 ქვეყანა - შვედეთი, შტატები, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, გერმანია და ჩეხეთი - ჯანდაცვის სერვისების კრიტიკული სექტორი დამოკიდებულია უცხოეთში დაბადებულ მუშაკებზე. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს 2015-2016 წლებში ექიმების 33 პროცენტი და ექთნების 22 პროცენტი უცხოეთში



დაბადებული იყო. (ექიმების, ექთნების და სამედიცინო სტუდენტების საერთაშორისო მიგრაციის ბოლოდროინდელი ტენდენციები, 2019).

ამავდროულად, ჯანდაცვის მუშაკების დეფიციტი მრავალი წლის განმავლობაში გლობალურ დონეზე გვხვდება და გამოცდილი ჯანდაცვის პერსონალზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, გამწვავდება ამჟამინდელი პანდემიით. კერძოდ, გამოცდილი მიგრანტების წარმოშობის ქვეყნები ჯანმრთელობის სექტორის დეფიციტს განიცდიან, რაც არამარტო მშრომელთა ემიგრაციას უკავშირდება. გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებში ექიმების 29 პროცენტი და 25 პროცენტს უცხოეთში ქონდა კვალიფიკაცია (OECD, 2020b). როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე დიდ ბრიტანეთში, 2016 წელს უცხოეთში კვალიფიკაცია მიღებული ექიმების უმეტესობა განათლებას იღებდა ინდოეთში და პაკისტანში. გარდა ამისა, შეერთებულ შტატებში მრავალი უცხოელი კვალიფიციური ექიმი სწავლობდა კარიბის კუნძულებზე, ფილიპინებში, მექსიკასა და კანადაში, ბოლო ბევრმა ვინც განათლება მიიღო ნიგერიაში, ეგვიპტეში, ირლანდიაში, საბერძნეთში და სამხრეთ აფრიკაში, პრაქტიკა გაიარეს დიდ ბრიტანეთში (ექიმების, ექთნების და სამედიცინო სტუდენტების საერთაშორისო მიგრაციის ბოლოდროინდელი ტენდენციები, 2019).

მიგრანტები მნიშვნელოვან წილს წარმოადგენენ კრიტიკულ სექტორებში, ისევე როგორც კრიზისიდან ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებში: მაგალითად, მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში მოღვაწე მუშაკთა 13 პროცენტზე მეტი, 20 ყველაზე მეტ კოვიდ ინფიცირებულ შემთხვევების ქვეყნიდან 7 ში, უცხოეთში იყო დაბადებული.

დამატებით, არსებული მონაცემები აჩვენებს რომ 20 ყველაზე მეტ კოვიდ ინფიცირებულ შემთხვევის ქვეყნიდან 5-ში სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის გამოცდილი სპეციალისტების 9%-ზე მეტი უცხოეთში დაბადებული იყო (GMDAC ანალიზი დაფუძნებულია OECD DIOC- ზე, 2015/16).

*ფულადი გზავნილების დინამიკა პანდემიის პირობებში*

2021 წლის 1-ლი მარტის მონაცემებით, 2019 წლის და 2020 წლის მთლიანი ფულადი გზავნილების 37% იქნა მიღებული 20 ყველაზე მაღალი კოვიდ დადასტურებულ შემთხვევების ქვეყნებში (GMDAC ანალიზი დაფუძნებულია მსოფლიო ბანკის საფუძველზე, 2020). გლობალურად, კოვიდ-19 შემთხვევათა ყველაზე მეტი 20 ქვეყნიდან 7 - ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი, რუსეთის ფედერაცია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, იტალია და გერმანია - იმ 20 ქვეყანას შორის იყო, საიდანაც ყველაზე მეტი რაოდენობით ფულადი გზავნილები გაიგზავნა 2019 წელს. მხოლოდ ამ შვიდი ქვეყნიდან გაგზავნილმა გზავნილებმა შეადგინა 2019 წელს მიღებული გლობალური ფულადი გზავნილების 25 პროცენტი. 2019 წელს დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში მიღებული ფულადი გზავნილების 46 პროცენტი შეადგენდა შეერთებულ შტატებს, ევროზონის, გაერთიანებული სამეფოს და კანადაში გაგზავნილ გზავნილებს (მსოფლიო ბანკი, 2019).

ნავთობპროდუქტების მწარმოებელი ქვეყნები ყურის თანამშრომლობის საბჭოში (ყთს) მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილია სამხრეთ აზიიდან და აღმოსავლეთ აფრიკიდან მიგრანტებისთვის. ბევრი საერთაშორისო მიგრანტი ამ რეგიონიდან დაბრუნდა წარმოშობის ქვეყანაში, ზოგს ლოკ დაუნის გამო აღარ შეუძლია სამუშაოდ გამგზავრება, მათი ოჯახებისთვის ფულადი გზავნილების გაგზავნა შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც მთელს მსოფლიოში ცხრა ადამიანიდან ერთი დამოკიდებული მიგრანტი მუშაკების მიერ გაგზავნილ გზავნილებზე, კოვიდ-19 გავლენას მოახდენს მიგრანტ ოჯახებსა და თემებზე ფულადი გზავნილების დახმარებით კვების, ჯანმრთელობის, განათლებისა და შემოსავლების თვალსაზრისით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროგრესის პოტენციური შეფერხებები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი გზავნილები კერძო სახსრებია და ვერ შეცვლის ოფიციალური განვითარების დახმარებას და სხვა სახელმწიფო ხარჯებს.

კოვიდ-19 კრიზისის დაწყებამდე მსოფლიო ბანკმა (2019) გააკეთა პროგნოზი, რომ 2020 წლის ბოლოსთვის 574 მილიარდი აშშ დოლარი გაიგზავნება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, მაგრამ სამუშაო ადგილების დაკარგვა და ფულადი

გზავნილების გაგზავნის სირთულე მნიშვნელოვნად იმოქმედებს მიმღებებზე, რომელთა ფინანსური სტაბილურობა ამ გზავნილებზეა დამოკიდებული.

სამოგზაურო შეზღუდვებისა და საზღვრების ჩაკეტვის გამო, რომელიც მთავრობებმა გლობალურად დააწესეს-მიგრანტები-მათ შორის სეზონური მუშაკები და საერთაშორისო სტუდენტები ჩარჩენ და ვერ დაბრუნდნენ თავიანთ წარმოშობის ქვეყანაში. 2020 წლის 13 ივლისის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით გამოვლენილია 3 მილიონი ჩარჩენილი მიგრანტი (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2020). აქედან 1,2 მილიონზე მეტი ჩარჩენილია შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში.

იმის გამო, რომ მიგრანტები კარგავენ სამუშაოებს და ინფიცირების უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან თავიანთი ხშირად გადატვირთული საცხოვრებელი პირობების გამო, ბევრი მუშაკი ბრუნდება მშობლიურ ქვეყანაში, ხშირად ორმხრივი მოლაპარაკებების დახმარებით, რაც გულისხმობს საზღვრების დროებით გახსნას ჩარჩენილი მიგრანტებისთვის, რათა დაბრუნდნენ წარმოშობის ქვეყანაში.

გლობალურად, ინდოეთი ყველაზე მეტი ემიგრანტის წარმოშობის ქვეყანაა (UN DESA, 2020) და 2021 წლის 27 თებერვლის მონაცემებით, ინდოეთის ოფიციალური რეპატრაციის ოპერაციამ ხელი შეუწყო 4,5 მილიონზე მეტი ადამიანის დაბრუნებას სამშობლოში მთელს მსოფლიო მასშტაბით (ინდოეთის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო, 2021). თითქმის 932,000 უსაბუთო ავღანელი დაბრუნდა ირანიდან და პაკისტანიდან 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 25 თებერვლამდე. აქედან, 117,145 ავღანელი დაბრუნდა მხოლოდ 2020 წლის მარტის პირველ ორ კვირაში (IOM, 2021b). 2020 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, ვენესუელას 136,000-ზე მეტი მიგრანტი და ლტოლვილი დაბრუნდა რეგიონის სხვა ქვეყნებიდან (IOM და UN OCHA, 2020) (ლტოლვილთა და მიგრანტთა საკოორდინაციო პლატფორმა ვენესუელიდან, 2020). 2020 წლის 1 აპრილამდე და 2021 წლის 25 თებერვლამდე მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ დახმარება გაუწია 54,000-ზე მეტ მიგრანტს, რომლებიც ეთიოპიაში

საკარანტინო დაწესებულებებში იმყოფებოდა მეზობელი აფრიკის ქვეყნებიდან და საუდის არაბეთიდან დაბრუნების შემდეგ (IOM, 2021).

### *ოჯახური მიგრაცია*

მონაცემების თანახმად, 2018 წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა, იტალიამ, გერმანიამ და მექსიკამ თითქმის 1.2 მილიონი ოჯახის მიგრანტი მიიღო. მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა ამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OCED) 7 ქვეყანიდან ოჯახის მიგრანტთა ნახევარზე მეტს უმასპინძლა. ასეთი ოჯახების მიგრანტებს განსაკურებული ყურადღება ჭირდებათ კოვიდ-19-თან საბრძოლველად. ჯერ ერთი იმიტომ რომ ისინი სხვა ენაზე საუბრობენ და გარდა ამისა არაღეგალმა მიგრანტებმა და მათმა ოჯახის წევრებმა შეიძლება იყოყმანონ ჯანმრთელობის მომსახურების მიღებისთვის, რადგან ეს დაკავშირებულია დეპორტაციისა და ოჯახის დაშორების რისკებთან.

### *საერთაშორისო სტუდენტები*

2017 წელს 5.3 მილიონზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი ფიქსირდება, აქედან 3,3 მილიონი სწავლობდა ჩრდილოეთ ამერიკაში და ევროპაში (იუნესკო, 2020). ჩინეთი, ინდოეთი, გერმანია, კორეის რესპუბლიკა და ვიეტნამი საერთაშორისო სტუდენტების წარმოშობის ტოპ ხუთი ქვეყანაა. კოვიდ-19-ს საერთაშორისო სტუდენტებზეც ქონდა გავლენა, რადგან ქვეყნებმა რომლებიც დაზარალდნენ პანდემიით როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების დახურეს საუნივერსიტეტო კამპუსები და სტუდენტური სამუშაო ადგილები და ასევე დააწესეს შეზღუდვები მობილობაზე.

### *მიგრანტების სიკვდილიანობა და გაუჩინარება*

კოვიდ-19 პანდემიის მიერ გამოწვეული მობილურობის შეზღუდვის მიუხედავად, მიგრანტები აგრძელებენ ფარული მოგზაურობას, თავს დააღწევენ ძალადობას და სიღარიბეს და ცდილობენ თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებას. კოვიდ-19-მა გაზარდა ამ მოგზაურობის რისკები და გაურკვევლობა, რის შედეგადაც ადამიანები უფრო საშიშ სიტუაციებში გადავიდნენ, სადაც ჰუმანიტარული დახმარება და სამაშველო დახმარება

ხელმისაწვდომი არ არის. მიგრანტების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) დაკარგული მიგრანტების პროექტის მონაცემებით, 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე მიგრაციის დროს 3 700 – ზე მეტი ადამიანი დაიღუპა დაკარგა. ამ ჯამში არ არის ათასობით გარდაცვლილი ადამიანი, რომლებიც უკავშირდება კოვიდ-19 შემთხვევას მიგრანტ მუშაკთა შორის და სიკვდილიანობა, რაც უკავშირდება მობილობის შეზღუდვას და დაბლოკვას.

მიუხედავად კოვიდ-19 პანდემიისა ევროპაში საზღვაო მიგრაციის გზებზე ათასობით გარდაცვლილი ადამიანის ჰუმანიტარული კრიზისი გრძელდება. 2020 წლის მარტიდან 2021 წლის თებერვლამდე, მინიმუმ 2 269 ადამიანმა დაკარგა სიცოცხლე ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეში, რომლებიც ცდილობდნენ იტალიაში, მალტას, საბერძნეთს, ესპანეთსა და კანარის კუნძულებზე მიღწევას, რაც უფრო მეტია ვიდრე 2019-2020 წლების იმავე პერიოდის მონაცემები როდესაც, სულ მცირე, 2110 ადამიანმა დაკარგა სიცოცხლე (მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021). ასევე, მიმდინარეობს “უხილავი ხომალდების” კრიზისი - შემთხვევები, როდესაც ნავი უგზოუკვლოდ ითვლება, მაგრამ გადარჩენილები არ აღმოჩნდა და ამიტომ მათი გადამოწმება ძალზე ძნელია - ევროპაში საზღვაო მარშრუტებზე, მათ შორის, სულ მცირე, 19 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წელს (მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021).

ცენტრალური ხმელთაშუა ზღვა რჩება ყველაზე საშიში არალეგალური მიგრაციის გზად მსოფლიოში. ცნობილია, რომ 1053 ადამიანი გარდაიცვალა ამ მარშრუტზე 2020 წლის მარტიდან 2021 წლის თებერვლამდე (მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021). ამ პერიოდში, მინიმუმ 59,134 ადამიანმა სცადა ნავით გადაკვეთა ჩრდილოეთ აფრიკიდან იტალიასა და მალტაში, 91 პროცენტით მეტი ვიდრე 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლამდე (30 841). კოვიდ-19- ის საპასუხოდ განხორციელებული პოლიტიკის ზომები, როგორცაა პორტის დახურვა და სამძებრო-სამაშველო სამუშაოები გავლენას ახდენს მონაცემთა ზუსტ შეგროვებაზე.

2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე მუდმივად იზრდებოდა დასავლეთ აფრიკის ატლანტიკური მარშრუტის გადაკვეთები, სენეგალის, მავრიტანიისა და მაროკოს სანაპიროებიდან ესპანეთის კანარის კუნძულებამდე. სულ მცირე 21,167 ადამიანი ჩავიდა კანარის კუნძულებზე მხოლოდ ამ ხუთი თვის განმავლობაში, ხოლო 2020 წლის წინა ხუთი თვის განმავლობაში 2 456 ადამიანი, 2021 წლის თებერვალში კი მხოლოდ 264 ადამიანი (მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021). ეს რიცხვები პიკისგან გაცილებით შორს არის, როდესაც 2006 წელს 32 000 ადამიანი აფრიკის სანაპიროდან ჩამოვიდა კუნძულებზე. ამასთან, შემამფოთებელია ტრამვისა და სიკვდილის რისკი, რომელსაც ეს საშიში გადაკვეთა წარმოადგენს. 2020 წლის მარტიდან 2021 წლის თებერვლამდე MMP აღრიცხავდა კანარის კუნძულებისკენ მიგრაციის გზაზე მინიმუმ 843 ადამიანის გარდაცვალებას ან გაუჩინარებას. ეს ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე 238 დაღუპული შემთხვევა, რაც დაფიქსირებულია 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით. სიტუაცია განსაკუთრებით ეხება კოვიდ-19 პერიოდს, როდესაც საჭიროა მეტი ზრუნვა ხალხის გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად, უსაფრთხოების მიღების პრობემების უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლები.

ამასობაში, საბერძნეთში თურქეთიდან სახმელეთო საზღვრის გავლით და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის მიგრაციის მარშრუტით გადაკვეთის მცდელობები 82 პროცენტით შემცირდა 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021). სავარაუდოდ, ლოკ დაუნისა და მობილობაზე შეზღუდვების დაწესებამ თურქეთის მხრიდან ასევე, ბერძნული მხრიდან პატრულირებამ გამოიწვია ამ მარშრუტზე გადაკვეთის მცდელობების შემცირება. გადაადგილების მკვეთრი შემცირების მიუხედავად, ამ მარშრუტზე ადამიანები აგრძელებენ სიცოცხლის დაკარგვას - ცნობილია, რომ მინიმუმ 70 ადამიანი გარდაიცვალა 2020 წლის მარტიდან 2021 წლის თებერვლამდე (მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021). კოვიდ-19 შეზღუდვებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გამოიწვია ის, რომ ასობით როჰინგელი მიგრანტი, რომლებიც ცდილობდნენ

მიანმარის დატოვებას, ზღვაში აღმოჩნდნენ, რადგან ინფექციის შიშით ქვეყნები უარს ამბობენ მათ მიღებაზე.

რთულია ამ ნავში დალუპულთა რაოდენობის იდენტიფიცირება, ასეთი შემთხვევის დროს 2020 წლის აპრილში 70 ადამიანი გარდაიცვალა, მას შემდეგ რაც ნავმა უარი მიიღო რომელიმე ქვეყანაში შესვლაზე ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. 2021 წლის თებერვლის კიდევ ერთმა მსგავსმა ვითარებამ შეიწირა მინიმუმ 8 როკინგიელი მიგრანტი და 1 დაიკარგა. 2015 წლის ბენგალის ყურის კრიზისის დროს, რომლის დროსაც როკინგიის კატარლები ანალოგიურად იყვნენ მოსიარულეები, მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ დააფიქსირა 500 –ზე მეტი გარდაცვალება ზღვაზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები მოითხოვს, რომ არავინ დარჩეს მიღმა, მიგრანტების ჩათვლით. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს აქვთ სხვადასხვა სისუსტე, გამონაკლისი არც მიგრანტები არიან. გლობალურად, ყველა საერთაშორისო მიგრანტის დაახლოებით 12 პროცენტი 65 წლისა და უფრო ხნიერი ასაკისაა. ამასთან, 20 ყველაზე მაღალი ინფიცირების დადასტურებული შემთხვევის ქვეყნებიდან 12-ში, 65 წლის და ზემოთ ასაკის პირები საერთაშორისო მიგრანტთა ჯგუფებში უფრო მცირე წილს წარმოადგენენ, ვიდრე მათი წილი საერთო მოსახლეობაში. ინდოეთი, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, არგენტინა, პოლონეთი და უკრაინა ის ქვეყნებია, სადაც ეს გამონაკლისია. დადასტურებული შემთხვევებიდან ყველაზე მეტი 20 ქვეყნიდან 15 ქვეყანაში მიგრანტების 61 პროცენტიდან 88 პროცენტამდე სამუშაო ასაკი (20-დან 64 წლამდე) ითვლება (GMDAC ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია WHO, 2021 და UN DESA , 2020). ამრიგად, მიგრანტები, სავარაუდოდ, არიან ახალგაზრდა ან შრომითი ასაკისა და რეაგირების ნაწილი არიან კრიტიკულ სექტორებში მუშაობით.

უახლოეს მომავალში 272 მილიონ საერთაშორისო მიგრანტს შეიძლება გაუჭირდეს სამშობლოში დაბრუნება მგზავრობის შეზღუდვების გამო და ასევე, ფრენების სიმცირის გამო. ამასთანავე ქვეყნები ცდილობენ საქონლის ნაკადებისთვის საზღვრებია ღია დატოვონ, მაგალითად აშშ-კანადის საზღვარზე კომერციული ვაჭრობა გრძელდება. იგივე ითქმის ევროკავშირის ქვეყნებში, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებს შორის

კომერციული გადაადგილების ლოდინის დრო მნიშვნელოვნად გაიზარდა (Phillip Connor, 2020).

#### 2.4.1 კოვიდ-19-ის გავლენა ევროკავშირში მიგრაციული პროცესების განვითარებაზე და წარმოქმნილი სირთულეები

პანდემიის გამო სიტუაცია რა თქმა უნდა ევროკავშირს ქვეყნებშიც შეიცვალა. ევროკავშირის მონაცემები თავშესაფრისა და საზღვრის არარეგულარული გადაკვეთის შესახებ, 2020 წლის პირველი 10 თვის მანძილზე გვიჩვენებს პანდემიის გავლენას ევროკავშირში მიგრაციაზე. მთლიანობაში ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის 33%-იანი კლება ფიქსირდება (EUAFR, 2020).

2020 წლის პირველ 10 თვეში ევროკავშირში შეიტანეს 390,000 თავშესაფრის განცხადება (მათ შორის, პირველად 349,000 განცხადება), რაც 33% -ით ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის იგივე პერიოდში. ასევე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შეამცირეს თავშესაფრის საქმის წარმოება. 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს, საქმის წარმოების რაოდენობა 786,000 იყო, რაც 15% -ით ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის ბოლოს.

2020 წლის აპრილში კორონა ვირუსის გამო თავშესაფრის მაძიებლების მოთხოვნის 90% უარყოფილი იქნა, რაც 2008 წლიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. თავშესაფრის პროცედურები თანდათანობით განახლდება ბევრ ქვეყანაში, მაგრამ გამოწვევები გრძელდება. მრავალ ქვეყანაში პრობლემატური რჩება ინფორმაციის მიღება (EUAFR,, 2020).

დაფიქსირდა ევროკავშირთან საზღვრის არარეგულარული გადაკვეთის რაოდენობის 10% -იანი შემცირება (114,300 2020 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში) 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც ყველაზე დაბალია ბოლო 6 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში პირველი შესვლის ქვეყნებში არარეგულარული ჩამოსვლის მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა (-74%, 19,300), შემცირება ძირითადად გამოწვეულია თურქეთიდან



საბერძნეთში ჩასვლის დაბალი მაჩვენებლებით, სადაც ვითარება სავარაუდოდ შეიცვლება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები (ევროკომისია, 2020).

საერთო მიგრაციის შემცირების მიუხედავად, არარეგულარული ჩამოსვლები ხმელთაშუაზღვის გავლით (იტალიასა და მალტაში) გაიზარდა (+ 154%) 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2020 წელს 34 100 ათასი ჩამოსვლა დაფიქსირდა, რაც 2019 წლის მონაცემებს აღემატება (2019 ში 11 500), უმეტესობის დანიშნულების ადგილი ლამპედუსაში არის. მარტის თვის გარდა, გამოსვლებმა მუდმივად გადააჭარბეს 2019 წლის დონეს.

ესპანეთში და კერძოდ კანარის კუნძულებზე ჩამოსვლები მნიშვნელოვნად გაიზარდა (+46%, 35,800) 2020 წელს 2019 წელთან შედარებით. ესპანეთში COVID-19 შეზღუდვების გავლენა არალეგალურ ჩამოსვლებზე დროებითი იყო: 2020 წლის აგვისტოდან ჩამოსვლის რაოდენობა ესპანეთში მეტი იყო, ვიდრე 2019 წელს.

მიუხედავად ამისა, ხმელთაშუაზღვის კვეთა კვლავ საშიშია. 2020 წელის გამგზავრებების შემცირების მიუხედავად, 1 754 ადამიანი დაიღუპა ან დაიკარგა, ხოლო 2019 წელს კი 2,095 ადამიანი (ევროკომისია, 2020).

კოვიდ-19 ის გავრცელებამ და პანდემიამ რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო სტუდენტებზეც. 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოში 5.3 მილიონი საერთაშორისო სტუდენტი, აქედან 3.3 მილიონი მოდის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებზე. საერთაშორისო სტუდენტებისთვის კორონა ვირუსის პანდემიის გავლენა იმაში გამოიხატა, რომ დაიხურა კამპუსები, სტუდენტებმა დაკარგეს სამუშაო ადგილები და ასევე, მობილობის შეზღუდვის წესები რომლების დაწესდა როგორც საერთაშორისო სტუდენტების წარმოშობის ქვეყნების მიერ, ასევე იმ ქვეყნების მიერ სადაც იმყოფებოდნენ (UNESCO, 2020).

როგორი გავლენა ექნება კოვიდ-19 მიგრაციის ტენდენციებში გრძელვადიან პერიოდში ჯერჯერობით უცნობია.

შემდეგი ცხრილი წარმოგვიდგენს 2021 წლის 4 თებერვლის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც ყველაზე მაღალი კოვიდ ინფიცირებული შემთხვევა ფიქსირდება და ასევე, მაღალია მიგრანტების პროცენტული რაოდენობა.

ცხრილი 20. კოვიდ19 -ით დაინფიცირების შემხვევების რაოდენობა მიგრანტებს შორის ასაკის მიხედვით 2020წ.

ქვეყანა	04.02.2021 დადასტურებული კოვიდ-19 შემთხვევა მოსახლეობის 1 მილიონზე	მიგრანტები, როგორც მოსახლეობის წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვები	სამუშაო ასაკის მიგრანტების წილი (20-64 წლის) (%), 2020 წლის შუა რიცხვები	65 წლის და უფროსი მიგრანტების წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვებში	65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვები
ამერიკის შეერთებული შტატები	79,070	15.3%	77.2%	14.5%	16.6%
ინდოეთი	7,828	0.4%	70.7%	21.6%	18.7%
ბრაზილია	43,938	0.5%	59.3%	15.7%	6.3%
რუსეთი ფედერაცია	26,847	8.0%	76.7%	16.9%	21.7%
გაერთიანებული სამეფო	57,034	13.8%	77.4%	11.0%	8.7%
საფრანგეთი	48,994	13.1%	67.6%	22.6%	9.0%
ესპანეთი	61,672	14.6%	80.7%	9.0%	11.4%
იტალია	42,734	10.6%	84.4%	7.1%	18.7%


თურქეთი	29,655	7.2%	70.9%	5.9%	9.6%
<b>გერმანია</b>	<b>26,879</b>	<b>18.8%</b>	<b>70.2%</b>	<b>21.4%</b>	<b>20.1%</b>
კოლუმბია	41,775	3.7%	57.6%	2.6%	6.6%
არგენტინა	43,206	5.0%	68.4%	14.2%	5.5%
მექსიკა	14,630	0.9%	34.8%	4.5%	23.3%
<b>პოლონეთი</b>	<b>40,519</b>	<b>2.2%</b>	<b>36.9%</b>	<b>40.8%</b>	<b>20.8%</b>
სამხრეთ აფრიკა	24,668	4.8%	81.8%	7.1%	7.6%
ირანი	17,208	3.3%	51.4%	2.5%	16.9%
უკრაინა	28,176	11.4%	72.9%	20.3%	9.1%
პერუ	35,131	3.7%	61.4%	2.9%	20.0%
ინდონეზია	4,106	0.1%	78.5%	5.0%	15.5%
<b>ჩეხეთი</b>	<b>94,626</b>	<b>5.1%</b>	<b>87.6%</b>	<b>5.5%</b>	<b>6.6%</b>
გლობალური საშუალო		3.6%	73.2%	12.2%	9.3%

წყარო: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2021

როგორც ცხრილი გვიჩვენებს ამ მონაცემებში მსოფლიოს მასშტაბით, ევროკავშირის ქვეყნებიდან ლიდერობენ საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი და ჩეხეთი.

შემდეგი ცხრილი კი, წარმოადგენს ილუსტრაციას საზღვარგარეთ დაბადებულ ექიმებსა და ექთნების წილს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში. თუ კარგად დავაკვირდებით ამ ქვეყნების მონაცემებში ევროკავშირის სახელმწიფოები ლიდერობენ: იტალია, ჩეხეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია და ამ სახელმწიფოებს მოჰყვება ამერიკის შეერთებული შტატები.

ნახაზი 15. საზღვარგარეთ დაბადებული ექიმებისა და ექთნების წილი ქვეყნების მიხედვით 2020წ.



წყარო: OECD, 2020

საშუალოდ, ევროპაში ძირითადი მუშაკების 13% იმიგრანტია (ფასანი და მაზა, 2020). 2017 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 161, 583 უცხოელი მუშაკი აიყვანეს სეზონურ სამუშაო ნებართვით (OECD, 2019), ხოლო ევროკავშირში კი ხშირად სეზონურ მუშაკებს არც კი ითვლიან.

რამდენიმე წლის წინ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) მოსახელობის აღწერის მიზნით დაიწყო მისი წევრი ქვეყნების მონაცემების შეგროვება. ცოტა მოგვიანებით კი ამ მცდელობას მსოფლიო ბანკიც შეუერთდა და ორგანიზაციებმა დაიწყეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნების (OECD) მიგრანტების აღწერა. მოგვიანებით კი, ამ მონაცემების შეგროვებით შესაძლებელი გახდა მიგრანტების დონის დაანგარიშება მათი უნარების დონის მიხედვით (OECD, 2020).

ამ მონაცემთა ნაკრებში მოცემულია ინფორმაცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნების (OECD) დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ (ასაკი და სქესი), იმიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა, შრომის ბაზრის შედეგები (ბაზრის სტატუსი, პროფესია, საქმიანობის სფეროები და ა.შ), სწავლის სფეროები, განათლების დონე და დაბადების ადგილი.

მონაცემები ასევე მოიცავს უცხოეთში დაბადებული მუშაკების წილს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში (OECD). ქვემოთ მოცემულ ცხრილში კი წარმოდგენილია როგორია უცხოეთში დაბადებული მუშაკების განაწილება ქვეყნების მიხედვით, სადაც ევროკავშირის ქვეყნები ესპანეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, საფრანგეთი და პოლონეთი ლიდერობენ.

ცხრილი 21. უცხოეთში დაბადებული მუშაკების წილს ქვეყნების მიხედვით 2015-2016 წწ.

ქვეყანა	უცხოეთში დაბადებული მუშაკები ყველა მომსახურებისა და გაყიდვების მუშაკთა შორის, 2015/16	ქალები უცხოეთში დაბადებულ მომსახურებებსა და გაყიდვების მუშაკებს შორის, 2015/16	უცხოეთში დაბადებული მუშაკები სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის გამოცდილი მუშაკთა შორის, 2015/16	ქალები უცხოეთში დაბადებულ კვალიფიციური სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის მუშაკთა შორის, 2015/16
აშშ	23.3	78.8	46.3	27.2
ესპანეთი	19.5	58.9	11.3	5.3
იტალია	19.0	72.3	11.0	16.8
გერმანია	18.4	58.8	9.6	11.7
ბელგია	17.1	-	5.8	-
გაერთიანებული სამეფო	13.8	11.0	16.8	78.5
საფრანგეთი	13.8	59.5	6.7	26.1
პოლონეთი	0.9	42.2	0.4	52.3
მექსიკა	0.6	41.5	0.3	11.3

--	--	--	--	--

წყარო: მონაცემთა ბაზა OECD და არა OECD ქვეყნებში ემიგრანტების შესახებ: DIOC,

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OCED, 2019) ქვეყნებს შორის, სიღარიბეში მცხოვრები ემიგრანტი მუშების წილი - მიუხედავად დასაქმებისა - ყველაზე მაღალი იყო სამხრეთ ევროპის ქვეყნებსა და შეერთებულ შტატებში 2017/18 წლებში. 2018 წელს ესპანეთსა და შეერთებულ შტატებში სამუშაო სიღარიბის მაჩვენებლები იყო 32,1 და 24,8 პროცენტი, ხოლო იტალიაში კი 29,1 პროცენტი 2017 წელს (OCED, 2019).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2021 წელის მარტში გამოაქვეყნა მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს მიგრანტების პროცენტულ წილს ყველაზე მაღალი დადასტურებული კოვიდ-19 შემთხვევების ქვეყნებში. მსოფლიოს ამ ქვეყნებში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მოწინავე პოზიციებს იკავებენ: ჩამონათვალში მე-6 ქვეყანა არის საფრანგეთი, სადაც დადასტურებული კოვიდ-19-ის შემთხვევების 13.1% მიგრანტებზე მოდის, მე-7 ესპანეთი 14.6%-ით, მე-8 იტალია 10.6%-ით, მე-10 გერმანია 18.8%-ით და ა.შ

ცხრილი 22. მიგრანტების რაოდენობას იმ ქვეყნებში სადაც ყველაზე მეტი კუმულაციური კოვიდ-19 შემთხვევაა - 2021 წლის 1-ლი მარტი

ქვეყანა	2021 წლის 4 მარტის მონაცემები თ დადასტურ ა COVID-19 შემთხვევა მოსახლეობის 100000-ზე	მიგრანტები, როგორც მოსახლეობის წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვები	სამუშაო ასაკის მიგრანტების წილი (20-64 წლის) მიგრანტების წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვები	65 წლის და უფროსი წილის მიგრანტების წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვებში	65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%), 2020 წლის შუა რიცხვები
აშშ	8 581.02	15.3	77.2	14.5	16.6
ინდოეთი	808.47	0.4	70.7	21.6	18.7
ბრაზილია	5 008.92	0.5	59.3	15.7	6.3
რუსეთის ფედერაცია	2 931.97	8.0	76.7	16.9	21.7

გაერთიანებული სამეფო	6 169.76	13.8	77.4	11.0	8.7
საფრანგეთი	5 694.92	13.1	67.6	22.6	9.0
ესპანეთი	6 694.90	14.6	80.7	9.0	11.4
იტალია	4 888.10	10.6	84.4	7.1	18.7
თურქეთი	3 229.01	7.2	70.9	5.9	9.6
გერმანია	2 936.16	18.8	70.2	21.4	20.1
კოლუმბია	4 440.78	3.7	57.6	2.6	6.6
არგენტინა	4 705.15	5.0	68.4	14.2	5.5
მექსიკა	1 626.58	0.9	34.8	4.5	23.3
პოლონეთი	585.37	2.2	36.9	40.8	20.8
ირანი	1 972.43	3.3	51.4	2.5	16.9
სამხრეთ აფრიკა	2 554.12	4.8	81.8	7.1	7.6
უკრაინა	3 120.48	11.4	72.9	20.3	9.1
ინდონეზია	494.96	0.1	78.5	5.0	15.5
პერუ	4 058.91	3.7	61.4	2.9	20.0
ჩეხეთი	11 850.41	5.1	87.6	5.5	6.6
გლობალური საშუალო		3.6	73.2	12.2	9.3

წყარო: მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაცია

ამრიგად, 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით (UN DESA, 2020), COVID-19 კუმულაციური შემთხვევების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა იმ ქვეყნებში, სადაც მიგრანტები მათი მოსახლეობაში მნიშვნელოვან ხვედრით წილს წარმოადგენდნენ. ასე მაგალითად, მიგრანტების ხვედრითი წილი გერმანიაში შეადგენდა მოსახლეობის 19%-ს, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 15%, ესპანეთში 15%-ს, გაერთიანებულ სამეფოში 14%-ს და საფრანგეთში 13 %-ს. ამ ქვეყნებში მიგრანტების დასაქმების ძირითადი სფეროებია ჯანდაცვა და მომსახურება. შესაბამისად, შეინიშნებოდა ამ ქვეყნებიდან მიგრანტების დაბრუნების მატება წარმოშობის ქვეყნებში.

მიგრანტი მუშაკები ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დასაქმებული მუშაკების მთლიანი რაოდენობის 20.6% და 17.8%-ს შეადგენენ (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2017 ანგარიში „გლობალური შეფასებები საერთაშორისო მიგრანტთა შესახებ). შესაბამისად, ისინი იყვნენ პირველები, ვინც დაზარალდნენ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, კერძოდ,

სამსახურიდან გათავისუფლებისა და გადაადგილების შეზღუდვებისა და დაბლოკვის შედეგად, რამაც გავლენა მოახდინა მათ საარსებო წყაროზე (სეზონურად ან დაეკარგათ).

ამრიგად, პანდემიის გამო შეიცვალა ვითარება ევროკავშირს ქვეყნებში მიგრაციისა და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ, ევროკავშირის მონაცემები თავშესაფრისა და საზღვრის არარეგულარული გადაკვეთის შესახებ 2020 წლის პირველი 10 თვის მანძილზე გვიჩვენებს, რომ პანდემიის გავლენის გამო ევროკავშირში მიგრაცია შემცირდა. მთლიანობაში ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის 33%-იანი კლება ფიქსირდება (EUAFR, 2020). ევროკავშირის მონაცემებით, ასევე, დაფიქსირდა ევროკავშირთან საზღვრის არარეგულარული გადაკვეთის რაოდენობის 10% -იანი შემცირება (114,300 2020 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში) 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც ყველაზე დაბალია ბოლო 6 წლის განმავლობაში.



### თავი 3: სოციოლოგიური კვლევები

მოცემული სადისერტაციო ნაშრომის კვლევა მიზნად ისახავს, გავაანალიზოთ ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში მიგრანტების როლი და შევაფასოთ ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრანტებისადმი, ასევე, დავახასიათოთ საქართველოს მიგრაციული პროფილი, შევაფასოთ და გამოვავლინოთ, როგორია საქართველოს მოსახლეობის მოტივაცია ქვეყნის დატოვების და ევროკავშირში მიგრაციის მიმართ და გავაანალიზოთ ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. კვლევის ამოცანას წარმოადგენს, შევისწავლოთ და გამოვავლინოთ ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრაციის ფენომენისადმი და როგორ აღიქვამენ ევროპელები მიგრაციას: როგორც საფრთხეს თუ როგორც შესაძლებლობას საკუთარი ქვეყნისთვის. ამასთანავე, კვლევის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირში მყოფი ქართველი მიგრანტების მიგრაციაში წასვლის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი ევროკავშირში ყოფნის გამოცდილების შეფასება, რომელიც მოიცავს სამუშაო და ყოფითი ცხოვრების პირობებს და მათი განწყობის შესწავლა სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული კვლევითი მიზნების შესრულების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა სამი დამოუკიდებელი სოციოლოგიური კვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 276 ადამიანი, აქედან 136 საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, 72 ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები და 68 ქართველი ემიგრანტი, რომლებიც იმყოფებიან ემიგრაციაში ევროკავშირის ქვეყნებში. გამოიკითხვა ჩატარდა სატელეფონო და პირის-პირ ინტერვიუებით, ასევე ინტერნეტით, კერძოდ ელექტრონული მეილითა და სოციალური ქსელებით (ფეის ბუქი, ინსტაგრამი და სხვა).

1. კვლევა, რომელიც ჩატარდა საქართველოში მცხოვრები რესპოდენტებისათვის და მიზნად ისახავდა, გამოეკვლია თუ რამდენად სურთ ევროკავშირში ემიგრაცია და

რა იყო ამის გამომწვევი მიზეზები და რა პირობებს ისურვებდნენ ამისათვის. ამ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 136 რესპოდენტმა;

2. მეორე კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს შორის. გამოიკითხა უცხოელი რესპოდენტები, რათა დაგვედგინა, როგორია მათი დამოკიდებულება მათ ქვეყანაში მიგრანტების მიმართ და როგორ აფასებენ ისინი მიგრაციის თავის ქვეყნისათვის, რა საფრთხეებს და რა პოზიტიურ სარგებელს ხედავენ ამ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 72 უცხოელი მოქალაქე, რომლებიც ცხოვრობენ გერმანიაში, იტალიაში, ნიდერლანდებში,
3. მესამე კვლევაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრებმა ემიგრანტმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებმაც შეაფასეს მათი გამოცდილება და ის პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან. სულ გამოიკითხა 68 რესპოდენტი.

### 3.1 სოციოლოგიური კვლევა საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირში მიგრაციის მიზეზების გამოსაკვლევად

მიგრაციის ფენომენის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოეკვლინა თუ რამდენად სურს საქართველოს მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის დატოვება და რა არის ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზები. იმის დასადგენად თუ რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა მიგრაციის ფენომენზე და რამდენად არის მიგრაციის სურვილი მოსახლეობაში შევადგინეთ კითხვარი. გამოკითხვის რესპოდენტები იყვნენ საქართველოს მოსახლეობა. გამოკითხვის საფუძველზე მოგვეცა საშუალება შეგვესწავლა და შეგვეფასებინა საქართველოში არსებული მდგომარეობა და დამოკიდებულებები მიგრაციის ფენომენთან დაკავშირებით.


კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 136 ადამიანი. გამოკითხვა ჩატარდა სატელეფონო, პირისპირ ინტერვიუსა და ინტერნეტის საშუალებით კერძოდ ელექტრონული მეილითა და სოციალური ქსელების საშუალებით (ფეის ბუქი,

ინსტაგრამი და სხვა). რესპოდენტებს გაეგზავნათ წინასწარ შედგენილ კითხვარი, რომელიც შედგება 18 კითხვისგან (იხ. დანართი1).

გამოკითხულთა 60% არის მდედრობითი სქესის, მათი ასაკის გადანაწილება შემდეგია: ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს 26 წლიდან 30 წლამდე მოქალაქეებს, რაც 54.5%-ია, შემდეგ მოდის 21.2%-ით 31 და 35 წლამდე მოქალაქეები, 9.1% 56 და მეტი, ასევე 9.1% 18 და 25 წლამდე.

ნახაზი 16. გამოკითხულთა ასაკობრივი შემადგენლობა


ასაკი



გამოკითხულთა 98.5% არის ქართველი და 97% აქვს მიღებული უმაღლესი განათლება.


## ნახაზი 17. გამოკითხულთა ეროვნება

თქვენი ეროვნება



## ნახაზი 18. გამოკითხულთა განათლების დონე

განათლების დონე




აღსანიშნავი ფაქტია, რომ გამოკითხულთა 97% აქვს საკუთარ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება. ხოლო კითხვაზე თუ როგორია რესპოდენტების შემოსავალი პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 22.7% აღნიშნავს, რომ მათი ხელფასი მერყეობს 500 დან 900 ლარამდე, 21.2% აღნიშნავს რომ მათი შემოსავალი 1500 ლარიდან 2000 ლარამდეა, 18.2% შემოსავალი 3000 ლარი და მეტია, ასევე გამოკითხულთა 18.2% შემოსავალი არის 900 ლარიდან 1500 ლარამდე, 10.6% შემოსავალი მერყეობს 2000

ლარიდან 3000 ლარამდე და 4.5% აღნიშნავს საკუთარ შემოსავლად 100 ლარიდან 300 ლარამდე და ასევე 4.5%-მა მიუთითა 300 ლარიდან 500 ლარამდე შემოსავალი.


ნახაზი 19. გამოკითხულთა მუშაობის გამოცდილება საკუთარ ქვეყანაში

მუშაობის გამოცდილება საკუთარ ქვეყანაში



ნახაზი 20. გამოკითხულთა შემოსავლები


თქვენი შემოსავალი



კითხვაზე წახვიდოდნენ თუ არა ემიგრაციაში ევროპაში, რესპოდენტების 66.2%-მა პროცენტმა უარი განაცხადა, გამოკითხულთა მხოლოდ 33.8%-ს სურს ევროკავშირის ქვეყანაში ემიგრაციაში წასვლა. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვარკვიოთ თუ რატომ სურს ქართველ მოსახლეობას ევროკავშირში მიგრაცია და რა არის ამის მთავარი გამომწვევი მიზეზები, რესპოდენტებს დავუსვით დამატებითი კითხვები.

ნახაზი 21. ემიგრაციაში წასვლის მსურველთა პროცენტული მაჩვენებელი

წახვიდოდით თუ არა ემიგრაციაში ევროპაში?




პირველ რიგში საინტერესო იყო, მიგრაციის სურვილის შემთხვევაში, ევროპის რომელ ქვეყანას მიანიჭებდნენ რესპოდენტები უპირატესობას და როგორც გამოკითხვამ გამოარკვია ეს ქვეყნები ძირითადად არის: გერმანია, ავსტრია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, შვეიცარია, ბრიტანეთი, იტალია და ესპანეთი.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე იმყოფება ემიგრაციაში, რესპოდენტებს დავუსვით კითხვა თუ იმყოფებოდა მათი რომელიმე ოჯახის წევრი ემიგრაციაში, რაზეც 72.2% უარი განაცხადა.

ნახაზი 22. გამოკითხულთა ოჯახის წევრები ემიგრაციაში


იმყოფება თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ემიგრაციაში?



იქიდან გამომდინარე, რომ ემიგრაციაში წასვლის სურვილი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, ჩვენც რესპოდენტებს ვკითხეთ თუ რა მიზეზის გამო შეიძლება წასულიყვნენ/აპირებენ წასვლას ემიგრაციაში. 51.7%-მა პროცენტმა ამის მიზეზად სწავლა დაასახელა, 39.7%-მა პროცენტმა უპასუხა, რომ უკეთესი ცხოვრების ხარისხისთვის, 6.9%-მა აღნიშნა რომ სამუშაოს ძებნის მიზნით და 1.7%-მა ეთნიკური დევნის გამო.

ნახაზი 23. გამოკითხულთა ემიგრაციაში წასვლის მიზეზები

რა მიზეზის გამო წახვიდლით ემიგრაციაში?




რესპოდენტებს, ასევე დავუსვით კითხვა თუ რა მიაჩნიათ პრობლემად საკუთარ ქვეყანაში, რაზეც შემდეგი პასუხები მივიღეთ: დაბალი ხელფასები, უმუშევრობის მაღალი დონე, არა სამართლიანობის განცდა და დაუცველობის გრძნობა, განათლების და დასაქმების პერსპექტივა, განათლების და შემოსავლის დაბალი ხარისხი, განვითარების ნაკლები შესაძლებლობები, დაბალი და შეუსაბამო ანაზღაურება და გაუმართავი მომსახურების სფერო, ცუდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, სტრესული და უსამართლო გარემო, ცოდნისა და გამოცდილების დაუფასებლობა და თვითრეალიზაციის პრობლემები.

კითხვაზე, თუ როგორ ფიქრობენ რესპოდენტები ექნებათ თუ არა მიგრაციის შემთხვევაში პრობლემები და წინააღმდეგობები, უმრავლესობამ 40.3%-მა დადებითი პასუხი გასცა, 30.6% ფიქრობს რომ პრობლემები და წინააღმდეგობები არ ექნება, ხოლო 29%-მა კი არ იცის.

**ნახაზი 24. გამოკითხულთა შეფასება ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებულ პრობლემებზე**

როგორ გგონიათ მიგრაციის შემდგომ გექნებათ თუ არა წინააღმდეგობები და პრობლემები უცხო ქვეყანაში?



რესპოდენტებს დავუსვით კითხვა თუ რას ისურვებდნენ ისინი ემიგრაციაში წასვლისთვის, რაზეც 45.8%-მა გვიპასუხა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს,



32.2%-მა განაცხადა, რომ ისურვებდა ქონოდათ სამუშაო ადგილების ბაზა, 13.6% სამართლებრივი მხარდაჭერა სურს, ხოლო 8.5% კი სურს უცხო ქვეყანაში დახვდნენ სამუშაო აგენტები.

ნახაზი 24. გამოკითხულთა სასურველი მოლოდინი ემიგრაციის სურვილის შემთხვევაში


რა პრობებს ისურვებდით მიგრაციაში წასვლისთვის?



გამოკითხულთა 36.8%-ს მოლოდინი ემიგრაციაში წასვლის შემთხვევაში არის მატერიალური უზრუნველყოფა, 31.6%-ისთვის გამოცდილების დაგროვება, 28.1%-ისთვის განათლების მიღება, ხოლო 3.5%-მა კი მიუთითა სხვა მიზეზები.

ნახაზი 25. გამოკითხულთა ემიგრაციაში წასვლის მოლოდინი


რა არის თქვენი მიგრაციაში წასვლის მოლოდინი?



გამოკითხულთა 72.1%-მა პროცენტმა იცის თუ რა სახის ბარიერებს შეილება წააწყდეს მიგრაციაში წასვლისას, ხოლო 27.9%-მა კი არ იცის. ასევე, რესპოდენტების 52.5%-მა პროცენტი დაახლოებით იცნობს მიგრაციაში წასვლის სასურველი ქვეყნის კანონმდებლობას, 33.9% არ იცნობს, ხოლო 13.6% კი ნამდვილად იცნობს კანონმდებლობას.


ნახაზი 26. გამოკითხულთა ცნობიერების დონე ემიგრაციის დროს ბარიერებთან დაკავშირებით

დაახლოებით იცით თუ არა რა სახის ბარიერებს გადააწყდებით მიგრაციის დროს?



ნახაზი 27. გამოკითხულთა ცნობიერება ემიგრაციის ქვეყნის კანონმდებლობისადმი

იცნობთ თუ არა სასურველი ქვეყნის კანონმდებლობას?



გამოკითხვის ბოლოს რესპოდენტებს დავუსვით კითხვა მიგრაციის შემთხვევაში პრობლემის მოგვარების შემდეგ თუ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, რაზეც 86.2%-მა დადებითი პასუხი გაგვცა, 10.3%-მა არ იცი, ხოლო 3.4% კი არ აპირებს სამშობლოში დაბრუნებას.

რესპოდენტების პასუხების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 33.8%-ს სურს ევროკავშირის ქვეყანაში ემიგრაციაში წასვლა. ამასთან, გამოკითხულ ქალთა 30,5%-ს და გამოკითხულ მამაკაცთა 38,5%-ს სურს ემიგრაციაში წასვლა. შესაბამისად, ემიგრაციის მსურველთა გენდერულ ჭრილში გაანალიზება გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ემიგრაციის სურვილი მამაკაცებში უფრო ჭარბობს ვიდრე ქალებში.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 27,7% აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წევრი უცხოეთში არ იმყოფება ემიგრაციაში. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ისინი ფლობენ გაცილებით მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა პრობლემები და სარგებელია დაკავშირებული უცხოეთში ემიგრაციასთან. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა მათგანს არ სურს ემიგრაციაში წასვლა. უცხოეთში ემიგრაციის მსურველთა შორის (გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 66,2%), მხოლოდ 57 %-ის ოჯახის წევრია

უცხოეთში, ხოლო დანარჩენ რესპოდენტებს (43%), რომლებსაც ემიგრაციაში სურთ წასვლა, არ ჰყავთ ოჯახის წევრი, რომელიც უცხოეთშია. ამ მონაცემის გენდერულ ჭრილში გაანალიზება შემდეგ სურათს გვაძლევს: ემიგრაციის მსურველ მამაკაცთა 70%-ის და ქალთა 45%-ის ოჯახის წევრია ემიგრაციაში საზღვარგარეთ.

იმ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა (66,7%), რომლებსაც სურთ ემიგრაციაში წასვლა, მიიჩნევენ, რომ ემიგრაციის განხორციელებისათვის, მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა ჰქონდეთ ინფორმაცია მიმღებ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შესახებ (სამუშაო ადგილების ბაზა), ან ისარგებლონ ადგილზე სამუშაო აგენტის მომსახურებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი 21%-ის მიზანი უცხოეთში ემიგრაციისათვის სწავლაა და არა მუშაობა. რესპოდენტთა საერთო რაოდენობის 45,8% ფიქრობს, რომ სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაცია ან სამუშაო აგენტების მომსახურებაა სასურველი ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის. ემიგრაციის მსურველ რესპოდენტთა 19 % მიიჩნევს, რომ შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერა იქნებოდა მათთვის სასურველი მაშინ, როდესაც საერთო რაოდენობიდან ემიგრაციისთვის ხელშემწყობ ფაქტორად სამართლებრივი მხარდაჭერა 13,6%-მა დაასახელა. ემიგრაციის მსურველთა 28,6%-ის აზრით, მიმღები ქვეყნების ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებია მათთვის მნიშვნელოვანი. ამ საკითხზე გამოკითხული რესპოდენტების საერთო რაოდენობის 45,8% ფიქრობს, რომ ეს ფაქტორია მნიშვნელოვანი ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ ემიგრაციის მსურველების მოთხოვნები და ზოგადი წარმოდგენები ემიგრაციის შეახებ გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავდება ერთმანეთისგან.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციის მსურველთა ამჟამინდელ შემოსავლებსა და ემიგრაციის სურვილს შორის პირდაპირი კორელაცია არ შეინიშნება: ემიგრაციის მსურველი რესპოდენტების შემოსავალი 100 ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. თუმცა ემიგრაციის მსურველთა უმრავლესობის (33,3%) შემოსავალი, ძირითადად, საშუალოა, 500-900 ლარის ფარგლებში. გენდერულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მაღალი შემოსავლის

მქონე (3000 ლარი და მეტი) რესპოდენტებს შორის მხოლოდ ქალები არიან (14,3%), ხოლო ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე (100-300 ლარამდე და 300-500 ლარამდე) რესპოდენტები, რომელიც ემიგრაციის სურვილს გამოთქვამს, კაცები არიან და საერთო რაოდენობის 14,5%-ს (100-300 ლარამდე - 5 და 300-500 ლარამდე 9,5%) შეადგენს.

რესპოდენტთა პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ 36.8%-ს მხოლოდინი ემიგრაციაში წასვლის შემთხვევაში არის მატერიალური უზრუნველყოფა, 31.6%-ისთვის გამოცდილების დაგროვება, 28.1%-ისთვის განათლების მიღება. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (86.2%) პრობლემების ან თავიანთი მიზნების განხორციელების შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს, თუმცა აღსანიშნავია, რომ იმიგრაციის მსურველთა 71,4% ფიქრობს, რომ დაბრუნდება ემიგრაციიდან (მათ შორის კაცების 80 % და ქალების 63,6%). ეს გარემოება მნიშვნელოვანია, ეროვნული ქვეყნის განვითარებისათვის, რადგან უცხოეთიდან დაბრუნებული ჩვენი თანამოქალაქეები თავიანთი შეძენილი ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების გამოყენებას აპირებენ სამშობლოში.

#### **ზემოაღნიშნული დასკვნები შემდეგი რეკომენდაციების საშუალებას გვაძლევს:**

ემიგრაციის ხელშეწყობა უნდა მოხდეს ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის საშუალებით, რაც გულისხმობს ქართველი მუშაკების დასაქმების ხელშეწყობას მიმღებ ქვეყნებში და შემდგომში მათ აუცილებელ დაბრუნებას საქართველოში, რათა მოხდეს საზღვარგარეთ შეძენილი სამუშაო გამოცდილების და უნარ-ჩვევების გამყენება საქართველოში. ეს გარემოება ხელს შეუწყობს არსებული დარგების განვითარებას და ინოვაციების დანერგვას, ასევე, ინოვაციური მიდგომების განვითარებას. შესაძლებელია ახალი დარგების განვითარებასაც მიეცეს ბიძგი, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი ფაქტორი შეუძლება გახდეს.

ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მიმღებ ქვეყნებთან შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმებას, რომელიც

უზრუნველყოს ქართველი მიგრანტების შრომითი უფლებების დაცვას და მათთვის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები უზრუნველყოფას.

მიზანშეწონილია მიმღებ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციული ბაზისი შექმნა და მიგრანტებისათვის დასაქმების აგენტის სამსახურის შექმნა, რომელიც დაეხმარება საქართველოდან სამუშაოდ წასულ მიგრანტებს შესაფერისი სამუშაოს პოვნაში.

მნიშვნელოვანია უცხოეთში განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება, რომელიც ასევე მოიცავს სამუშაო პრაქტიკას უცხოურ ქვეყნის კომპანიებში, რათა მიღებული ცოდნა და თეორიული მიდგომები უცხოეთში მუშაობის შედეგად პრაქტიკულ გამოყენებაში. აღნიშნული გარემოება უცხოეთში სწავლის ეფექტურობას გაზრდის და გაცილებით მეტი სარგებლის მომტანი იქნება, როგორც უცხოეთში განათლების მიმღებთათვის ასევე საქართველოსთვის.

მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით. შესაბამისად საჭიროა მიმღებ ქვეყნების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდება პოტენციური მორგანტებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ სრული წარმოდგენა მიგრაციის გამოწვევებისა და სარგებლის შესახებ.

საჭიროა დაბრუნებული მიგრანტებისათვის შეიქმნას ფინანსური მოტივაცია და ხელი შეეწყოს მათ მიერ მიღებული ცოდნის რეალიზებას ახალ ბიზნეს იდეებში თუ საწარმოო პროცესებში. ფინანსური მოტივაციის სქემები შეიძლება მოიცავდეს შეღავათიან სესხებს ახალი ბიზნესი დასაწყებად, ან მცირე გრანტებს გარკვეული საწარმოო დანადგარების შესაძენად ან საგადასახადო შეღავათებს.

### 3.2 სოციოლოგიური კვლევა ეკვროკავშირის მოსახლეობის განწყობა მიგრაციის ფენომენის გამოსაკვლევად


მეორე სოციოლოგიური კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოგვეჩვენა ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრანტებისადმი, თუ როგორი დამოკიდებულებაა ევროკავშირის მოსახლეობაში მიგრაციის ფენომენისადმი და როგორ აღიქვამენ ევროპელები მიგრაციას: როგორც საფრთხეს თუ როგორც შესაძლებლობას საკუთარი ქვეყნისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 72 ევროკავშირის მოქალაქე, გამოიკითხვა ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუსა და ინტერნეტის საშუალებით, კერძოდ ელექტრონული მეილითა და სოციალური ქსელების საშუალებით (ფეის ბუქი, ინსტაგრამი და სხვა). რესპოდენტებს გაეგზავნათ წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელიც შედგებოდა 12 კითხვისგან (იხ. დანართი 2).

გამოკითხულთა 58.3% არის მდედრობითი სქესის, მათი ასაკობრივი გადანაწილება შემდეგია: ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს 26 წლიდან 30 წლამდე მოქალაქეებს, რაც 47.2%-ია, შემდეგ მოდის 19.4%-ით 18 დან 25 წლამდე მოქალაქეები, 11.1% 31 დან 35 წლამდე, ასევე 11.1% 36-დან 40 წლამდე, 5.6% 41-დან 45 წლამდე, 2.8% 51-დან 55 წლამდე და 2.8% 56 და მეტი.

ნახაზი 28. გამოკითხულთა ასაკობრივი შემადგენლობა


ასაკი



გამოკითხულთა 50%-ს აქვს უმაღლესი განათლება და 88.9%-ს აქვს საკუთარ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება.

ნახაზი 29. გამოკითხულთა განათლების დონე

განათლების დონე




კითხვაზე თუ როგორია რესპოდენტების შემოსავალი პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 50% თვლის რომ მას საშუალო შემოსავალი აქვს, 25%-მა კი საკუთარი შემოსავალი დაბალ შემოსავლად მიიჩნია, მხოლოდ 13.9% მიიჩნევს, რომ აქვს მარალი შემოსავალი და 11.1%-ს შემოსავალი საერთოდ არ აქვს.

ნახაზი 30. გამოკითხულთა შემოსავლები



შემოსავალი

?




კითხვაზე, მიიჩნევენ თუ არა ისინი, რომ მიგრანტები მათ ქვეყანას უფრო ძლიერს ხდიან, 72.2%-მა პროცენტმა დადებითი პასუხი გაგვცა, ხოლო 27.8%-მა კი უარით უპასუხა კითხვას. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ როგორია ევროკავშირის მოსახლეობის განწყობები და დამოკიდებულებები მიგრაციისა და მიგრანტებისადმი, რესპოდენტებს დავუსვით დამატებითი კითხვები.

გამოკითხულ მამაკაცთა 26% ფიქრობს, რომ ჩასული ემიგრანტები არ აძლიერებენ ქვეყანას, მაშინ როცა ქალების 23% ფიქრობს ასე. აღსანიშნავია რომ გამოკითხულ ქალთაგან ისინი ვინც ფიქრობენ, რომ მიგრანტები არ აძლიერებენ თავიანთ ქვეყანას, აქედან მხოლოდ 25%-ს აქვს საშუალო განათლების დონე, ხოლო გამოკითხულთა 75% რომლებიც ფიქრობენ, რომ მიგრანტების ქვეყანას აძლიერებს უმაღლესი განათლებით არის. ხოლო მამაკაცთა შორის ვინც უარყოფითად აფასებს მიგრანტებს, 25%-ს აქვს საშუალო განათლება, ხოლო დანარჩენს კი უმაღლესი განათლება აქვს (75%).

ნახაზი 31. ევროკავშირის მოსახლეობის განწყობა მიგრანტების მიმართ

### უჭერთ თუ არა მხარს მიგრაციას



პირველ რიგში საინტერესო იყო, რამდენად მხარს უჭერს ევროკავშირის მოსახლეობა მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან მიგრაციას ევროკავშირში, რაზეც 61.1%-მა განაცხადა, რომ მხარს უჭერს, 22.2%-ს ნეიტრალური პოზიცია აქვს და მხოლოდ 16.7% არ უჭერს მხარს ესეთი ტიპის მიგრაციას. რესპოდენტებს ადევე ვკითხეთ თუ როგორი მიგრანტები არიან მათთვის სასურველი, რაზეც 33.3%-მა განაცხადა, რომ მაღალკვალიფიციურ მიგრანტებს ანიჭებს უპირატესობას, 16.7% კი მუშა მიგრანტებს, ხოლო 47.2% კი ორივე ტიპის მიგრანტებს, მხოლოდ 2,8%-ს არ ქონდა ამ კითხვაზე პასუხი.


აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ქალთა 19% არ უჭერს მხარს მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან საკუთარ ქვეყანაში მიგრაციას, ხოლო მამაკაცთა შორის მხოლოდ 13% ფიქრობს ასე, ხოლო ნეიტრალურად განწყობილი ქალები 14%-ს შეადგენს და ნეიტრალურად განწყობილი მამაკაცები კი 33%-ს. ნეიტრალურად განწყობილ მამაკაცთა 33%-დან 20%-ს აქვს საშუალო განათლება, ხოლო დანარჩენს კი უმაღლესი განათლება. ნეიტრალურად განწყობილ ქალთა 66% არის საშუალო განათლებით.

გამოკითხულ ქალთა 28% ფიქრობს, რომ მათ ქვეყანაში უმჯობესია მუშა მიგრანტები შევიდნენ, ხოლო 23% კი ემხრობა მარტო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტების შედინებას დანარჩენი კი (49%) ორივე ტიპის როგორც მუშა მიგრანტების ასევე მაღალკვალიფიციური მიგრანტების შემოსვლას უჭერს მხარს. ხოლო გამოკითხულ

მამაკაცთა 40% მიიჩნევს, რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტები არის სასურველი ქვეყნისათვის და დანარჩენი 60% ფიქრობს, რომ ორივე ტიპის მუშახელი უნდა შემოვიდეს, მხოლოდ მუშა მიგრანტების შემოსვლას ქვეყანაში გამოკითხული მამაკაცებიდან არავინ ემხრობა.

ნახაზი 32. როგორი ტიპის მიგრანტებს ანიჭებენ უპირატესობას ევროკავშირში


როგორი ტიპის მიგრანტი გირჩევნიათ თქვენს ქვეყანაში



კითხვაზე თუ როგორ ფიქრობდნენ რესპოდენტები რა იყო მიგრაციის მთავარი გამომწვევი მიზეზი, 94.4%-მა პროცენტმა ცხოვრების უკეთესი პირობები დაასახელა, 2.8%-მა სამუშაო გამოცდილების გაზრდა აღნიშნა, ხოლო 2,8%-მა კი ამის მიზეზად განათლების მიღება დაასახელა.

ნახაზი 33. მიგრაციის გამომწვევი მთავარი მიზეზები


რა არის მიგრაციის მთავარი გამომწვევი მიზეზი



მიგრაციის ფენომენის აქტუალურებიდან და მზარდი ტენდენციებიდან გამომდინარე რესპოდენტებს ვკითხეთ, თუ როგორ აღიქვამდნენ ისინი მიგრაციას საკუთარი ქვეყნისთვის დადებითად თუ უარყოფითად, რაზეც 50%-ს ნეიტრალური პოზიცია აქვს, 36.1% კი დადებითად აღიქვამს, ხოლო 13.9% ნეგატიურად. ასევე, რესპოდენტებს ვკითხეთ თუ შეაჩერებდნენ მიგრაციას საკუთარ ქვეყანაში, რაზეც 72.2% უარყოფითი პასუხი გაგვცა, 19,4%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, ხოლო მხოლოდ 8.3% შეაჩერებდა მიგრაციას საკუთარ ქვეყანაში.

ნახაზი 34. ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრაციის შეჩერებისადმი


მხარს უჭერთ თუ არა მიგრაციას



და ბოლოს თუ რას ფიქრობს ევროკავშირის მოსახლეობა, მიგრაცია ზრდის თუ არა ტერორიზმის რისკებს მათ ქვეყანაში 55.6% ფიქრობს, რომ არა, 25% ფიქრობს, რომ კი და მხოლოდ 19.4%-ს არ აქვს მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ნახაზი 35. ტერორიზმის რისკი

ფიქრობთ თუ არა რომ მიგრაცია ზრდის ტერორიზმის რისკებს



გამოკითხულთა პასუხები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ევროკავშირის მოსახლეობის უმრავლესობა (72.2%) მიიჩნევს, რომ მიგრანტები მათ ქვეყანას აძლიერებს და რომ ისინი (61.1%) მხარს უჭერენ მიგრაციას. თუმცა, გაცილებით ნაკლები (36%) მიიჩნევს, რომ მიგრანტები მათი ქვეყნისთვის პოზიტიური მოვლენაა. აღნიშნული გარემოება ერთგვარად წინააღმდეგობრივია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამოკითხული მოსახლეობის 25% ფიქრობს, რომ მიგრანტები ზრდიან ტერორიზმის რისკს ქვეყანაში, ზემოაღნიშნული განწყობა გასაკვირი არ არის.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ევროკავშირის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (94.4%) მიიჩნევს, რომ მიგრანტები მათ ქვეყანაში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ჩადის.

ასევე, აღსანიშნავია გენდერულ ასპექტში მონაცემების განხილვა. მამაკაცებისა და ქალების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და საგრძნობი სხვაობებია. ასე

მაგალითად, ქალების 47% მიგრაციას საკუთარი ქვეყნისთვის დადებითად აღიქვამს და 76% არ შეაჩერებდა მიგრაციას, როცა გამოკითხული მამაკაცების 20% მიიჩნევს მიგრაციას დადებითად და 66% კი თავიანთ ქვეყანაში მიგრაციას არ შეაჩერებდა. ამ შემთხვევაში ფიქსირდება პარადოქსული ფაქტი. როგორც ჩანს ისინი კარგად ვერ აცნობიერებენ და კარგად არ აქვთ გააზრებული ის დადებითი თუ უარყოფითი შედეგები რაც შეილება მოიტანოს მიგრანტებმა მათი ქვეყნისათვის.

მიღებული პასუხების გენდერული ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული პირების პასუხები გენდერული ნიშნით საკმაოდ განსხვავდება, რაც გამოკითხულ ქალთა და მამაკაცთა განსხვავებულობას ადასტურებს.

გამოკითხულ მამაკაცთა 26% ფიქრობს, რომ ჩასული ემიგრანტები არ აძლიერებენ ქვეყანას, მაშინ როცა ქალების 23% ფიქრობს ასე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ქალთაგან ისინი ვინც ფიქრობენ, რომ მიგრანტები არ აძლიერებენ თავიანთ ქვეყანას, აქედან მხოლოდ 25%-ს აქვს საშუალო განათლების დონე, ხოლო გამოკითხულთა 75%, რომლებიც ფიქრობენ, რომ მიგრანტები ქვეყანას აძლიერებს უმაღლესი განათლებით არის. ხოლო მამაკაცთა შორის ვინც უარყოფითად აფასებს მიგრანტებს, 25%-ს აქვს საშუალო განათლება, დანარჩენს კი უმაღლესი განათლება აქვს (75%).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ქალთა 19% არ უჭერს მხარს მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან საკუთარ ქვეყანაში მიგრაციას, ხოლო მამაკაცთა შორის მხოლოდ 13% ფიქრობს ასე, ნეიტრალურად განწყობილი ქალები კი 14%-ს შეადგენს და ნეიტრალურად განწყობილი მამაკაცები კი 33%-ს. ნეიტრალურად განწყობილ მამაკაცთა 33%-დან 20%-ს აქვს საშუალო განათლება, ხოლო დანარჩენს კი უმაღლესი განათლება. ასევე, ნეიტრალურად განწყობილ ქალთა 66% არის საშუალო განათლებით.

გამოკითხულ ქალთა 28% ფიქრობს, რომ მათ ქვეყანაში უმჯობესია მუშა მიგრანტები შევიდნენ, ხოლო 23% კი ემხრობა მარტო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტების შედინებას დანარჩენი კი (49%) ორივე ტიპის როგორც მუშა მიგრანტების ასევე მაღალკვალიფიციური მიგრანტების შემოსვლას უჭერს მხარს. ხოლო გამოკითხულ მამაკაცთა 40% მიიჩნევს, რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტები არის

სასურველი ქვეყნისათვის და დანარჩენი 60% ფიქრობს, რომ ორივე ტიპის მუშახელი უნდა შემოვიდეს, მხოლოდ მუშა მიგრანტების შემოსვლას ქვეყანაში გამოკითხული მამაკაცებიდან არავინ ემხრობა.

ასევე, კვლევის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა საქართველოს მოქალაქეებს შორის, რამდენად არის მოსახლეობაში ევროკავშირში მიგრაციის სურვილი და ამის გამომწვევი მიზეზები. გამოკითხულთა 51.7%-მა აღნიშნა, რომ განათლების მიღების მიზნით მიმართავდა ევროკავშირში მიგრაციას. ამასთანავე ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა საქართველოდან წასული ემიგრანტები და მათი ემიგრაციის ძირითადი მოტივები. გამოკითხულთაგან 23.5%-მა აღნიშნა, რომ მათი მიგრაციის მიზეზი იყო უკეთესი განათლების მიღება. თუმცა, მიგრანტების მიმღებ ქვეყანაში მოსახლეობა ფიქრობს, რომ მიგრანტების ძირითადი მოტივი არა განათლება არამედ უკეთესი ცხოვრების პირობებია. გამოკითხულ მამაკაცთაგან არავინ არ ფიქრობს, რომ განათლების მიღების მიზნით მოდიან მიგრანტები მათ ქვეყანაში, ხოლო გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ მიგრანტების მიგრაციის შესაძლო მიზეზი განათლება შეიძლება იყოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, იქიდან გამომდინარე, რომ მიგრანტების მიმღებ ქვეყანაში და მიგრანტები, რომლებიც მიდიან უცხო ქვეყანაში, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებზე განსხვავებული მოტივაცია აქვთ. ამან შეილება შექმნას გარკვეული სირთულეები მათ განწყობებში, იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის მოქალაქეებს არასწორი წარმოდგენა აქვთ ჩასული მიგრანტების ძირითადი მოტივაციის თაობაზე.

გამოკითხულ მამაკაცთა 6% ფიქრობს, რომ მიგრაცია მათი ქვეყნისთვის ცუდია, თუმცა გამოკითხულ მამაკაცთა 54% მხარს უჭერს მათ ქვეყანაში მიგრანტების ჩასვლას. მამაკაცთა 20% ფიქრობს, რომ მიგრაცია კარგია მათი ქვეყნისათვის და 74% კი ნეიტრალურად აღიქვამს. გამოკითხულ ქალთა 19% ფიქრობს, რომ მათი ქვეყნისათვის ცუდია მიგრანტები, ხოლო 47% კი ფიქრობს, რომ კარგია, დანარჩენი კი ნეიტრალურად არის განწყობილი (33%). თუ შევადარებთ რიცხვებს დავინახავთ, რომ ქალების დამოკიდებულება მამაკაცების დამოკიდებულებისაგან საგრძნობლად განსხვავდება.

ქალების 19% თვლის, რომ მიგრაცია ცუდია, მაშინ როდესაც ესე ფიქრობს მამაკაცების მხოლოდ 6% და მიგრაციის ფენომენს დადებითად საკუთარი ქვეყნისთვის მამაკაცების 20% მიიჩნევს, მაშინ როცა ასე ფიქრობს გამოკითხულ ქალთა 47%.

გამოკითხული ქალების 24.5% თვლის, რომ მიგრაცია ზრდის ქვეყანაში ტერორიზმის რისკს, ხოლო მამაკაცების უფრო მეტი რაოდენობა 34% ფიქრობს იგივეს. მხოლოდ გამოკითხული მამაკაცების 40% მიიჩნევს, რომ ეს არ არის საფრთხე, 26%-ს კი პასუხი არ აქვს. ხოლო, გამოკითხულ ქალთა 9.5% კითხვაზე ზრდის თუ არა ტერორიზმის რისკს მიგრანტები არ აქვს პასუხი და 66% თვლის, რომ არ ზრდის. აქედან გამომდინარე როდესაც ჩვენ დავსვით კითხვა შეაჩერებდით თუ არა მიგრაციას ქალების 76% თვლიდა, რომ არ შეაჩერებდა, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში კი იგივეს ფიქრობს 66%.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით საჭიროა ევროკავშირის ქვეყნებში იყოს მეტი ინფორმირებულობა და გაიზარდოს ევროკავშირის მოსახლეობის ცნობიერება იმასთან დაკავშირებით. გაიზარდოს ცნობიერება თუ რა საფრთხეები და რისკები ახლავს მიგრანტების შემოსვლას ევროკავშირის ქვეყანებში, რამდენად არის კარგი და საჭირო მიგრაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერებისთვის.

საჭიროა განისაზღვროს რა მხარდამჭერი ღონისძიებები უნდა გამოიმუშაოს ქვეყანამ შესაბამისად, იმისათვის რომ წახალისოს იმ ტიპის მიგრაცია, რომელსაც ქვეყნები თვლიან ხელსაყრელად თავიანთი ეკონომიკის გაზრდისათვის, სოციალურ-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, ევროკავშირის სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები თავიანთი მოქალაქეების ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად. გაიზარდოს ცნობიერება იმ სიკეთეების შესახებ, რაც მიგრანტებს მოაქვთ მათი მიმღები ქვეყნისათვის მ და იმ რეალური საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება მოიტანოს. მიგრანტებს, მათ შორის ჩვენი ქვეყნიდან ეს დაეხმარებათ როგორც უკეთესი პირობების შეთავაზების კუთხით, ასევე მათი დადებითი განწყობების კუთხით. ეს ყოველივე შეამცირებს ჩასული მიგრანტების სოციალურობას, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას და ორივე ქვეყნისათვის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ასეთი სახის თანამშრომლობა



ნამდვილად ხელსაყრელი იქნება როგორც მიმღები ქვეყნისთვის ასევე მიგრანტების გამგზავნი ქვეყნებისთვისაც. ეს ნამდვილად ხელსაყრელი იქნება გამოცდილების გაზიარების კუთხით, ისევე როგორც კულტურული მრავალფეროვნების ურთიერთგაზიარებისა და ეკონომიკების იმ ტიპის მუშახელით შევსებაში, რომელიც იმ მომენტისათვის ევროკავშირის ქვეყნები ნაკლებობას განიცდის.

ასევე, მიზანშეწონილი იქნება თუ ევროკავშირის სახელმწიფოები ითანამშრომლებენ მიგრანტების გამგზავნ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მიგრაციული ნაკადების მართვასა და სახელმწიფო დონეზე მიგრანტებისათვის ხელსაყრელი შრომითი პირობებისა და სოციალური დაცვის გარანტიების შექნას

### 3.3 სოციოლოგიური კვლევა ევროკავშირში მყოფი ქართველი მიგრანტების განწყობების და მათი პრობლემების გამოსაკვლევად

საქართველოდან მიგრანტების რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოვიკვლიოთ ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიგრაციაში წასვლის მიზეზები, მათი კავშირი სამშობლოსთან, პრობლემები, რომელიც დახვდათ მიმღებ ქვეყანაში და გამოწვევები, რომელთა გადალახვაც მოუწიათ, მათი საქმიანობის სფეროები, სამომავლო გეგმები და ა. შ.


კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრები 68 ქართველი ემიგრანტი. გამოკითხვა ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუებისა და ინტერნეტის საშუალებით კერძოდ, მეილით და სოციალური ქსელით (ფეის ბუქი, ინსტაგრამი და სხვა). რესპოდენტებს გაეგზავნათ წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელიც მოიცავს 33 კითხვას (იხ. დანართი 3).

გამოკითხულ რესპოდენტთა 71% არის მდედრობითი სქესის, ხოლო 29% კი მამრობითი. გამოკითხულთა 29.4% არის 36 დან 40 წლამდე ასაკის, 23.5% 41-დან 45 წლამდე, 17.6% 56 და მეტი, 17.6% 26 დან 30 წლამდე, 5.9% 31-დან 35 წლამდე და 5.9% 46-

დან 50 წლამდე ასაკის. რესპოდენტების 29.4% ემიგრაციაში 18-დან 25 წლამდე წავიდა, 17.6% 26-დან 30 წლამდე, 17.6% 31 დან 35 წლამდე, 11.8% 41-დან 45 წლამდე, 5.9% 36-დან 40 წლამდე და 5,9% კი 46-დან 50 წლამდე.

ნახაზი 36. ემიგრაციაში წასვლის ასაკი


ემიგრაციაში წასვლის ასაკი



გამოკითხულთა 94.1% ქართველია და 82.4% აქვს საკუთარ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება, ხოლო დანარჩენ 17.6% კი არა. რესპოდენტების 70.6% ქორწინებაში მყოფია ხოლო 29.4% კი ქორწინებაში არ იმყოფება. 58.8% აქვს უმაღლესი განათლება, 17.6% დამთავრებული აქვს პროფესიული სასწავლებელი, 11.8% საშუალო სკოლა, ხოლო 11.8% კი დაუმთავრებელი უმაღლესი.

ნახაზი 37. გამოკითხულთა განათლების დონე


რა არის თქვენი განათლების დონე



საინტერესო იყო თუ როგორია ქართველი ემიგრანტების შემოსავლები ევროკავშირის ქვეყნებში და ამისათვის მათ დავუსვით კითხვა თუ როგორი სახის საქმიანობით არიან დაკავებული და რამდენია მათი შემოსავალი. 52.9% განაცხადა, რომ მისი ძირითადი სამუშაო ფიზიკური შრომაა (ფიზიკურად მომუშავე რესპოდენტების 66.6% მუშაობს დამხმარედ), 35.3% აქვს გონებრივი სამუშაო, ხოლო 11.8% კი დაუსაქმებელია. გამოკითხულთა 43.8%-ის შემოსავალი მერყეობს 501 ევროდან 1000 ევრომდე, 25% შემოსავალი არის 1001 ევროდან 1500 ევრომდე, 18.8%-ის 1500 ევროზე მეტი, 6.3%-ის 500 ევრომდე და 6.3%-მა არ იცის ზუსტი შემოსავალი.

ნახაზი 38. გამოკითხულთა შემოსავლები (თანხები მოცემულია ევროში)


თქვენი შემოსავალი (თანხები მოცემულია ევროში)



კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქართველ ემიგრანტთა 47.1% პროცენტი იმყოფება იტალიაში, 23.5% გერმანიაში, 17.6% ნიდერლანდებში, 5.9% შვეიცარიაში და 5.9% კი ესპანეთში. ემიგრაციაში წასვლის მთავარ მიზეზად 29.4% ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ასახელებს, 23.5% განათლების მიღებას, 17.6% უმუშევრობას, ასევე 17.6%-ის ემიგრაციაში წასვლის მთავარი მიზეზი ოჯახის გაერთიანებაა და 11.8% კი სამშობლოში პერსპექტივის არ ქონის გამო წავიდა ემიგრაციაში.

ნახაზი 39. გამოკითხულთა მიგრაციის მთავარი მიზეზები

რა იყო მიგრაციის მთავარი მიზეზი




გამოკითხულთა 88.2% სამშობლოში დარჩენილ ოჯახს მატერიალურად ეხმარება, ხოლო 11.8% კი არა. 52.9%-ის ოჯახის წევრი ცხოვრობს იმ ქვეყანაში სადაც იგი ახლა იმყოფება, ხოლო 47.1%-ის კი არა. კითხვაზე თუ რამდენად რთული პროცედურების გავლა მოუწიათ ქართველ ემიგრანტებს ევროკავშირის ქვეყნებში წასვლისთვის 35.3% პასუხობს, რომ არც ისე რთული, 29.4%-ს საკმაოდ რთული პროცედურების გავლა მოიწია, 23.5%-ის აზრით იოლი პროცედურები, ხოლო 11.8%-ს აზრით კი საშუალოდ რთული პროცედურების გავლა მოუხდათ.

კითხვაზე თუ როგორ აღიქვამენ ქართველი მიგრანტები მიგრაციის ფენომენს, 76.5% პასუხობს როგორც შესაძლებლობას, 17.6% აზრით მიგრაცია არის როგორც შესაძლებლობა ასევე, საფრთხეც და მხოლოდ 5.9% აღიქვამს, როგორც საფრთხეს. ამასთანავე კვლევის მიზნებისთვის გამოკითხული ქართველი მიგრანტების 76.5% მიგრაციაში იმყოფება ლეგალურად და 23.5% კი არაღეგალურად.

## ნახაზი 40. მიგრაციაში მყოფი ლეგალები და არალეგალები

მიგრაციაში იმყოფებით



გამოკითხული ქართველი ემიგრანტების 76.5%-ის აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება რაც უცხო ქვეყანაში არის საჭირო ახალი ცხოვრების წესთან ადაპტაციაში არის უცხო ენა, 17.6%-ის აზრით ახალი კანონები და წესები, ხოლო 5.9%-ის აზრით კი ნაციონალური წეს-ჩვეულებები.


იმის დასადგენად თუ როგორ ინეგრირდენ ქართველი ემიგრანტები მიმღებ ქვეყნებში დავუსვით სხვადასხვა კითხვები. საინტერესო იყო თუ ვისთან მეგობრობდნენ გამოკითხული რესპოდენტები, რაზეც 35.3%-მა განაცხადა, რომ მათ ყავთ უფრო მეტი მეგობარი, რომლებსაც მათნაირი მიგრაციის ისტორია აქვთ, 17.6%-ს უფრო მეტი მეგობარი ყავს იმ ქვეყანაში სადაც ცხოვრობს და 47.1%-ს კი თანაბარი რაოდენობის მეგობრები ყავს, როგორც მათნაირი მიგრაციის ისტორიით, ასევე მიმღები ქვეყნიდან.

კითხვაზე თუ ძირითადად რით არიან დასაქმებულები გამოკითხული ქართველი მიგრანტები 41.2% ამბობს რომ დამხმარედ მუშაობით, 23.5% დასაქმებულია წარმოებაში, 11.8% აქვს საკუთარი ბიზნესი, 11.8% დასაქმებულია საკუთარი სპეციალობით, 5.9%-ს მა ამ კითხვაზე პასუხი არ იცის, ხოლო 5.9%-მა კი განაცხადა სხვა ტიპის დასაქმება. რაც შეეხება გამოკითხულ მიგრანტთა ცხოვრების პირობებს, 47.1% ბინას ქირაობს ოჯახის

წევრთან ერთად, 41.2% ცხოვრობს იმ ოჯახში სადაც მუშაობს, 11.8%-ს კი დაქირავებული აქვს ცალკე ბინა. გამოკითხულთა 70.6%-ის აზრით მათი ცხოვრებისა და მუშაობის პირობები მიმღებ ქვეყანაში არ ირღვევა, 23.5% ფიქრობს, რომ ნაკლებად ირღვევა, ხოლო 5.9% ფიქრობს რომ ირღვევა.

ნახაზი 41. გამოკითხულთა აზრი ირღვევა თუ არა მათი ცხოვრებისა და მუშაობის პირობები

ირღვევა თუ არა თქვენი ცხოვრებისა და მუშაობის უფლებები მიმღებ ქვეყანაში?




გამოკითხულთა 11.8% აზრით ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც თან ახლდა უცხო ქვეყანაში მიგრაციას არის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები, 17.6%-ს ყველაზე მწვავე პრობლემად სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემები მიაჩნია, 23.5%-ს დოკუმენტაციის გაფორმებასთან დაკავშირებით, 35.3% უცხო ენის არ ცოდნის გამო, 5.9% მიგრაციის ყველაზე მწვავე პრობლემად დამქირავებელთან ხშირ კონფლიქტებს მიიჩნევს, ხოლო 17.6%-კი ყველაზე მწვავე პრობლემად სხვა მიზეზები მიაჩნია.

გამოკითხულთა 17.6%-ს პრობლემები ემიგრაციაში წასვლით მოგვარდა, 64.7%-ს პრობლემები მოგვარდა ნაწილობრივ, ხოლო 17.6%-მა კი ჯერ არ იცის მოგვარდა თუ არა მისი პრობლემები. კითხვაზე დაბრუნდებიან თუ არა სამშობლოში მიგრაციის გამომწვევი მიზეზების/პრობლემების მოგვარების შემთხვევაში 47.1% ამბობს რომ კი აუცილებლად დაბრუნდება, 35.3%-მა ჯერ არ იცის, 11.8%-ის დაბრუნება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ იგრძნობს თავს ახალ ქვეყანაში, ხოლო 5.9% კი ამბობს რომ არ დაბრუნდება თუ კარგ სამსახურს მიიღებს.

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია რამდენად კარგად იცნობენ გამოკითხული ქართველი ემიგრანტები ევროკავშირის იმ ქვეყნის მიგრანტთა კანონმდებლობას სადაც იმყოფებიან, რაზეც 70.6% ამბობს რომ ნაწილობრივ იცნობს, 23.5% იცნობს, ხოლო დანარჩენი 5.9% არ იცნობს მიგრანტთა კანონმდებლობას. 47.1% აპირებს რომ გახდების მიმღები ქვეყნის მოქალაქე, 29.4%-მა ჯერ არ იცის, ხოლო 23.5% კი არ აპირებს მიმღები ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას.

ნახაზი 42. იცნობენ თუ არა გამოკითხული მიგრანტები მიმღები ქვეყნის მიგრანტთა კანონმდებლობას


იცნობთ თუ არა ევროპაში მიგრანტთა კანონმდებლობას?



კითხვაზე გამართლდა თუ არა მათი მოლოდინები ემიგრაციაში წასვლისას 58.8%-მა განაცხადა დადებითი პასუხი, ხოლო 41.2%-ისთვის კი ნაწილობრივ გამართლდა მოლოდინები. რესპოდენტების 58.8% ადგილობრივ პირობებს დამაკმაყოფილებლად შეეფუა, ხოლო 41.2% კი კარგად შეეფუა. ასევე, 82.4%-ის ცხოვრება ემიგრაციაში ყოფნისას უკეთესობისკენ შეიცვალა, ხოლო 17.6%-ისთვის კი ცხოვრების პირობები იგივეა. იმის გასარკვევად თუ რა პრობლემები გადაწყდა ემიგრაციაში წასვლით 29.4%-მა განაცხადა, რომ უზრუნველყო მხოლოდ ოჯახის აუცილებელი მოთხოვნები, 17.6%-მა შეიძინა სამუშაო გამოცდილება, რომელიც მის პროფესიას უკავშირდება, 11.8%-მა შეიძინა საცხოვრებელი ბინა, 5.9%-მა შეიძინა მსუბუქი ავტომობილი, 5.9%-მა დააბრუნა ვალი, ხოლო 29.4% მა კი უზრუნველყო სხვა პრობლემების მოგვარება.

ნახაზი 43. მიგრანტთა მიერ გადაწყვეტილი პრობლემები

ემიგრაციაში წასვლით რა პრობლემები გადაწყდა



რესპოდენტების 41.2% აპირებს სამშობლოში მუდმივად დაბრუნებას, 23.5% დროებით აპირებს დაბრუნებას, 17.6% არ აპირებს, ხოლო 17.6%-მა კი ჯერ არ იცის. თუ რა შემთხვევაში დაბრუნდებიან გამოკითხული ემიგრანტები სამშობლოში 37.5%-მა განაცხადა, რომ დაბრუნდება თუ შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში, 12.5% დაბრუნდება თუ იპოვის საქართველოში უცხოეთთან შედარებით ნაკლებ ანაზღაურებად სამსახურს, 12.5% დაბრუნდება იმ შემთხვევაში თუ ექნება იგივე




ანაზღაურება რაც უცხოეთში აქვს, 6.3% არ დაბრუნება არავითარ შემთხვევაში, 6.3%-მა არ იცის რა შემთხვევაში დაბრუნდება და 25% დაბრუნდება სხვა მიზეზების გამო.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოდან წასული მიგრანტები საქართველოში მყოფ ოჯახებს მატერიალურად ეხმარებიან. იმის დასადგენად თუ რა ოდენობით თანხას გზავნიან მიგრანტები სამშობლოში და რას ემსახურება გამოგზავნილი თანხა რესპოდენტებს დავუსვით დამატებითი კითხვები. გამოკითხულთა 82.3% ეხმარება საქართველოში მყოფ ოჯახს მატერიალურად. აქედან 35.7%-ის გამოგზავნილი თანხა 200-დან 500 ევრომდე მერყეობს, 35.7% 500 ევროზე მეტ თანხას აგზავნის სამშობლოში, 14.3% 200 ევრომდე, ხოლო 14.3%-მა კი არ იცის ზუსტად რამდენს აგზავნის.

ნახაზი 44. გამოკითხული მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში

თუ ეხმარებით დარჩენილ ოჯახს მატერიალურად, რამდენია თქვენი ფულადი გზავნილის ოდენობა (ევრო)



მიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხების 21.4% შვილების სწავლის საფასურის გადახდას ემსახურება, 21.4%-ის გამოგზავნილი თანხა სამედიცინო მკურნალობას, 14.3%-ს ვალის გადახდას, 28.6%-ის მხოლოდ ოჯახის აუცილებელ მოთხოვნებს, 14.3%-ის გამოგზავნილი თანხა სხვა მიზნებს ემსახურება. ემიგრანტების 71.4% თანხას საბანკო მომსახურებით აგზავნის, ხოლო 28.6%-მა კი სხვა საშუალებებით. გამოკითხული

ემიგრანტების 35.7%-ს მიერ გამოგზავნილი თანხა სამშობლოში დარჩენილი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს, 35.7%-ისთვის ეს თანხა ნაწილობრივ ძირითადი შემოსავლის წყაროა, 21.4%-ისათვის ძირითადი შემოსავლის წყაროა, ხოლო 7.1%-მა კი არ იცის.

ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გამოკითხვის შედეგად გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები: გამოკითხული ქალების 100% არის ქართველი, 66.7% იმყოფება იტალიაში, 16.7% გერმანიაში, 8.3% ნიდერლანდებში და 8.3% კი ესპანეთში. ქალების 58.3% შემოსავალი კი 500 ევროდან 1000 ევრომდე მერყეობს. ასევე, გამოკითხული მამაკაცების 100% არის ქართველი, მამაკაცების 40% მიგრაციაში იმყოფება ნიდერლანდებში, 40% გერმანიაში და 20% კი შვეიცარიაში. მამაკაცების 40%-ის შემოსავალი მერყეობს 1000 ევროდან 1500 ევრომდე, 20%-ის 1500 ევროზე მეტი, 20%-მა ზუსტი შემოსავალი არ იცის და 20%-მა საკუთარი შემოსავალი არ მიუთითა.

გამოკითხული ქალების 75% იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 25% კი არა. გამოკითხულების 16.7% არის 56 წლის და მეტის, 25% 36 წლიდან 40 წლამდე, 8.3% 31 წლიდან 35-მდე, 25% 26 წლიდან 30-მდე, 16.7% 41 წლიდან 45-მდე და 8.3% კი 46 წლიდან 50 წლამდე ასაკის ქალბატონია. გამოკითხული მამაკაცების 60% იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 40% კი არა. მამაკაცების ასაკობრივი გადანაწილება შემდეგია: 36 წლიდან 40 წლამდე 40%, 41 წლიდან 45 წლამდე 40%, 56 წლის და მეტი 20%.

მიგრანტი ქალების 50%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, 25%-ს პროფესიული სასწავლებელი, 16.7%-ის განათლება არის დაუმთავრებელი უმაღლესი, ხოლო 8.3%-ს აქვს საშუალო განათლება. გამოკითხული ქალების 50% დაკავებულია ფიზიკური სამუშაოთი, 41.7% გონებრივი სამუშაოთი, ხოლო 8.3% კი უმუშევარია. გამოკითხული ქალების 16.7% რომლებსაც აქვთ დაუმთავრებელი უმაღლესი სასწავლებელი ფიზიკური შრომით არიან დასაქმებული, ქალების 25% პროფესიული განათლებით დასაქმებულია ასევე, ფიზიკური შრომით, 8.3% საშუალო განათლებით შრომობს გონებრივად, 33.3% უმაღლესი განათლებით ასევე გონებრივი სამუშაოთია

დასაქმებული, 8.3% უმაღლესი განათლებით დაუსაქმებელია და 8.3% უმაღლესი განათლებით შრომობს ფიზიკურად.

მიგრანტი მამაკაცების 80%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო 20% აქვს საშუალო განათლება. მამაკაცების 60% დაკავებულია ფიზიკური შრომით, 20% გონებრივი შრომით და 20% არის უმუშევარი. იმ მამაკაცებიდან რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი 75% შრომობს ფიზიკურად, 25% კი გონებრივი სამუშაოთია დაკავებული.

მიგრანტი ქალების 58.3% ევროკავშირის ქვეყანაში მუშაობს დამხმარედ (ძიძა/მომვლელი), 16.7% დასაქმებულია საკუთარი პროფესიით, 8.3% დაუსაქმებელია, 8.3% აქვს საკუთარი ბიზნესი და 8.3% დაკავებულია სხვა საქმიანობით. ასევე, ქალების 58.3% ცხოვრობს იმ ოჯახში სადაც მუშაობს და 41.7%-ს კი დაქირავებული აქვს ბინა ოჯახის წევრთან ერთად.

გამოკითხული მიგრანტი მამაკაცების 80% მუშაობს წარმოებაში და 20% აქვს საკუთარი ბიზნესი. მათ 60%-ს დაქირავებული აქვს ბინა ოჯახის წევრთან ერთად, ხოლო 40%-ს კი დაქირავებული აქვს ბინა ცალკე.

ქალების 91.7%-ს საკუთარ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება აქვს, ხოლო 8.3%-ს კი არა. მათი 16.7%-ის მიგრაციაში წასვლის მთავარი მიზეზი უმუშევრობა არის, 33.3%-ს ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, 8.3% მიგრაციის მთავარ მიზეზად სამშობლოში პერსპექტივის ვერ ხედავას ასახელებს, 25%-ის მიგრაციის მიზეზი ოჯახის გაერთიანებაა და 16.7%-ისთვის განათლების მიღება.

მამაკაცების 60%-ს აქვს საკუთარ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება, ხოლო 40% კი არა. მამაკაცების 40% აღნიშნავს, რომ მიგრაციაში წასვლის მთავარი მიზეზი განათლების მიღება იყო, 20%-ისთვის უმუშევრობა, 20%-ისთვის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ასევე 20%-ისთვის პერსპექტივის ვერ ხედავა სამშობლოში.

ქალების 66.7% მიგრაციაში ლეგალურად იმყოფება, 33.3% კი არაღეგალია, ხოლო გამოკითხული მამაკაცების 100% ლეგალურად იმყოფება მიგრაციაში. 41.6%-ის თქმით

მათ არც ისე რთული პროცედურების გავლა მოუწიათ ევროკავშირში მიგრაციისათვის, 16.7% ამბობს რომ საკმაოდ რთული პროცედურები გაიარა, ასევე 16.7% აღნიშნავს, რომ საშუალო სირთულის პროცედურების გავლა. მოუწიათ და 25%-ის თქმით იოლი მათ იოლი პროცედურები გაიარეს. მამაკაცების 60% აღნიშნავს, რომ საკმაოდ რთული პროცედურების გავლა მოუწია მიგრაციაში წასვლისთვის, 20%-ის თქმით არც ისე რთული და 20%-ს აზრით იოლი პროცედურები.

გამოკითხული ქალი მიგრანტების 83.3%-ის თქმით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც საჭიროა უცხო ქვეყანაში ადაპტაციისთვის არის უცხო ენის სწავლა, 8.3% ახალი კანონებისა და წესების სწავლას ასახელებს და ასევე 8.3%-მა აღნიშნა, რომ ახალ ქვეყანაში ადაპტაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ნაციონალური წეს-ჩვეულებების ცოდნაა. ხოლო გამოკითხული მამაკაცების 60% აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ადაპტაციისათვის უცხო ენის სწავლაა და 40%-ისათვის კი ახალი კანონები და წესები. იმ ქალებიდან რომლებსთვისაც ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად უცხო ენის ცოდნა მიუთითეს 50%-ს უფრო მეტი მეგობარი ჰყავს, რომლებსაც მათნაირი მიგრაციის ისტორია აქვთ, 10%-ს ყავს უფრო მეტი მეგობარი იმ ქვეყნიდან სადაც ცხოვრობს და 40%-ს თანაბარი რაოდენობის მეგობრები ყავს.

ქალების 66.7% მიგრაციის ფენომენს აღიქვამს, როგორც შესაძლებლობას, 8.3% როგორც საფრთხეს და 25% კი საფრთხეთაც და შესაძლებლობადაც, ხოლო მამაკაცების 100% მიგრაციას აღიქვამს როგორც შესაძლებლობას. ქალების 87.5% რომლებიც მიგრაციის ფენომენს აღიქვამენ როგორც შესაძლებლობას მათი ცხოვრება მიგრაციის შემდგომ უკეთესობისკენ შეიცვალა, ხოლო 12.5%-ისთვის კი იგივეა. ქალების 66.7%-ის ცხოვრება, ვინც თვლის რომ მიგრაცია როგორც შესაძლებლობა ასევე საფრთხეა, მიგრაციის შემდგომ უკეთესობისკენ შეიცვალა და 33.3%-ისათვის კი იგივე დარჩა. იმ ქალებიდან ვინც თვლის, რომ მიგრაცია არის შესაძლებლობა 75%-ის მოლოდინები მიგრაციის შემდგომ გამართლდა, ხოლო 25%-ისათვის კი ისე რა. საერთო ჯამში კი გამოკითხული ქალების 83.3%-ის ცხოვრება მიგრაციის შემდგომ უკეთესობისკენ შეიცვალა ხოლო 16.7%-ისთვის კი იგივე დარჩა. ასევე, მთლიანად გამოკითხული ქალი

რესპოდენტების 58.3%-ის მოლოდინი მიგრაციის შემდგომ გამართლდა ხოლო 41.7%-ისათვის კი ისე რა. ქალების 40%, რომლის ცხოვრებაც მიგრაციაში წასვლისას უკეთესობისკენ შეიცვალა აპირებს მუდმივად დაბრუნებას სამშობლოში, 30% დროებით დაბრუნებას, 10% არ აპირებს დაბრუნებას და 20%-მა არ იცის დაბრუნდება თუ არა.

გამოკითხული მამაკაცების 60% აღნიშნავს, რომ მისი ცხოვრება მიგრაციის შემდგომ უკეთესობისკენ შეიცვალა, ხოლო 40%-ისათვის კი იგივე დარჩა. ასევე, მამაკაცთა 60% აღნიშნავს, რომ მიგრაციაში წასვლის შემდგომ მოაგვარა საკუთარი პრობლემები ნაწილობრივ, ხოლო 40%-მა კი სრულიად. იმ მამაკაცების 66.7%, რომლებმაც ნაწილობრივ მოაგვარეს საკუთარი პრობლემები, ჯერ არ იცის დაბრუნდება თუ არა სამშობლოში, ხოლო 33.3% კი აღნიშნავს, რომ აუცილებლად დაბრუნდება. ხოლო იმ მამაკაცების 50%, რომლებმაც მოაგვარეს საკუთარი პრობლემები აღნიშნავს რომ სამშობლოში დაბრუნება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ იგრძნობენ თავს უცხო ქვეყანაში, ხოლო 50% კი აღნიშნავს, რომ ჯერ არ იცის დაბრუნდება თუ არა სამშობლოში.

გამოკითხული ქალებიდან 25% აღნიშნავს, რომ სამშობლოში დაბრუნდება თუ შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური პირობები, 16.7% დაბრუნდება თუ საქართველოში იპოვის უცხოეთთან შედარებით დაბალანაზღაურებად სამსახურს, 8.3% არ დაბრუნდება არავითარ შემთხვევაში, 8.3%-მა არ იცის რა შემთხვევაში დაბრუნდება სამშობლოში და 33.3%-მა კი სამშობლოში დაბრუნების სხვა მიზეზები მიუთითა.

გამოკითხული ქალების 83.3% მატერიალურად ეხმარება საქართველოში დარჩენილ ოჯახს, ხოლო 16.7% კი არ ეხმარება. იმ ქალებიდან რომლებიც ეხმარებიან ოჯახს საქართველოში 50%-ის გზავნილები შეადგენს 500 ევროს და მეტს, 20%-ის გზავნილი 200 ევროდან 500 ევრომდე მერყეობს, 10% 200 ევრომდე თანხას აგზავნის და 20%-მა თანხის ზუსტი ოდენობა არ იცის. ქართველი მიგრანტი ქალების მიერ გამოგზავნილი თანხა 40%-ის ოჯახისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო არ არის, 30%-ისათვის ნაწილობრივ, 20%-ისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა, 10%-მა კი არ იცის.

გამოკითხული მამაკაცების 100% მატერიალურად ეხმარება სამშობლოში დარჩენილ ოჯახს. 40%-ის ოჯახისათვის ეს თანხა შემოსავლის ძირითადი წყაროა, 40%-

სთავის ნაწილობრივ ხოლო 20%-ისთვის კი არა. გამოკითხული მიგრანტი მამაკაცების 40%-ის თანხა სამედიცინო მკურნალობას ემსახურება, 20%-ის შვილების სწავლას, 20%-ის ოჯახის აუცილებელ მოთხოვნებს და 20%-ისთვის კი სხვა საჭიროებებს. მიგრანტი მამაკაცების 60% 200 ევროდან 500 ევრომდე თანხას აგზავნის, 20% 20 ევრომდე და 20% კი სხვა ოდენობის თანხას.

## დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო მიგრაციის მართვაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, გაეროს წევრი სახელმწიფოები გაერთიანდნენ მიგრაციისა და გადაადგილების საერთაშორისო მანიფესტაციების ორი გლობალური შეთანხმების დასრულების მიზნით: „The Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration” (მიგრაციის გლობალური კომპაქტი, 2018) და „Global Compact on Refugees” (გაერო, 2018).

ბოლო ტენდენციებით, საერთაშორისო მიგრაცია იზრდება. 2020 წლის მონაცემებით, (მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020), მსოფლიოს მასშტაბით 272 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი და მათი ორი მესამედი შრომითი მიგრანტია. საერთაშორისო მიგრანტების შთამბეჭდავი რაოდენობის მიუხედავად, ისინი მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3.5% პროცენტს შეადგენენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გლობალურად ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა (96.5%) ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მიგრანტები რიცხოვნება გლობალურად გაიზარდა, მათი წილი მსოფლიო მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან შედარებით სტაბილური დარჩა. ასევე, აღსანიშნავი ფაქტია, რომ საერთაშორისო მიგრანტების უმეტესობა (74%) სამუშაო ასაკისაა (20-64 წელი), რაც იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო მიგრაციას ძირითადად, ეკონომიური ფაქტორები განაპირობებენ.

ამრიგად, შეგვიძლია გამოვყოთ ევროკავშირში მიგრაციული პროცესების განვითარების სამი პერიოდი: 1. მოიცავს 1950-1974 წლებს, ნავთობის კრიზისამდე პერიოდს. ეს პერიოდი სტაბილური ეკონომიკური ზრდა-განვითარებით ხასიათდება. 2. მეორე პერიოდი დაიწყო ნავთობის კრიზისით და დასრულდა 1980-იანი წლების ბოლოს რკინის ფარდის დაცემით. 3. მესამე პერიოდია რკინის ფარდის დაცემიდან დღემდე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ევროკავშირის (EU) გავლენის გაზრდა გლობალურ დონეზე და ევროკავშირის პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც გულისხმობდა მესამე

ქვეყნებიდან ევროკავშირში მიგრაციის კონტროლს და შიდა ევროპული მობილობის წახალისებას.

ამრიგად, ევროკავშირისათვის მიგრაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენომენია. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელს ევროკავშირში 4,2 მილიონი ბავშვი დაიბადა და 4,7 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, მიგრაციის გარეშე ევროპის მოსახლეობა ნახევარი მილიონით შემცირდებოდა. ბოლოდროინდელი მონაცემებით, (ევროკომისია, 2020), 2.2 მილიონი ემიგრანტი შევიდა ევროკავშირის ტერიტორიაზე, ხოლო 0.9 მილიონი ადამიანი გავიდა ევროკავშირის საზღვრებიდან ემიგრაციაში. მთლიანმა წმინდა იმიგრაციამ ევროკავშირში 1.3 მილიონი ადამიანი შეადგინა.

ამრიგად, ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა, შეუწყნარებლობის დონის მატება, ასევე კლიმატის ცვლილების საფრთხე და მასთან დაკავშირებული ზემოქმედება წარმოადგენს ყველა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს მიგრაციას და მოსახლეობის გადაადგილებას.

ზოგადად განასხვავებენ მიგრანტების ორ ტიპს: ჰუმანიტარულს და ეკონომიკურს. ჰუმანიტარული მიგრანტები არიან თავშესაფრის მაძიებელები და ლტოლვილები, მაშინ როცა ეკონომიკური მიგრანტები საერთაშორისო მიგრაციაში მიდიან მაღალი ხელფასებისა და უკეთესი შესაძლებლობების გამო ან სულაც თავიანთი ქვეყნიდან სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციისან გაქცევის სრულით. დანიშნულების ადგილის განსაზღვრისას ეკონომიკურ მიგრანტებს უფრო მეტი არჩევანი აქვთ, ვიდრე ჰუმანიტარული მიგრანტებს. ასევე, არსებობენ ეკოლოგიური მიგრანტები, რომლებიც ეკოლოგიური პირობების გამო იცვლიან საცხოვრებელს და შეუძლიათ აირჩიონ მიგრაცია საკუთარი სახელმწიფოდან სხვა უფრო ხელსაყრელი გარემო პირობების მქონე ადგილმდებარეობები.

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიურ წინსვლას, როგორც კომუნიკაციაში, ასევე ტრანსპორტში, შრომის ბაზრების ლიბერალიზაციასთან ერთად, აქვს ცირკულარული მიგრაციის გამოწვევის ტენდენცია, რაც თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი გახდა. შესაბამისად, საჭიროა, ცირკულარული



მიგრანტების უფლებების სტანდარტიზებული რეგულაციების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიგრირებული „ტვინების“ ექსპლუატაციის პრობლემები.

ამრიგად, საქართველოში ემიგრაციისა და იმიგრაციის მიზეზები არ განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოსგან და ძირითადად, დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რასაც ეკონომიკის სტაბილური ზრდა მოჰყვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მკვეთრ დაცემას 2019 -2020 წწ., რაც გამოწვეული იყო პანდემიით. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო იმიგრანტთა ნაკადების ზრდას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ემიგრაციის მასშტაბები მაინც არ შემცირდა. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს ემიგრანტთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბოლო 4 წლის განმავლობაში (საერთაშორისო მიგრანტების ტენდენციები, გაერთიანებული ერები 2017).

აღსანიშნავია, რომ საქართველომ საკამოდ ხანგრძლივი, რთული და ყოვლისმომცველი პროცესი გაიარა, სანამ 2017 წელს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმს მიიღებდა. ეს პროცესი დაიწყო 2009 წლის 30 ნოემბერს, როდესაც საქართველომ და ევროკავშირმა ბრუსელში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას „Partnership for Mobility“.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პერიოდიდან გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების მიგრაცია ევროკავშირში. 2017 და 2018 წლების განმავლობაში საქართველოდან განხორციელდა 580 608 ვიზიტი ევროკავშირში (შსს, მიგრაციის სახელმწიფო ანგარიში 2019). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირიდან უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის მოთხოვნების მაჩვენებელიც გაიზარდა და საქართველოს მოქალაქეები, ძირითადად, თავშესაფარი ითხოვენ საფრანგეთსა და გერმანიაში.

ამრიგად, 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით (UN DESA, 2020), COVID-19 კუმულაციური შემთხვევების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა იმ ქვეყნებში, სადაც მიგრანტები მათი მოსახლეობაში მნიშვნელოვან ხვედრით წილს წარმოადგენდნენ.

ასე მაგალითად, მიგრანტების ხვედრითი წილი გერმანიაში შეადგენდა მოსახლეობის 19%-ს, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 15%, ესპანეთში 15%-ს, გაერთიანებულ სამეფოში 14%-ს და საფრანგეთში 13 %-ს. ამ ქვეყნებში მიგრანტების დასაქმების ძირითადი სფეროებია ჯანდაცვა და მომსახურება. შესაბამისად, შეინიშნებოდა ამ ქვეყნებიდან მიგრანტების დაბრუნების მატება წარმოშობის ქვეყნებში.

მიგრანტი მუშაკები ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დასაქმებული მუშაკების მთლიანი რაოდენობის 20.6% და 17.8%-ს შეადგენენ (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2017 ანგარიში „გლობალური შეფასებები საერთაშორისო მიგრანტთა შესახებ). შესაბამისად, ისინი იყვნენ პირველები, ვინც დაზარალდნენ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლებისა და გადაადგილების შეზღუდვებისა და დაბლოკვის შედეგად, რამაც გავლენა მოახდინა მათ საარსებო წყაროზე (სეზონურად ან დაეკარგათ).

ამრიგად, პანდემიის გამო შეიცვალა ვითარება ევროკავშირის ქვეყნებში მიგრაციისა და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ, ევროკავშირის მონაცემები თავშესაფრისა და საზღვრის არარეგულარული გადაკვეთის შესახებ 2020 წლის პირველი 10 თვის მანძილზე გვიჩვენებს, რომ პანდემიის გავლენის გამო ევროკავშირში მიგრაცია შემცირდა. მთლიანობაში ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის 33%-იანი კლება ფიქსირდება (EUAFR, 2020). ევროკავშირის მონაცემებით, ასევე, დაფიქსირდა ევროკავშირთან საზღვრის არარეგულარული გადაკვეთის რაოდენობის 10% -იანი შემცირება (114,300 2020 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში) 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც ყველაზე დაბალია ბოლო 6 წლის განმავლობაში.

რესპოდენტების პასუხების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 33.8%-ს სურს ევროკავშირის ქვეყანაში ემიგრაციაში წასვლა. ამასთან, გამოკითხულ ქალთა 30,5%-ს და გამოკითხულ მამაკაცთა 38,5%-ს სურს ემიგრაციაში წასვლა. შესაბამისად, ემიგრაციის მსურველთა გენდერულ ჭრილში გაანალიზება

გვადლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ემიგრაციის სურვილი მამაკაცებში უფრო ჭარბობს ვიდრე ქალებში.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 27,7% აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წევრი უცხოეთში არ იმყოფება ემიგრაციაში. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ისინი ფლობენ გაცილებით მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა პრობლემები და სარგებელია დაკავშირებული უცხოეთში ემიგრაციასთან. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა მათგანს არ სურს ემიგრაციაში წასვლა. უცხოეთში ემიგრაციის მსურველთა შორის (გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 66,2%), მხოლოდ 57 %-ის ოჯახის წევრია უცხოეთში, ხოლო დანარჩენ რესპოდენტებს (43%), რომლებსაც ემიგრაციაში სურთ წასვლა, არ ჰყავთ ოჯახის წევრი, რომელიც უცხოეთშია. ამ მონაცემის გენდერულ ჭრილში გაანალიზება შემდეგ სურათს გვადლევს: ემიგრაციის მსურველ მამაკაცთა 70%-ის და ქალთა 45%-ის ოჯახის წევრია ემიგრაციაში საზღვარგარეთ.

იმ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა (66,7%), რომლებსაც სურთ ემიგრაციაში წასვლა, მიიჩნევენ, რომ ემიგრაციის განხორციელებისათვის, მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა ჰქონდეთ ინფორმაცია მიმღებ ქვეყნაში სამუშაო ადგილების შესახებ (სამუშაო ადგილების ბაზა), ან ისარგებლონ ადგილზე სამუშაო აგენტის მომსახურებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი 21%-ის მიზანი უცხოეთში ემიგრაციისათვის სწავლაა და არა მუშაობა. რესპოდენტთა საერთო რაოდენობის 45,8% ფიქრობს, რომ სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაცია ან სამუშაო აგენტების მომსახურებაა სასურველი ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის. ემიგრაციის მსურველ რესპოდენტთა 19 % მიიჩნევს, რომ შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერა იქნებოდა მათთვის სასურველი მაშინ, როდესაც საერთო რაოდენობიდან ემიგრაციისთვის ხელშემწყობ ფაქტორად სამართლებრივი მხარდაჭერა 13,6%-მა დაასახელა. ემიგრაციის მსურველთა 28,6%-ის აზრით, მიმღები ქვეყნების ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებია მათთვის მნიშვნელოვანი. ამ საკითხზე გამოკითხული რესპოდენტების საერთო რაოდენობის 45,8% ფიქრობს, რომ ეს ფაქტორია მნიშვნელოვანი ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ ემიგრაციის მსურველების მოთხოვნები და ზოგადი წარმოდგენები ემიგრაციის შეახებ გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავდება ერთმანეთისგან.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციის მსურველთა ამჟამინდელ შემოსავლებსა და ემიგრაციის სურვილს შორის პირდაპირი კორელაცია არ შეინიშნება: ემიგრაციის მსურველი რესპოდენტების შემოსავალი 100 ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. თუმცა ემიგრაციის მსურველთა უმრავლესობის (33,3%) შემოსავალი, ძირითადად, საშუალოა, 500-900 ლარის ფარგლებში. გენდერულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მაღალი შემოსავლის მქონე (3000 ლარი და მეტი) რესპოდენტებს შორის მხოლოდ ქალები არიან (14,3%), ხოლო ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე (100-300 ლარამდე და 300-500 ლარამდე) რესპოდენტები, რომელიც ემიგრაციის სურვილს გამოთქვამს, კაცები არიან და საერთო რაოდენობის 14,5%-ს (100-300 ლარამდე - 5 და 300-500 ლარამდე 9,5%) შეადგენს.

რესპოდენტთა პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ 36,8%-ს მხოლოდინი ემიგრაციაში წასვლის შემთხვევაში არის მატერიალური უზრუნველყოფა, 31,6%-ისთვის გამოცდილების დაგროვება, 28,1%-ისთვის განათლების მიღება. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (86,2%) პრობლემების ან თავიანთი მიზნების განხორციელების შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს, თუმცა აღსანიშნავია, რომ იმიგრაციის მსურველთა 71,4% ფიქრობს, რომ დაბრუნდება ემიგრაციიდან (მათ შორის კაცების 80 % და ქალების 63,6%). ეს გარემოება მნიშვნელოვანია, ეროვნული ქვეყნის განვითარებისათვის, რადგან უცხოეთიდან დაბრუნებული ჩვენი თანამოქალაქეები თავიანთი შეძენილი ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების გამოყენებას აპირებენ სამშობლოში.

ზემოაღნიშნული დასკვნები შემდეგი რეკომენდაციების საშუალებას გვაძლევს:

ემიგრაციის ხელშეწყობა უნდა მოხდეს ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის საშუალებით, რაც გულისხმობს ქართველი მუშაკების დასაქმების ხელშეწყობას მიმღებ ქვეყნებში და შემდგომში მათ აუცილებელ დაბრუნებას საქართველოში, რათა მოხდეს საზღვარგარეთ შეძენილი სამუშაო გამოცდილების და უნარ-ჩვევების გამყენება

საქართველოში. ეს გარემოება ხელს შეუწყობს არსებული დარგების განვითარებას და ინოვაციების დანერგვას, ასევე, ინოვაციური მიდგომების განვითარებას. შესაძლებელია ახალი დარგების განვითარებასაც მიეცეს ბიძგი, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი შეუძლება გახდეს.

ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მიმღებ ქვეყნებთან შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმებას, რომელიც უზრუნველყოს ქართველი მიგრანტების შრომითი უფლებების დაცვას და მათთვის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები უზრუნველყოფას.

მიზანშეწონილია მიმღებ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციული ბაზისი შექმნა და მიგრანტებისათვის დასაქმების აგენტის სამსახურის შექმნა, რომელიც დაეხმარება საქართველოდან სამუშაოდ წასულ მიგრანტებს შესაფერისი სამუშაოს პოვნაში.

მნიშვნელოვანია უცხოეთში განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება, რომელიც ასევე მოიცავს სამუშაო პრაქტიკას უცხოურ ქვეყნის კომპანიებში, რათა მიღებული ცოდნა და თეორიული მიდგომები უცხოეთში მუშაობის შედეგად პრაქტიკულ გამოყენებაში. აღნიშნული გარემოება უცხოეთში სწავლის ეფექტურობას გაზრდის და გაცილებით მეტი სარგებლის მომტანი იქნება, როგორც უცხოეთში განათლების მიმღებთათვის ასევე საქართველოსთვის.

მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით. შესაბამისად საჭიროა მიმღებ ქვეყნების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდება პოტენციური მორგანტებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ სრული წარმოდგენა მიგრაციის გამოწვევებისა და სარგებლის შესახებ.

საჭიროა, დაბრუნებული მიგრანტებისათვის შეიქმნას ფინანსური მოტივაცია და ხელი შეეწყოს მათ მიერ მიღებული ცოდნის რეალიზებას ახალ ბიზნეს იდეებში თუ

საწარმოო პროცესებში. ფინანსური მოტივაციის სქემები შეიძლება მოიცავდეს შეღავათიან სესხებს ახალი ბიზნესი დასაწყებად, ან მცირე გრანტებს გარკვეული საწარმოო დანადგარების შესაძენად ან საგადასახადო შეღავათებს.

გამოკითხულთა პასუხები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ევროკავშირის მოსახლეობის უმრავლესობა (72.2%) მიიჩნევს, რომ მიგრანტები მათ ქვეყანას აძლიერებს და რომ ისინი (61.1%) მხარს უჭერენ მიგრაციას. თუმცა, გაცილებით ნაკლები (36%) მიიჩნევს, რომ მიგრანტები მათი ქვეყნისთვის პოზიტიური მოვლენაა. აღნიშნული გარემოება ერთგვარად წინააღმდეგობრივია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამოკითხული მოსახლეობის 25% ფიქრობს, რომ მიგრანტები ზრდიან ტერორიზმის რისკს ქვეყანაში, ზემოაღნიშნული განწყობა გასაკვირი არ არის.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ევროკავშირის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (94.4%) მიიჩნევს, რომ მიგრანტები მათ ქვეყანაში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ჩადის.

ასევე, აღსანიშნავია გენდერულ ასპექტში მონაცემების განხილვა. მამაკაცებისა და ქალების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და საგრძნობი სხვაობებია. ასე მაგალითად, ქალების 47% მიგრაციას საკუთარი ქვეყნისთვის დადებითად აღიქვამს და 76% არ შეაჩერებდა მიგრაციას, როცა გამოკითხული მამაკაცების 20% მიიჩნევს მიგრაციას დადებითად და 66% კი თავიანთ ქვეყანაში მიგრაციას არ შეაჩერებდა. ამ შემთხვევაში ფიქსირდება პარადოქსული ფაქტი. როგორც ჩანს ისინი კარგად ვერ აცნობიერებენ და კარგად არ აქვთ გააზრებული ის დადებითი თუ უარყოფითი შედეგები რაც შეილება მოიტანოს მიგრანტებმა მათი ქვეყნისათვის.

მიღებული პასუხების გენდერული ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული პირების პასუხები გენდერული ნიშნით საკმაოდ განსხვავდება, რაც გამოკითხულ ქალთა და მამაკაცთა განსხვავებულობას ადასტურებს.

გამოკითხულ მამაკაცთა 26% ფიქრობს, რომ ჩასული ემიგრანტები არ აძლიერებენ ქვეყანას, მაშინ როცა ქალების 23% ფიქრობს ასე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ

ქალთაგან ისინი ვინც ფიქრობენ, რომ მიგრანტები არ აძლიერებენ თავიანთ ქვეყანას, აქედან მხოლოდ 25%-ს აქვს საშუალო განათლების დონე, ხოლო გამოკითხულთა 75%, რომლებიც ფიქრობენ, რომ მიგრანტები ქვეყანას აძლიერებს უმაღლესი განათლებით არის. ხოლო მამაკაცთა შორის ვინც უარყოფითად აფასებს მიგრანტებს, 25%-ს აქვს საშუალო განათლება, დანარჩენს კი უმაღლესი განათლება აქვს (75%).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ქალთა 19% არ უჭერს მხარს მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან საკუთარ ქვეყანაში მიგრაციას, ხოლო მამაკაცთა შორის მხოლოდ 13% ფიქრობს ასე, ნეიტრალურად განწყობილი ქალები კი 14%-ს შეადგენს და ნეიტრალურად განწყობილი მამაკაცები კი 33%-ს. ნეიტრალურად განწყობილ მამაკაცთა 33%-დან 20%-ს აქვს საშუალო განათლება, ხოლო დანარჩენს კი უმაღლესი განათლება. ასევე, ნეიტრალურად განწყობილ ქალთა 66% არის საშუალო განათლებით.

გამოკითხულ ქალთა 28% ფიქრობს, რომ მათ ქვეყანაში უმჯობესია მუშა მიგრანტები შევიდნენ, ხოლო 23% კი ემხრობა მარტო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტების შედინებას დანარჩენი კი (49%) ორივე ტიპის როგორც მუშა მიგრანტების ასევე მაღალკვალიფიციური მიგრანტების შემოსვლას უჭერს მხარს. ხოლო გამოკითხულ მამაკაცთა 40% მიიჩნევს, რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტები არის სასურველი ქვეყნისათვის და დანარჩენი 60% ფიქრობს, რომ ორივე ტიპის მუშახელი უნდა შემოვიდეს, მხოლოდ მუშა მიგრანტების შემოსვლას ქვეყანაში გამოკითხული მამაკაცებიდან არავინ ემხრობა.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით საჭიროა ევროკავშირის ქვეყნებში იყოს მეტი ინფორმირებულობა და გაიზარდოს ევროკავშირის მოსახლეობის ცნობიერება იმასთან დაკავშირებით. გაიზარდოს ცნობიერება თუ რა საფრთხეები და რისკები ახლავს მიგრანტების შემოსვლას ევროკავშირის ქვეყანებში, რამდენად არის კარგი და საჭირო მიგრაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერებისთვის.

საჭიროა განისაზღვროს რა მხარდამჭერი ღონისძიებები უნდა გამოიმუშაოს ქვეყანამ შესაბამისად, იმისათვის რომ წახალისოს იმ ტიპის მიგრაცია, რომელსაც ქვეყნები თვლიან ხელსაყრელად თავიანთი ეკონომიკის გაზრდისათვის, სოციალურ-

ეკონომიკური თუ დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, ევროკავშირის სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები თავიანთი მოქალაქეების ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად. გაიზარდოს ცნობიერება იმ სიკეთეების შესახებ, რაც მიგრანტებს მოაქვთ მათი მიმღები ქვეყნისათვის მ და იმ რეალური საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება მოიტანოს. მიგრანტებს, მათ შორის ჩვენი ქვეყნიდან ეს დაეხმარებათ როგორც უკეთესი პირობების შეთავაზების კუთხით, ასევე მათი დადებითი განწყობების კუთხით. ეს ყოველივე შეამცირებს ჩასული მიგრანტების სოციალურობას, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას და ორივე ქვეყნისათვის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ასეთი სახის თანამშრომლობა ნამდვილად ხელსაყრელი იქნება როგორც მიმღები ქვეყნისთვის ასევე მიგრანტების გამგზავნი ქვეყნებისთვისაც. ეს ნამდვილად ხელსაყრელი იქნება გამოცდილების გაზიარების კუთხით, ისვე როგორც კულტურული მრავალფეროვნების ურთიერთგაზიარებისა და ეკონომიკების იმ ტიპის მუშახელით შევსებაში, რომელიც იმ მომენტისათვის ევროკავშირის ქვეყნები ნაკლებობას განიცდის.

ასევე, მიზანშეწონილი იქნება თუ ევროკავშირის სახელმწიფოები ითანამშრომლებენ მიგრანტების გამგზავნი ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მიგრაციული ნაკადების მართვასა და სახელმწიფო დონეზე მიგრანტებისათვის ხელსაყრელი შრომითი პირობებისა და სოციალური დაცვის გარანტიების შექნას

ევროკავშირის ქვეყნებში მცოხვრები გამოკითხული ქართველი მიგრანტების 11.8% აზრით ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც თან ახლდა უცხო ქვეყანაში მიგრაციას არის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები, 17.6%-ს ყველაზე მწვავე პრობლემად სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემები მიაჩნია, 23.5%-ს დოკუმენტაციის გაფორმებასთან დაკავშირებით, 35.3% უცხო ენის არ ცოდნის გამო, 5.9% მიგრაციის ყველაზე მწვავე პრობლემად დამქირავებელთან ხშირ კონფლიქტებს მიიჩნევს, ხოლო 17.6%-კი ყველაზე მწვავე პრობლემად სხვა მიზეზები მიაჩნია.



ქართველ ემიგრანტთა 17.6%-ს პრობლემები ემიგრაციაში წასვლით მოგვარდა, 64.7%-ს პრობლემები მოგვარდა ნაწილობრივ, ხოლო 17.6%-მა კი ჯერ არ იცის მოგვარდა თუ არა მისი პრობლემები. კითხვაზე დაბრუნდებიან თუ არა სამშობლოში მიგრაციის გამომწვევი მიზეზების/პრობლემების მოგვარების შემთხვევაში 47.1% ამბობს რომ კი აუცილებლად დაბრუნდება, 35.3%-მა ჯერ არ იცის, 11.8%-ის დაბრუნება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ იგრძნობს თავს ახალ ქვეყანაში, ხოლო 5.9% კი ამბობს რომ არ დაბრუნდება თუ კარგ სამსახურს მიიღებს.

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია რამდენად კარგად იცნობენ გამოკითხული ქართველი ემიგრანტები ევროკავშირის იმ ქვეყნის მიგრანტთა კანონმდებლობას სადაც იმყოფებიან, რაზეც 70.6% ამბობს რომ ნაწილობრივ იცნობს, 23.5% იცნობს, ხოლო დანარჩენი 5.9% არ იცნობს მიგრანტთა კანონმდებლობას.

რესპოდენტების 41.2% აპირებს სამშობლოში მუდმივად დაბრუნებას, 23.5% დროებით აპირებს დაბრუნებას, 17.6% არ აპირებს, ხოლო 17.6%-მა კი ჯერ არ იცის. თუ რა შემთხვევაში დაბრუნდებიან გამოკითხული ემიგრანტები სამშობლოში 37.5%-მა განაცხადა, რომ დაბრუნდება თუ შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოდან წასული მიგრანტები საქართველოში მყოფ ოჯახებს მატერიალურად ეხმარებიან. გამოკითხულთა 82.3% ეხმარება საქართველოში მყოფ ოჯახს მატერიალურად.

ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გამოკითხვის შედეგად გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები: გამოკითხული ქალების 100% არის ქართველი, 66.7% იმყოფება იტალიაში, 16.7% გერმანიაში, 8.3% ნიდერლანდებში და 8.3% კი ესპანეთში. ქალების 58.3% შემოსავალი კი 500 ევროდან 1000 ევრომდე მერყეობს. ასევე, გამოკითხული მამაკაცების 100% არის ქართველი, მამაკაცების 40% მიგრაციაში იმყოფება ნიდერლანდებში, 40% გერმანიაში და 20% კი შვეიცარიაში. მამაკაცების 40%-ის შემოსავალი მერყეობს 1000 ევროდან 1500 ევრომდე, 20%-ის 1500 ევროზე მეტი, 20%-მა ზუსტი შემოსავალი არ იცის და 20%-მა საკუთარი შემოსავალი არ მიუთითა.

გამოკითხული ქალების 75% იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 25% კი არა. გამოკითხულების 16.7% არის 56 წლის და მეტის, 25% 36 წლიდან 40 წლამდე, 8.3% 31 წლიდან 35-მდე, 25% 26 წლიდან 30-მდე, 16.7% 41 წლიდან 45-მდე და 8.3% კი 46 წლიდან 50 წლამდე ასაკის ქალბატონია. გამოკითხული მამაკაცების 60% იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 40% კი არა. მამაკაცების ასაკობრივი გადანაწილება შემდეგია: 36 წლიდან 40 წლამდე 40%, 41 წლიდან 45 წლამდე 40%, 56 წლის და მეტი 20%.

მიგრანტი ქალების 50%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, 25%-ს პროფესიული სასწავლებელი, 16.7%-ის განათლება არის დაუმთავრებელი უმაღლესი, ხოლო 8.3%-ს აქვს საშუალო განათლება. გამოკითხული ქალების 50% დაკავებულია ფიზიკური სამუშაოთი, 41.7% გონებრივი სამუშაოთი, ხოლო 8.3% კი უმუშევარია. გამოკითხული ქალების 16.7% რომლებსაც აქვთ დაუმთავრებელი უმაღლესი სასწავლებელი ფიზიკური შრომით არიან დასაქმებული, ქალების 25% პროფესიული განათლებით დასაქმებულია ასევე, ფიზიკური შრომით, 8.3% საშუალო განათლებით შრომობს გონებრივად, 33.3% უმაღლესი განათლებით ასევე გონებრივი სამუშაოთია დასაქმებული, 8.3% უმაღლესი განათლებით დაუსაქმებელია და 8.3% უმაღლესი განათლებით შრომობს ფიზიკურად.

მიგრანტი მამაკაცების 80%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო 20% აქვს საშუალო განათლება. მამაკაცების 60% დაკავებულია ფიზიკური შრომით, 20% გონებრივი შრომით და 20% არის უმუშევარი. იმ მამაკაცებიდან რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი 75% შრომობს ფიზიკურად, 25% კი გონებრივი სამუშაოთია დაკავებული.

მიგრანტი ქალების 58.3% ევროკავშირის ქვეყანაში მუშაობს დამხმარედ (ძიძა/მომვლელი), 16.7% დასაქმებულია საკუთარი პროფესიით, 8.3% დაუსაქმებელია, 8.3% აქვს საკუთარი ბიზნესი და 8.3% დაკავებულია სხვა საქმიანობით. ასევე, ქალების 58.3% ცხოვრობს იმ ოჯახში სადაც მუშაობს და 41.7%-ს კი დაქირავებული აქვს ბინა ოჯახის წევრთან ერთად.

გამოკითხული მიგრანტი მამაკაცების 80% მუშაობს წარმოებაში და 20% აქვს საკუთარი ბიზნესი. მათ 60%-ს დაქირავებული აქვს ბინა ოჯახის წევრთან ერთად, ხოლო 40%-ს კი დაქირავებული აქვს ბინა ცალკე.

ქალების 66.7% მიგრაციაში ლეგალურად იმყოფება, 33.3% კი არალეგალია, ხოლო გამოკითხული მამაკაცების 100% ლეგალურად იმყოფება მიგრაციაში. 41.6%-ის თქმით მათ არც ისე რთული პროცედურების გავლა მოუწიათ ევროკავშირში მიგრაციისათვის, 16.7% ამბობს რომ საკმაოდ რთული პროცედურები გაიარა, ასევე 16.7% აღნიშნავს, რომ საშუალო სირთულის პროცედურების გავლა. მოუწიათ და 25%-ის თქმით იოლი მათ იოლი პროცედურები გაიარეს. მამაკაცების 60% აღნიშნავს, რომ საკმაოდ რთული პროცედურების გავლა მოუწია მიგრაციაში წასვლისთვის, 20%-ის თქმით არც ისე რთული და 20%-ს აზრით იოლი პროცედურები.

გამოკითხული ქალი მიგრანტების 83.3%-ის თქმით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც საჭიროა უცხო ქვეყანაში ადაპტაციისთვის არის უცხო ენის სწავლა, 8.3% ახალი კანონებისა და წესების სწავლას ასახელებს და ასევე 8.3%-მა აღნიშნა, რომ ახალ ქვეყანაში ადაპტაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ნაციონალური წეს-ჩვეულებების ცოდნაა. ხოლო გამოკითხული მამაკაცების 60% აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ადაპტაციისათვის უცხო ენის სწავლაა და 40%-ისათვის კი ახალი კანონები და წესები. იმ ქალებიდან რომლებისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად უცხო ენის ცოდნა მიუთითეს 50%-ს უფრო მეტი მეგობარი ჰყავს, რომლებსაც მათნაირი მიგრაციის ისტორია აქვთ, 10%-ს ყავს უფრო მეტი მეგობარი იმ ქვეყნიდან სადაც ცხოვრობს და 40%-ს თანაბარი რაოდენობის მეგობრები ყავს.

ქალების 66.7% მიგრაციის ფენომენს აღიქვამს, როგორც შესაძლებლობას, 8.3% როგორც საფრთხეს და 25% კი საფრთხეთაც და შესაძლებლობადაც, ხოლო მამაკაცების 100% მიგრაციას აღიქვამს როგორც შესაძლებლობას. გამოკითხული ქალების 83.3% მატერიალურად ეხმარება საქართველოში დარჩენილ ოჯახს, ხოლო 16.7% კი არ ეხმარება. გამოკითხული მამაკაცების 100% მატერიალურად ეხმარება სამშობლოში

დარჩენილ ოჯახს. მიგრანტი მამაკაცების 60% 200 ევროდან 500 ევრომდე თანხას აგზავნის, 20% 20 ევრომდე და 20% კი სხვა ოდენობის თანხას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი, რ & გოგორიშვილი, ი, 2008. ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი
2. ზუბიაშვილი თ 2008, მიგრაციული პროცესები ევროპაში. წიგნში: მიგრაცია №2, გამომცემლობა "უნივერსალი." თბილისი, გვ. 108-116.
3. ზუბიაშვილი თ, 2009 გლობალიზაცია და მოსახლეობის მიგრაცია. წიგნში: გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. გამომცემლობა "უნივერსალი." თბილისი, გვ. 72-78.
4. ზუბიაშვილი თ, 2010, მიგრაციული პროცესები საქართველოში სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში. წიგნში: მიგრაცია №4, გამომცემლობა "უნივერსალი." თბილისი 2010. გვ. 174-188.
5. ზუბიაშვილი თ, 2014, ცალკეული ქვეყნების გამოცდილება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული, თბილისი გვ. 96-112.
6. ზუბიაშვილი, თ. 2017. გლობალიზაცია და მიგრაციული პროცესები. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 192–96. [http://eprints.tsu.ge/1453/1/Globalization and migration processes.pdf](http://eprints.tsu.ge/1453/1/Globalization%20and%20migration%20processes.pdf).
7. ზუბიაშვილი, თ. 1999. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. ლობჯანიძე, მ. 2010. როგორ საქმდებიან უცხოეთში კურსდამთავრებული ახალგაზრდები საქართველოში (გერმანიაში კურსდამთავრებულთა მაგალითზე) / The Employment of the Young Graduate Students in Georgia Educated Abroad (on the example of Germany). თბილისი: ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, გვ. 64-66.

9. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია 2021, მიგრაციის სტრატეგია, საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია, [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=216&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0)
10. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019, „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი“. [https://migration.commission.ge/files/mp19\\_web3.pdf](https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf)
11. პაპავა, ვ. 2015. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი.
12. საქართველოს მთავრობის N 810 დადგენილება, საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ [https://migration.commission.ge/files/ms\\_2021-2030\\_geo.pdf](https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf)
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>
14. სილაგაძე, ა. 2010. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი: გამომცემლობა ინოვაცია;
15. სილაგაძე, ა. 2001. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. ტუხაშვილი მ., შელია მ., ზუბიაშვილი თ. და ჭელიძე ნ. 2012. სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სოციო-ეკონომიკური პრობლემები.
17. ფუტყარაძე, რ. 2012. გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე 154 პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, გვ. 399- 407.
18. შელია მ., ტუხაშვილი მ. 2003. შრომითი მიგრაციის გენდერული ასპექტები. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი: ლეგა, გვ.82-87
19. Ariu, A., and Pasquamarina Squicciarini, M. 2013. The Balance of Brains: Corruption and High Skilled Migration, by Andrea ARIU; Pasquamarina SQUICCIARINI. Discussion Papers (IRES - Institut de Recherches Economiques et Sociales). Universite catholique de

- Louvain, Institut de Recherches Economiques et Sociales (IRES).  
<https://ideas.repec.org/p/ctl/louvir/2013010.html>.
20. Atoyán, R., Christiansen L., Dizioli, A., Ebeke, C., Ilahi, N., Ilyina, A., Mehrez, G. et al. 2016. Emigration and Its Economic Impact on Eastern Europe. Emigration and Its Economic Impact on Eastern Europe. International Monetary Funds.
  21. Austrian Government, 2020, Center for population- Population Statement
  22. Bedianashvili Givi (2016), The Global Business Environment, European Integration and the Cultural Potential of Social-economic Development of Georgia, Globalization & Business, Vol. 1, 2016 p. 20-25
  23. Black, Richard. Regional Studies; Cambridge, 2000, "International Migration, Immobility and Development-Multidisciplinary Perspectives  
<https://search.proquest.com/openview/7c3c90dcc2b8f609efb0b10fa0b5fcb5/1?pq-origsite=gscholar&cbl=49042>
  24. Bonifazi, C. (2008). Evolution of regional patterns of international migration in Europe. In C. Bonifazi, M. Okólski, J. School, & P. Simon (Eds.), International migration in Europe: New trends and new methods of analysis (IMISCOE research, pp. 107–128). Amsterdam: Amsterdam University Press.
  25. Borjas, G., Bronars, S. 1990. Immigration and the Family, NBER Working Papers 3509, National Bureau of Economic Research.
  26. Borjas, G. J. 2014. Immigration Economics. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
  27. Boyd, M, 1989, 'Family and Personal Networks in International Migration: Recent Developments and New Agendas', International Migration Review, 23(3) (Fall), 638- 70.
  28. Boyle, P., Halfacree, K., & Robinson, V. (1998). Exploring contemporary migration. Essex: Pearson Education Limited.
  29. Buettner Thomas and Muenz Rainer (2016), comparative analysis of International migration in population, KNOMAD, Global Knowledge Partnership on Migration and Development, March, 2016.

30. Cadwallader MT. [1992], Migration and Residential Mobility: Macro and micro approaches. University of Wisconsin Press, Madison, WI. pp 31-38  
[https://books.google.ge/books?printsec=frontcover&vid=LCCN92050246&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?printsec=frontcover&vid=LCCN92050246&redir_esc=y#v=onepage&q&f=false)
31. Castles, S., De Haas, H., & Miller, M. J. (2014). The age of migration: International population movements in the modern world. Basingstoke: Palgrave
32. Central Intelligence Agency. 2016. Country Comparison to the World. Central Intelligence Agency. <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/fields/2056.html>
33. Chamie, Joseph . 2020. "Global Population: Too Few versus Too Many." YaleGlobal, March 31. <https://yaleglobal.yale.edu/content/global-population-too-few-versus-too-many>.
34. Chindea, A., Majkowska-Tomkin, M., Mattila, H., Pastor, I. 2008. Migration In Georgia: A Country Profile. IOM. [http://iom.hu/PDF/migration\\_profiles2008/Georgia\\_Profile2008.pdf](http://iom.hu/PDF/migration_profiles2008/Georgia_Profile2008.pdf);
35. Choose Love, Refugee Statistics - Sort fact from fiction with key statistics on the refugee crisis. 2021. <https://helprefugees.org/refugees-statistics/>
36. Clemens, M., A. 2017. Migration Is a Form of Development: The Need for Innovation to Regulate Migration for Mutual Benefit. New York: United Nations, <https://www.un.org/en/development/desa/population/migration/publications/technicalpapers/docs/TP2017-8.pdf>.
37. Corbett John, 2003 "Ernest George Ravenstein: The laws of Migration, 1885 by john Corbett" <https://escholarship.org/content/qt3018p230/qt3018p230.pdf>
38. Coulombe, S., and Tremblay, J. 2009. Migration and skills disparities across the Canadian provinces. Regional Studies 43 (1): 5-18. [https://econpapers.repec.org/article/tafregstd/v\\_3a43\\_3ay\\_3a2009\\_3ai\\_3a1\\_3ap\\_3a5-18.html](https://econpapers.repec.org/article/tafregstd/v_3a43_3ay_3a2009_3ai_3a1_3ap_3a5-18.html)
39. Council of the EU. (2002). Seville European Council 21 and 22 June 2002: Presidency conclusions. Brussels: European



40. De Haas, H. 2009. *Mobility and Human Development*. New York: UNDP.
41. Dietz, B., & Kaczmarczyk, P. 2008. On the demand side of international labour mobility: The structure of the German labour market as a causal factor of seasonal Polish migration. In C. Bonifazi, M. Okólski, J. School, & P. Simon (Eds.), *International migration in Europe: New trends and new methods of analysis* (IMISCOE research, pp. 37–64). Amsterdam: Amsterdam University.
42. Disney, G. et al., 2015. *Evaluation of existing migration forecasting methods and models*, Southampton. Available at: <https://www.gov.uk/government/publications/evaluation-of-existing-migration-forecasting-methods-and-models>
